



4

• СОВЕТСКОЕ ИСКУССТВО • SOVIET ART • SOWJETKUNST

180
1966/3

180/3

ԵՅՔՄՄ

ԵՐՄՅԵՅ

1966




საბავშვო საბავშვო

თუაფრი
გუსიკა
გუსკვრია
ქინო
კაქიგაქაფა
ქოჯობაზია

საბავშვო სსრ კულტურის სამინისტროს
უწყებულთაგანია შარბალი

10.001.

4 · 1966





ა. თოიძე

ბელადის მოწოდება

საქართველოს კპ XXIII ყრილობაზე →

მთავარი რედაქტორი — ოთარ ეგაძე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი, გელა ბანძელაძე, კარლო გოგოძე, ალექსი მაჭავარიანი, ნათელა ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, დიმიტრი ჯანელიძე, ვანო წულუკიძე.



ორი მარტი საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გახსნის დღედ იქცა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი კიდევ ერთხელ ამეტყველდა ხალხის სასიკეთოდ, განვლილის შესაჯამებლად, ახლის დასასახავად, ერთობლივი, ნოვატორული და შემართებითი იერიშის მისატანად სახვლიოდ გამიზნულ მიჯნებზე, უფრო მეტისა და კარგის ასაშენებლად, გასაშენებლად, ასაყვავებლად, გასამრავლებლად, — სულიერი და ეკონომიური დოვლათის მოსაწვევად.

ასეთ საზეიმო-საქმიან ვითარებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ პავლეს ძე მჭავანაძე, რომლის მოხსენების გარშემო გაიშალა აზრიანი და საქმეში ღრმად ჩახედულთა გამოსვლა — კამათი, რჩევა, მოთხოვნა.

ყრილობის მსვლელობამ კიდევ ერთხელ ნათელჰყო, რომ ხალხი და პარტია ერთ მონოლითურ, განუყრელ მცნებას წარმოადგენს, პარტიისა და ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა ახლა კიდევ უფრო განმტკიცდა იმითაც, რომ 1964 წლისა და შემდგომმა ბუნეუმებამაც სამოქმედო მიზნად დაისახეს სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში, პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ნამდვილად ლენინური სტილითა და მეთოდებით აღორძინებისათვის. დასამალი არაა, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ერთპიროვნულმა, ახირებულობითმა და ანგარიშგაუწყველობითმა სუბიექტურმა ხელმძღვანელობამ უფრო მეტი ძალღონის მოზიდვის მოთხოვნის წინაშე დააყენა პარტია და ხალხი. საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ეს სწორად გაიგეს და დაულაღავი შემოქმედებითი შრომით, პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური მეთოდების გამოყენებით მცირე დროში გამოასწორეს ის, რაც ასეთ დიდ ეკონომიურ და მორალურ დანაკლისად აჩნდა ქვეყანას, მასებს, პარტიას. ამგვარმა ცდამ ნაყოფი გამოიღო, „შეიდწლიანი გეგმის შესრულების მსვლელობისას შეტანილია ახალი წვლილი კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, გაიზარდა, ამაღლდა საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონე“.

საქართველოს მშრომელების შრომითსა და შემოქმედებით მღვწევებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერთობლივ მოღვაწეობაში, კომუნისტური მშენებლობის დიად პროცესში. ვერავითარი ცალკეული ნაკლოვანება, ვერავითარი უარყოფითი მოვლენა, ჩამორჩენა ვერ შეაჩერებს ჩვენი გოლიათურ სვლას, რომლის ნაკვალევად რჩება მხოლოდ აყვავებული ველ-მინდვრები, აღმათოულ-ამუშავებული ფაბრიკა-ქარხნები, აღორძინებული მეცნიერული ძიებანი, ფრთავაშლილი მხატვრული შემოქმედება, — თეატრის, კინოს, მუსიკის, სახვითი ხელოვნებისა თუ მწერლობის რომელ დარგსა და ქანრსაც არ უნდა ეცეზობოდეთ.

შლიერი მატერიალური საფუძველი ძლიერ სულიერ

პარტიასთან — ხალხის საკათილდაოდ

სახლისათვის სიკეთისა და ბედნიერების მოტანა, შრომისა და შემოქმედი ადამიანების სიხარულის გამრავლება, — აი მიზანი, რაც თავისი მოღვაწეობის ქვაკუთხედად დაიდო კომუნისტურმა პარტიამ. ამ გზას ადგანან ქართველი კომუნისტები, ამ გზას მისდევენ ხელგამარჯვე ქართველი მშრომელები. ვინც არაერთი წარმატება მოუტანა ლენინური მოძღვრებით გეზგაკაფულ ჩვენს რესპუბლიკას, საქართველოს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას, ქართულ მეცნიერებასა და განათლებას, ლიტერატურასა და ხელოვნებას, ჯანმრთელობისა და სპორტის მოამაგებს.

ზედნაშენსაც წარმოშობს. საქართველოს ეკონომიკის ზრდამ საქართველოს კულტურასაც გაუხსნა გზა. ამის მტკიცელი ადასტურებაა ქართველი ხალხის სულიერად მდიდარი აზრობა და მისი უფრო მაღალი მერმისი. განა კოტა რამ გაკეთდა თუნდაც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე? ბევრი ძალიან ბევრი, რაც იმაშიც გამოიხატა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მერმოდ მიენიჭა უნაბეღესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

პარტიის XXIII ყრილობამ ყოველივე ამაზე დაჯერებით ილაპარაკა, მაგრამ თვლი არ დახუტა ნაკლოვანებებზეც. ასეთი გულახდილი, პირდაპირი და პირშიმთქმელი ლაპარაკით ხვალ უფრო წინ წავაგდებთ დღესაც გამარჯვებულ საქმეს. დღეს უფრო ღრმად და საფუძვლიანად უნდა ვიმუშაოთ, რომ ხვალ კიდევ უფრო გავრცეიწებულ შემოქმედებითი ტემპის ალება შევძლოთ.

ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში გაშლილი კომუნისტური მშენებლობის ნათელი პროგრამა დაგვისახა. ახლა ამოცანა იმაშია, რომ ყველა, — დიდი თუ პატარა, საერთო, საზოგადოებრივ საქმეს გავყვიტო; ზოგმა მრევლელობაში აჩვენოს თავისი ნიჭი და უნარი, ზოგმა კი მეცნიერებაში, ერთნი საკომლუერნო მოღვაწეობას უნდა დაეწეზუნენ, მეორენი კი კულტურული შემართების მძიმე კვერთხს.

ხალხის სულიერად გამდიდრებისა და დაბურების საპატიო საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა იდეოლოგიური მოღვაწეობის ყოველ უბანს, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა იქნება იგი თუ ლიტერატურულ-მხატვრული შემოქმედება. მართებული იყო ვასილ მკავანაძე, როცა ცუცის საანგარიშო მოხსენებაში თქვა იდეოლოგიურ მუშაობაზე: „იდეოლოგიის ამ დარგში ყველაზე ნაკლებად დასაშვებია სუბიექტივიზმის რაიმე გამოვლინება. ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა სულაც არ ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ხელმძღვანელს შეუძლია თავს მოახვიოს ვისმე თავისი პირადი შეხედულებანი და გემოვნება, რასაც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ჰქონდა ადგილი“. პარტიას სჯერა და სწამს, რომ „ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია, ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობისათვის რომ იბრძვის, მუდამ იღვა, დგას და კვლავაც იღვება მტკიცე იდეურ პოზიციებზე, მთელ თავის ძალებს მოახმარს მასთვის კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრას“.


ყრილობამ მოუწოდა, რომ საპირთა თვითეული ნაწარმოები კვლავაც გამსჭვალული იყოს პარტიულობის სულისკვეთებით, შესებაშემოღეს ღრმა იდეურობისა და მა-

ღალი მხატვრულობის მოთხოვნებს, მკაფიოდ, მართლად ასახავდეს ჩვენი სინამდვილეს, ჩვენი თანამედროვეობის ცხოვრებასა და საქმეს. ყველაფერი, რასაც ქმნიან ჩვენი მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრალური ხელოვნებისა და კინოხელოვნების მუშაკები, უნდა ამდიდრებდეს ხალხის კულტურას, იყოს ჩვენი დიდი ეპოქის ღირსი.

ყრილობამ გაამახვილა ყურადღება მაკანსად ტენდენციასაც, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაციოს მხატვრული შემოქმედების ბუნებრივ ზრდას: „სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკაში დაშვებული ცალკეული ნაკლოვანებების, შეცდომებისა და დაუდევრობის განზოგადებისა და ტიპიზაციისას, სოციალისტური კანონიერების სხვადასხვაგვარ დარღვევითა ხატოვანი აღწერით გატაცებულმა ზოგიერთმა შემოქმედებებმა მუშაკმა ნებსით თუ უნებლით იწყო ჩვენი სინამდვილის დამახინჯება თავის ნაწარმოებებში. ეს ეწინააღმდეგებოდა სოციალისტური რეალიზმის ძირითად დებულებებს“ — თქვა ამხანაგმა ვ. პ. მკავანაძემ.

ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ძირითადი ამოცანა — დამაჯერებლად ვუჩვენოთ კომუნისტური მშენებელი ადამიანების მდიდარი სულიერი სამყარო, ავსახოთ ისინი სიხარულით და შრომითი შემართების წყურვილით, ხელი შევუწყით მათ გმირულ ბრძოლას, გვაღამაზოთ მათი ყოველდღიური ცხოვრება და ყოფა მაღალაზრიანი და მრავალფეროვანი ესთეტიკური ატმოსფეროთი, ავამაღლოთ მუშისა და კომლუერნის მხატვრული გემოვნება, მივუახლოვოთ ერთმანეთს და შემდეგში კი მოვსაოთ განსხვავება ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, მივცეთ ადამიანებს რამდენიმე პროფესია, რათა ისინი ერთ საქმეზე და ერთ მოქმედებაზე კი არ იყვნენ მიჯაჭვულნი, არამედ შემოქმედებითი ნაირსახეობის წყალობით უფრო მეტ სასარგებლოსა და სასიამოვნოს ქმნიდნენ საკუთარი თავისათვის და საერთოდ საზოგადოებისათვის.

ეს ამოცანები არც თუ მარტო სახელოდ გადასაწყვეტია, მაგრამ მისი განხორციელებისათვის ბრძოლა თვითეული ჩვენგანისათვის სადღეისო მოვალეობაა. ამაზე მივივანიშნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობამ და ამის შესასრულებლად უნდა დავიარაზოთ ყველა, დავიარაზოთ, რათა კიდევ უფრო მეტი წარმატებებით შევხედეთ ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავსა და ლენინის დაბადების 100 წლისთავს. არც ეს თარიღებია შორს. მით უფრო მეტი გვაქვს გასაკეთებელი დღეს, რათა ხვალ მეტი რამყოფილება ვივარდინო ჩვენი ნაშრომით, ნააზრევითა და ნამოქმედართ.



ინსტიტუტი. 1808 წელს სპეციალურად ამ პრივილეგიურ სსსწავებელისათვის არქიტექტორ ჯ. კვარნეის პროექტით აიგო კლასიკური სტილის შენობა. რევოლუციამდე მრავალი წლის მანძილზე სმოლნი მთავსებული იყო კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი. 1917 წლის აგვისტოში ინსტიტუტის მსმენელი ქალები გადაიყვანეს სხვა სასწავლო დაწესებულებებში და შენობა დაიკავა პეტროგრადის საბჭომ, რომელიც მანამდე თავრიდის სასახლეში იმყოფებოდა.

* * *

მუშები, ჯარისკაცები და მატროსები კარგად იცნობდნენ სმოლნს, რომელიც ჯერ კიდევ კორნილოვის აჯანყების დროს პეტროგრადის დაცვის შტაბად იქცა, ხოლო ოქტომბრის ისტორიულ დღეებში — შტაბად შეიარაღებული აჯანყებისა, რომელსაც დიდი ლენინის მეთაურობით ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობდა.

1917 წლის ოქტომბრის საღამოს სმოლნის წინ იყო ვეებერთელა ბალახმოდებული და ბუჩქნარიანი მიწოდრი და ვიწრო ქვაფენილი. ირგვლივ კოცონები ენთო. ფანჯრებში შუქი კაშკაშებდა. მოედანზე შეჯგუფებულიყვნენ წითელგვარდილები, ჯარისკაცები, ხმაურობდნენ ჯავშნიანი მანქანები. მომარაგებული იყო შუმა ბარიკადების აღსამართად, თუ ამის საჭიროება შეიქნებოდა. შენობის შესასვლელთან იდგა ტყვიამფრქვევები და ქვეშეხები, კარებს იცავდნენ გუშაგები.

1917 წლის 24 ოქტომბერს ვ. ი. ლენინმა დატოვა თავისი უკანასკნელი კონსპირაციული ბინა სერდობოლსკის ქუჩაზე და სმოლნიში წაივიდა, რათა ხელში აეღო შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობა.

ბელადის მისვლიდანვე სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის საქმიანობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო, შეიარაღებული აჯანყების ლენინური გეგმა წარმატებით ხორციელდებოდა.

25 ოქტომბრის დილისათვის აჯანყების ბედი უკვე გადაწყდა. რევოლუციურმა მუშებმა და ჯარისკაცებმა დაიკავეს სატელეფონო სადგური, ტელეგრაფი, რადიოსადგური, ნევის ხიდიები, ვაგზოები და დედაქალაქის სხვა საკანაძო პუნქტები. ზამთრის სასახლეში გამომწყვდეული იქნა ხელისუფლებიდან გადაყენებული, თითქმის ყოველგვარ ძალას მოკლებული დროებითი მთავრობა.

25 ოქტომბრის დილის 10 საათზე გამოქვეყნდა ლენინის მიერ დაწერილი მიმართვა „რუსეთის მოქალაქეებსადმი“.

ეს ისტორიული დოკუმენტი იუწყებოდა, რომ დროებითი მთავრობა დამხობილია, სახელმწიფო ძალაუფლება გადავიდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ორგანოს — სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელში, რომელიც დგას პეტროგრადის პროლეტარიატისა და ჯარნიშონის სათავეში.

საქმე, რისთვისაც ხალხი იბრძოდა: დაუყოვნებლივი დემოკრატიული ზავის შეთავაზება, მიწის მემპროლური საკუთრების გაუქმება, მუშათა კონტროლი წარმოებაზე, საბჭოთა მთავრობის შექმნა — ეს საქმე უზრუნველყოფილია.

ბელადის ხელში დაწერილი ამ დოკუმენტის ფოტოპირი მუზეუმის ექსპოზიციის დოკუმენტების ცენტრშია მოთავსებული.

25 ოქტომბერს შუადღისას ვლადიმერ ილიას ძე პეტრო-

ლენინი სმოლნი

ფილიპე მახარაძე



მოლნი!.. ლენინგრადშიც რომ არ იყოთ ნამყოფი, სმოლნის შესახებ მაინც ბევრი რამ გაგიგონიათ, წაგიკითხავთ, გინახავთ ეს შენობა ფოტო თუ ფერწერულ სურათებზე, კინოში.

სმოლნმა თავისი წოდება მიიღო აქ XVIII საუკუნეში არსებული საწარმოსაგან, სადაც საადმირალოს ნავსაშენისათვის ფისს ამზადებდნენ. 1748 წელს რუსეთის ამ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დედაქალაქის აღმოსავლეთ გარეუბანში არქიტექტორ ვ. რასტრელის პროექტის მიხედვით დაიწყო სმოლნის მონასტრის აგება. 1764 წლიდან 1808 წლამდე მონასტრის შენობაში მოთავსებული იყო კეთილშობილ ქალთა

გრადის საბჭოს საგანგებო სხდომაზე სმოლნის სააქტო დარბაზში გამოვიდა მოხსენებით საბჭოთა ხელისუფლების ამოცანების შესახებ. რევოლუციის ბელადის გამოჩენას დარბაზში საზღვრული მქუხარე ტაშითა და მისალმების შეძახილებით შეხვდნენ. ლენინმა გამოცხადა სოციალისტური რევოლუციის განარჯვება და გამოთქვა ურყევი რწმენა, რომ სოციალიზმი რუსეთში გაიმარჯვებს.

26 ოქტომბრის დილის მეოთხე საათზე სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობამ მოისმინა ცნობა კონტრრევოლუციის უკანასკნელი დასაყრდენის — ზამთრის სასახლის აღების შესახებ. ყრილობამ მქუხარე ტაშით მიიღო ლენინის მიერ დაწერილი მოწოდება „მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი“, რომელშიც გამოცხადებული იყო, რომ მიუღი სახელმწიფო ძალაუფლება ცენტრსა და ადგილებზე საბჭოების ხელში გადავიდა.

ყრილობის პირველ სხდომას ვლადიმერ ილიას ძე არ ესწრებოდა.

ლენინს ორი დღეამის განმავლობაში არ ეძინა, არ დაუსვენა, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღებულ იქნა ზამთრის სასახლე და დროებითი მთავრობა დააბატონრეს, ვლადიმერ ილიას ძე წავიდა ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩის ბინაზე ხერსონის ქუჩაზე, რათა ცოტა დაესვენა. ვლადიმერ ილიას ძეს გამოუყვეს ცალკე ოთახი, მაგრამ მას არ უძინა და იმ ღამით დაწერა პროექტი დეკრეტისა მიწის შესახებ, რაზეც მუშაობდა ჯერ კიდევ სურდობოლსკის ქუჩაზე დაიწყო. ხოლო 26 ოქტომბრის დილით სმოლნი დაწერა პროექტი დეკრეტისა ზავის შესახებ.

26 ოქტომბერს საღამოს ვლადიმერ ილიას ძე მონაწილეობდა საბჭოების მეორე ყრილობის მეორე და დასასრული სხდომების მუშაობაში. დელეგატები რევოლუციის ბელადს მქუხარე ტაშით, აღფრთოვანებული შეძახილებით შეხვდნენ. ყრილობაზე თავისი პირველი გამოსვლა ლენინმა მიუძღვნა ზავის საკითხს. აღნიშნა ის, რომ ეს თანამედროვეობის მწვავე საკითხია, ვლადიმერ ილიას ძემ წაიკითხა მის მიერ დაწერილი პროექტი დეკრეტისა ზავის შესახებ. საბჭოთა მთავრობა ყველა ხალხს და მთავრობას მიმართავდა წინადადებით შეეწყვიტათ ომი და დაედოთ საპარტიოანი დემოკრატიული ზავი. ყრილობის დელეგატები დიდი მოწონებით შეხვდნენ ლენინს დეკრეტს.

აი როგორ აღწერს ამერიკელი მწერალი, კომუნისტი ჯონ რიდი იმ ისტორიული მნიშვნელობის ვითარებას, რომელშიც საბჭოების ყრილობამ მიიღო ეს დეკრეტი, — თავის სახელგანთქმულ წიგნში „ათი დღე, რომელზეც შედრა მსოფლიო“: „მოულოდნელმა და სტიქიურმა აღფრთოვანებამ ყველა ფეხზე წამოგვყენა, და ჩვენი ერთსულოვნება გამოიხატა მწყობრი, აწარმოვებელი სიმღერით „ინტერნაციონალისა“. რომელიღაც ხანში შესული, ჭადარაწერული ჯარისკაცი დაშვივით ტიროდა... მღერავი ჰიმნი დარბაზს ავსებდა, გარეთ იჭრებოდა კარ-ფანჯარებიდან... „ბოლო მოელო ომს!“, „ბოლო მოელო ომს!“ — ბედნიერი ღიმილი ამბობდა ჩვენი მეზობელი, ახალგაზრდა მუშა“.

მეორე დღეს დეკრეტი ზავის შესახებ მთელ მსოფლიოს მოედო.

ყრილობის დელეგატებმა უდიდესი აღმავლობითა და შეუნელებელი ყურადღებით მოისმინეს ლენინის მოხსენება მიწის შესახებ. მოხსენების დროს ვლადიმერ ილიას ძემ გამოაქვეყნა მის მიერ დაწერილი და ბოლშევიკური პარტიის მიერ ყრილობაზე განსახილველად წარდგენილი პროექტი დეკრეტისა მიწის შესახებ.

ამ დღიად ისტორიული აქტით ჩვენმა პარტიამ სამუდამოდ, ურღვევი კავშირით შეაერთა ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები, შექმნა პროლეტარიატის დიქტატურის ურყევი საფუძველი.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო ლენინური დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ და შექმნა მსოფლიოში პირველი პროლეტარიატის დიქტატურის მთავრობა — სახალხო კომისარათა საბჭო ლენინის მეთაურობით.

აი ისინი, ეს დეკრეტები, დღეს გიტრინის მინის ქვეშ ლენინის ოთახში! ყურადღებით, მღელვარებით კითხულობენ მათ მზღვარები, მუშები, გლეხები — ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანები. მათი გული სიამაგიე იცხება. საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა საყოველთაოდ ცნობილი და უცვლელია.

ჩვენი ქვეყნის მუშებმა კლასი და მშრომელი გლეხობა აღფრთოვანებული შეხვდნენ საბჭოების მეორე სრულიად რუსეთის ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ყრილობაზე ლენინის გამოცხადა აღბეჭდილია მხატვარ ი. სერგებიაკოვის ცნობილი სურათზე. სმოლნის სახლ-მუზეუმებში ამ სურათის ფოტოპირია.

სმოლნი ვლადიმერ ილიას ძემ ჭეშმარიტად ტიტანური მუშაობა გასწია, ხელმძღვანელობდა მსოფლიოში პირველ საბჭოთა მთავრობას, კომუნისტურ პარტიას, დაწერა საბჭოთა მთავრობის პირველი დეკრეტი და განკარგულებანი, იღებდა მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა, მზღვართა დელეგაციებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, რომლებიც მასთან ჩადიდნენ რუსეთის ყველა კუთხიდან.

თვითუღლ ასეთ საუბარს ვლადიმერ ილიას ძე იყენებდა იმისათვის, რომ უკეთ გაეგო ხალხის განწყობილება და საჭიროებანი. მიუხედავად იმისა, რომ ვ. ი. ლენინი დაკავებული იყო უდიდესი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეებით, იგი გულისხმევად ეხმარებოდა ყოველივეს, რაც კი მშრომლებს, უბრალო ადამიანებს აღუვლიდა. ქარხანა „ერეკოსნის“ მუშა ა. სემენოვმა სმოლნი მოიტანა მუშების საჩივარი ხელფასის შეგვიანების შესახებ. ვლადიმერ ილიას ძემ მიიღო მუშა და აქვე კ. მენდინსკის მემეგობით მისცა ბანკს წერილობითი განკარგულება: „დეკრეტებზე მიეციეთ აშხ. სემენოვს 500 ათასი მანეთი ქარხანა „ერეკოსნის“ მუშებისათვის ხელფასის დასარიკებლად“. დოკუმენტზე არც ბეჭედი იყო და არც ტიკა. მაგრამ ის საბჭოთაბის წარმოადგენდა ბეჭედ, რტა მსოფლიოში ასეთი ხელის მოწერა — ლენინი ერთადერთი იყო!..

მას შემდეგ, რაც ვლადიმერ ილიას ძემ თავი მინაგბ ბინას სურდობოლსკის ქუჩაზე და სმოლნი გადავიდა, მას თითქმის სამი კვირის განმავლობაში არა ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. დასვენების ხანმოკლე საათებს იგი ან ნათესავებთან, ან ახლო ახსანაგებთან ატარებდა.

ლენინი გამოთქვამდა სურვილს, რომ მისი საცხოვრებელი ყოფილიყო რაც შეიძლება ახლოს სამუშაო ადგილთან. იმ პირობებში, განსაკუთრებული დაძაბული მუშაობისას, რასაც ვ. ი. ლენინი ეწეოდა, ყველაზე მიზანშეწონილი იყო, რომ მას აქვე, სმოლნიშვე ეცხოვრა.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ვ. ი. ბონბრევერს და სმოლნის კომუნდანტს პ. მაკოცს მიეწყობთ ვლადიმერ ილიას ძისა და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუსკაიასათვის საცხოვრებელი და სამუშაო ოთახი.

ლენინი დასახლდა მეორე საბურთალოს. იმ ოთახში, სადაც ვლადიმერ ილიას ძე და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ცხოვრობდნენ, ახლა ყველაფერი ისეა მოწყობილი, როგორც იმ დაუვიწყარ 1917 წელს იყო. ეს არის მეტად უბრალო და ზედმეტობას მოკლებული მცირე ზომის ოთახი ფანჯრით, რომელიც სმოლნის შიგნითა ეზოში იყურება. არასრული სიმაღლის ხის ტიხრით ორად გაყოფილი ეს ოთახი ერთდროულად სასაიდლოც იყო, სამუშაო ოთახიც და საძინებელიც.

კარების მარცხნივ უბრალო, სარკიანი კარადა და მცირე ზომის ბუფეტი დასა, კედელთან — პატარა სამუშაო მაგიდა, რომელზეც აწყვიტა ტელეფონის აპარატი, უბრალო საწერი მოწყობილობა ხის კალმისტრით და ნავთის ლამპა. ვლადიმერ ილიას ძის ოთხთნთ ლამპას მოაძიერეს საფითოე და გაუქმეს ილექტროსათურა. როცა ელვანათება არ იყო შეიძლებო-ურის მოხსნა, ნავთის ჩასხმა და საფითოს თავის დაღვ დაყენება. მაშინდელ პირობებში ეს მეტად ხელსაყრელი იყო.

სამუშაო მაგიდაზე მინის ქვეშ მოთავსებულია იმდროინდელი გაზეთები.

მოპირდაპირე კედელთან არის დივანი და საფარძლები თეთრი საფარებით, ზოლო მათ შორის — პატარა ოვალური მაგიდა.

ტიხრას უკან ჩანს კაფელის ღუმელი, მის გვერდით — ტანსაცმლის მცირე ზომის კარადა და ორი უბრალო რეინის საწოლი. მათ შორის პატარა მაგიდაა, მასზე კი მცირე ზომის მრგვალი სარკე.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში ბელადის მრავალმხრივ მუშაობაზე მოგვიხიბობს სმოლნის სახლ-მუზეუმში წარმოდგენილ დოკუმენტები. ამ დოკუმენტებს შორის არის ლენინის მიერ 1917 წლის 26 და 31 ოქტომბერს შორის არის წერილი „შუშათა კონტროლის დებულების პროექტის“ ხელნაწერის ფოტოკოპია, „მშრომელი და ექსპლუატირებული ხალხის უფლებთა დეკლარაციის“ ხელნაწერის ფოტოკოპია და მრავალი სხვა დოკუმენტი.

მუზეუმის ექსპოზიციის დათვალიერებისას ნახათ მხატვარ ი. ი. ბროდსკის ცნობილ სურათს „ვ. ი. ლენინი სმოლნიში“. აქვეა ფოტოპირი მხატვარ მ. გ. სოკოლოვის ნახატისა, რომელზეც აბეჭდილია ლენინის საუბარი წითელგვარდიელებთან სმოლნის პატარა ოთახში.

სმოლნიშ ლენინთან ხშირად მიდიოდნენ გლეხთა წარგზავნილები. იგი დაწერილებით გამოიკითხავდა მათ სოფლის ამბებს, პასუხობდა კითხვებზე, განუზრტავდა პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას. ასეთი საუბარი ასახულია მხატვარ გ. ა. სეროვის სურათზე „გლეხთა წარგზავნილები (ხიდადები)

ვ. ი. ლენინთან“, რომლის ფოტოპირიც წარმოდგენილია ექსპოზიციაში.

რევოლუციის დიდი ბელადი მუდამ მუშებდა, გლეხებსა და ჯარისკაცებს შორის იყო, სწავლობდა მშრომელების განწყობილებას, საჭიროებას. ის არა მარტო ასწავლიდა ხალხს, არამედ თვითონვე სწავლობდა ხალხისაგან მის სიბრძნეს, გამოცდილებას.

მუზეუმში თავმოყრილი ისტორიული დოკუმენტების დათვალიერებისას, კვლავდაკვლავ ვრწმუნდებით, თუ რაოდენ მძქვეფარე, მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდა ვ. ი. ლენინი. მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილ დოკუმენტებს შორის არის ლენინის ცნობილი ნაშრომის „როგორ მოვაწყობ შეპირებება?“ (ხელნაწერის ფოტოკოპია). ეს ნაშრომი ვლადიმერ ილიას ძემ დაწერა 1917 წლის 24-27 დეკემბერს, ხოლო პირველად გამოქვეყნდა 1929 წლის 20 იანვარს.

ლენინი ბევრს და დაძაბულად მუშაობდა, და მხოლოდ იშვიათად, საღამოობით, როცა ნ. კ. კრუსკაია სამუშაოდან ბრუნდებოდა, ისინი, თუ ვლადიმერ ილიას ძე დაკავებული არ იყო, მიდიოდნენ სმოლნის მახლობლად საყირობო. მაშინ ლენინი ისე დადიოდა, რომ დაეცვა არ ახლდა, მაგრამ სმოლნის მცველი მეტყვეამფრტყვევები თავიანთი ინიციატივით თვალყურს მაინც ადევნებდნენ.

სმოლნიშ ექსპურსიის დროს მნახველები გაივლიან სააქტო დარბაზსაც, სადაც ყველაფერი ისევე ვლადიმერ ილიას ძეზე მეტყველებს, გვახსენებს უქტროგრადის საბჭოს და საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის ისტორიულ სხდომებს, რომლებზეც ოქტომბრის დღეებში ლენინი სიტყვებით გამოდიოდა.

სააქტო დარბაზის კედელზე თეთრი მარმარილოს დაფაზე ოქროს ასოებით ამოკვეთილია ტექსტი პირველი საბჭოთა კონსტიტუციისა, რომელმაც საკანონმდებლო წესით განამტკიცა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიდი მონაპოვრები.

სმოლნი! საუკუნეობით იცოცხლებს ხსოვნა იმ დღეებისა, როცა მალხმეა ძეგლავა ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელა უკვამოსილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია.

აქ, სმოლნიშ, ადამიანები ჩამოდიან ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. აქედენვე მოისწრაფვიან სტუმრობენ უცხოეთიდან. დიდხანს დგანან მნახველები და ათვალერებენ ექსპონატებს, დოკუმენტებს, ლენინის პირად ნივთებს, როგორც ყველაზე წმინდა და ძვირფას რელიკვიებს.

ბევრი მნახველი ტრავებს ჩანაწერს შთაბეჭდილებათა წიგნიში. ეს ამბულელებელი დოკუმენტები რევოლუციის გენიალური ხელდასისამი ხალხთა უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემისამადასტყურებელია.

ჩანაწერებში ერთი აზრია: დიდ ლენინზე ვერ იტყვი: „ის იყო“, მასზე ყოველთვის ვამბობთ: „ის არის, ის ჩვენშია, ის ყველგან ჩვენთან არის“.

გაღის წალბი. ბევრი რამ ქრება თოხათა მესხიერებაში. დავიწყების ელვევა სახელები. მაგრამ ლენინის სახელი იცოცხლებს საუკუნეებში. ლენინი მარტო ჩვენი გმირული ისტორია როლია, ის ჩვენი აწყყოც არის და მომავალიც.

დაღესტნური ჩანახატი

ცადატორცნილი მთები, კლდეებში გადაჩეხილი ჩანჩქერები, პიტალოებზე მერცხლის ბუდეებით შეყუყუელი აულები...

დაღესტნელი ვაჟაკები — მთელი ცხვრისოდნა ფაფახებით, არწივისებური გამოხედვით. ქალწულები — ჩანჩქერებით თეთრი სახეებითა და მზისსაწუნარი სილამაზით.

დაღესტანი!

ეს არის უამრავი მომხიბლავი ლეგენდა შა-



ლის ნახატები თავისი მხატვრული ძალით ვერ შეედრება დაღესტანზე შექმნილ უკვდავ ნაწარმოებებს, მაგრამ მათში მოჩანს ის დიდი სიყვარული, გატაცება, აღფრთოვანება, რომელიც აუცილებელია შემოქმედის წრფელი გრძნობის გამოსაცემად.

გურამი ჯერ ძალზე ახალგაზრდაა (სამხატვრო აკადემიის მეოთხე კურსზე სწავლობს), მთელი მისი მომავალი წინაა. ალბათ კიდევ ბევრჯერ დაუბრუნდება მხატვარი დაღესტნის თემას და უფრო მეტი სისავსით ასახავს მას.

გ. დოლენჯაშვილმა დაღესტანი პირველად ნახა, როცა III კურსზე იყო. ერთი წლის შემდეგ იგი კვლავ ეწვია მას. ამ სტუმრობის შედეგად შეიქმნა ორასზე მეტი ჩანახატი და ესკიზი. რამდენიმე მათგანს ჟურნალის ამ ნომერში ვთავაზობთ მკითხველს.

პასხანა გოგოლაშვილი

მილსა და პაჯი-მურატზე, თავისუფლების განუსაზღვრელი სიყვარული, რომანტიკული მომხიბლაობა...

სულ სხვადასხვაგვარად აისახება დაღესტნის სილამაზე უამრავ ლიტერატურულ, მხატვრულ თუ მუსიკალურ ნაწარმოებში, რომლებიც ამ მხარეზე შექმნილა.

ახალგაზრდა მხატვრის გურამ დოლენჯაშვი-



ემირ ბურჯანაძე
ახალგაზრდა კოლმეურნე ქალი
(ილუსტრაცია)



ასლან ჭანტურია
ტყვარჩელი
(ლინოგრაფია)

ინა კელიძე

ქართული ხალხური ზღაპრის ილუსტრაცია

ესაღბაზრღა

მსაბჱკაგონს

სასაღოსსოღი



ემირ ბურჯანაძე
ფიგური

ბრის, 1965 წლის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს, რამაც ბოლო მოუღო ხელმძღვანელობის ერთპიროვნულ, დასავლობ სტილს, კვლავ აღადგინა ერთიანი პარტიული ორგანოების აგების ლენინური ორგანიზაციული პრინციპი, დასაბამი მისცა სახალხო მუერნობის სატირობო-ტო პრობლემებისადმი ახალ მიდგომას, რომელსაც საფუძვლად უდევს ეკონომიური განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა ღრმა მეცნიერული ანალიზი.

ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შრომის ეს პერიოდი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იგი ღირსეულად ხვდება სკკპ ოცდამეხუთე ყროლობას, და ამავე დროს უდიდესი აღმავლობით ემზადება ოქტომბრის რევოლუციის 50 და დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

ამ აღმავლობის საერთო ფერხულში მოწინავეთა რიგებში დგანან ჩვენი რაიონის კომუნისტებიც, მშრომელთა მრავალათასიანი არმია.

კომუნისტური პარტიის წარმმართველი შემოქმედებითი მოღვაწეობა მარქსიზმ-ლენინიზმის მტკიცე საძირკველზეა დამყარებული. აღამიანების მარქსისტულ-ლენინური განათლება, პოლიტიკური ჰორიზონტის განუწყვეტელი გაფართობება წითელ ზოლად გასდევს ჩვენი პარტიის საქმიანობას. ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, რომ პარტიული პრობაგანდა, კომუნისტთა და უპარტიოთა თეორიული სწავლება გამოყენებული იქნას კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად.

ოქტომბრის რაიონის პარტიული ორგანიზაციები გასულ წელსაც მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდნენ პოლიტგანათლებას, მაგრამ ამ საქმეს თან სდევდა ის არსებითი ხასიათის საერთო ნაკლოვანებაც, რაც დამახასიათებელი იყო უკანასკნელი წლების პოლიტსწავლებისათვის. ეს იყო ისტორიული, პარტიული, ფილოსოფიური პრობლემების, პოლიტეკონომიის თეორიული საკითხების შესწავლისადმი ყურადღების შესუსტება, სასწავლო გეგმების მიზანდასახულობის უქონლობა, თემატიკის განუწყვეტელი ცვალებადობა, ზერელობა, ციფრობრივი მონაცემებით გატაცება და ა. შ. ახლა უკვე მოხდა ძირეული გარდატეხა ღრმა შენარსიანი მარქსისტულ-ლენინური პარტიული სწავლების მოსაწყობად, თემცა გასაკეთებული კიდევ ბევრია.

სასწავლო წლის განვლილი პერიოდი მოწმობს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა სწორად გაიგეს თანამედროვე ეტაპზე პარტიული სწავლებისადმი წაყენებული მოთხოვნები. ამ მხრივ მისაბამ მაგალითს იძლევა № 1 სამკერვალო ფაბრიკის, პტნიიმეს, მოდელეების სახლის, ორჯონიძის სახ. ჭარხნის, მოავარფოსტამტის, რაიონის სარემონტო კანტორის, ფესხაცმელების სამოდლო ფაბრიკის, ცენტრალური რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს, 23-ე, 31-ე, 33-ე სკოლებისა და სხვა მრავალი პარტიული ორგანიზაცია. მაგრამ ზემოთ აღნიშნული სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ რაიონის ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ დააღწია თავი პარტიული სწავლებისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას. როგორც სასწავლო წლის შედეგებმა დაგვარწმუნა, რაიონის ზოგიერთი პარტიორგანიზაცია ჯერეონად არ აფასებს პარტიული სწავლების მნიშვნელობას.

სრული ყურადღება აღამიანის სულიერ აღზრდას

ბგებული დანელია

საქ. კ. თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი



იმდინარე წელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენებით აღინიშნა. საქართველოს მშრომელების შემოქმედებითი გარჯა მაღალი შეფასებით დაგვირგვინდა, სამყურნო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ლენინის მერე ორდენით დაჯილდოვდა.

პართიული ხალხი ამ დამასახურებელ ჯილდოს სამართლიანად უკავშირებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და ნოემ-

პარტიული სწავლების ქმედობა, მისი ხარისხი და იდეური დონე გადამწყვეტადაა დამოკიდებული პროპაგანდისტთა კადრებზე. პროპაგანდისტთა უმრავლესობა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკია. ბევრი მათგანი უკვე რამდენიმე წელია კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობის თვლი შევნიშნე ეწევა პროპაგანდისტულ მუშაობას.

პროპაგანდისტთა დახელოვნებისა და ცოდნის გამდიდრების საქმეს ჯეროვან ყურადღება აქცევს რაიონული პარტიული, სადეპუტაციო პროპაგანდისტთა დიფერენციალური სემინარები, ხოლო მეოთხე-საბჭო პერიოდულად აწყობს და მეცადინეობებს, ატარებს თეორიულ კონფერენციებს.

სასურველი შედეგი გამოიღო პარტიული და სამეურნეო აქტივის პარტიულმა სწავლებამ. დღლისათვის რაიონის არცერთი ხელმძღვანელი მუშაკი არაა დარჩენილი პარტიული სწავლების კრებულში, მაგრამ ყურადსაღებია ისიც, რომ ყველა ერთნაირი მონდობითა და პასუხისმგებლობით არ კავდება სხვისი და საკუთარი თეორიული ცოდნის დონის ამაღლების საქმეს.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში პარტიის რაიონული კომიტეტი დახმარებასა და კონტროლს უწევს კომპაგვირის რაიონულ კომიტეტსა და პირველად კომპაგვირულ ორგანიზაციებს კომპაგვირული პოლიტსწავლების ქსელის დაკომპლექტების, პროპაგანდისტთა შერჩევის და მსმენელთა შორის სათანადო მუშაობის გაშლაში. იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც მასობრივ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში არ არიან, მიმდინარე წელს შექმნილია 38 წამე და სემინარი, რომლებშიც 1025 კომპაგვირულია გაერთიანებული.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და ყველა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ განუწყვეტელივ და კონსტანტულად უნდა ხელმძღვანელოს პარტიის წევრთა და კომპაგვირულთა მარქსისტულ-ლენინური განათლებისა და სწავლების საქმეს. მიმდინარე სასწავლო წელს კიდევ უფრო უნდა ამაღლოს პარტიული სწავლების დონე, გაზარდოს თვითეული კომუნისტის ავანგარდული როლი, მისი პოლიტიკური აქტივობა.

სერიოზული ყურადღება ეთმობა ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკთა ეკონომიურ სწავლებასაც. რაიონის მსხვილ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, მთავარი ინჟინერები და ეკონომისტები ჩამოული არიან საქალაქო ეკონომიურ სკოლაში, შეიქმნა ერთი რაიონული სკოლა. მსგავსი სკოლები და წრეები ჩამოყალიბდა ლოგიური ფაბრიკა-ქარხანასთან.

მეტი ყურადღება ექცევა მშრომელთა ფართო ფენებში მასობრივ-პოლიტიკური პროპაგანდის გაძლიერებას, ბოულარული ლექტორების, თეორიული და პოლიტიკური პრობლემებისადმი მიძღვნილ კითხვა-პასუხის საღამოების მოწყობას, სახალხო უნივერსიტეტების მუშაობას.

სააგიტაციო მასობრივი მუშაობის ერთ-ერთ საბრძოლო უბნად მიჩნეულია მოსახლეობასა და ახალგაზრდობაში ათვისებული მუშაობის ფართოდ გაშლა. სისტემატურად უწყობა საუბრები და ლექცია-მოსმენებები, ჩატარდა რაიონული თეორიული კონფერენცია თემაზე „რელიგიური მორალი და მისი რეაქციული არსი“. მაღალი ინტერესი გამოიწვია გორკის სახელთან შექმნილმა კინო-ლექტორიუმმა, ათვისებული კინოფილმების ჩვენებაში.

დიდი ყურადღება ექცევა მოსახლეობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდას. ქართული, რუსული, სომხური სკოლების მოსწავლეთა შორის მეგობრობის განმტკიცებას. შთამბეჭდავად ჩატარდა საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი რაიონული საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო გმირული კუნის წარმომადგენლებმა. სასარგებლო მუშაობა გაიშალა ქუთის მოსახლეობას შორის.

სერიოზული ყურადღება ექცევა თვალსაზრის აგიტაციის სასურველ სიმაღლეზე დაყენებას. პრესის დღესთან დაკავშირებით უწყობა კედლის გაზეთების რაიონული კონკურსი.

ამგვარად, მშრომელთა იდეოლოგიური აღზრდის ამოცანის გადაჭრას დიდად უწყობს ხელს ლექციური პროპაგანდისა და სააგიტაციო მუშაობის სწორად წარმატება, მაგრამ სააგიტაციო ლექციურ მუშაობას მეტი ყურადღება სჭირდება. იგი უფრო მალე უნდა გაგზავდეს მშრომელთა მასების კომუნისტურად აღზრდის მიზნად, მოქმედი ფორმად.

პრატეკული საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პირობას წარმოადგენს ის, რომ „მშრომელთა, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდა თაობის, კომუნისტური აღზრდის საკითხები თვითეული პარტიული ორგანიზაციის, მთელი საბჭოთა საზოგადოების საქმიანობის ცენტრში იდგეს“. ეს კი უპირველესად სასწავლო-სააღზრდელი დაწესებულებებში იღებს თავის სათავეს. ამიტომ სისტემატური შეთავაზურება სჭირდება მოსწავლე ახალგაზრდობას შორის მუშაობას, სასკოლო-პარტიული, კომპაგვირული და პიონერული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, მშობლებს, ოჯახს, წარმოება-დაწესებულებებისა და მთელი საზოგადოებრივის ჩამას ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებში. ამ მიზნით გასულ წელს ფართოდ გადაიხიჯა სკოლებში სასწავლო-სააღზრდელი და პოლიტ-აღმზრდელი მუშაობა, გამოვიინდა უწყვირო მუშაობის გამოყენებები მიზეზები, ანალიზი გაუკეთდა მიუზარდი ახალგაზრდობის მიერ ცუდად სწავლის, სკოლის მიტოვების თუ ხელისშეწყობის ფაქტებს; სერიოზული მსჯელობის საგნად იქცა ისეთი საკითხები, როგორცაა სკოლების პარტი-ორგანიზაციების ბრძოლა გაცდენა-დაგვიანების წინააღმდეგ, უფროსწავლელთა სწავლების ხარისხის მდგომარეობა, მეორე-წლიან მოსწავლეობას სკოლის პედაგოგიკების, კლასის ხელმძღვანელების მუშაობა. ამავე დროს მკვთვრად გაიზარდა ოჯახისადმი მოთხოვნეულობა ახალგაზრდობის აღზრდასთან დაკავშირებით, სერიოზული მსჯელობა მოეწყო შვილების აღზრდაში რაიონის ხელმძღვანელი მუშაკების მონაწილეობის ირგვლივ, მწვავედ გაიკვირნენ ისინი, ვინც საჭირო შეთავაზურებას არ იჩენს შვილებისადმი. მეცადრე მოთხოვნა პასუხი იმ მომენტებს, რომლებიც ანგრეობს ოჯახებს. ამის შედეგად მრავალ მშობელს მოუხდა თავისი მოტივიების გადახიზნა, კოლექტივის მტკიცე მოთხოვნისათვის ანგარიშის გაწევა.

კარგი შედეგი გამოიღო მშობელთა სამუშაო ადგილის მიხედვით მათი შვილების სწავლისა და ყოფაქცევის შესახებ შეტყობინების პრაქტიკამ. ამის შედეგად არა ერთსა და ორ მშობელს მიუკითხავს შვილისათვის სკოლაში, არა ერთ წარმოების ხელმძღვანელსა და პარტიორგანიზაციის მდიანს მუეწირა პასუხი და ყველა ისინი კმაყოფილებას გამოთქამანდნ

ახალგაზრდობის აღზრდისადმი ასეთი ქმედითი ყურადღებებისათვის.

სკოლის მუშაობის გასაუმჯობესებლად გატარებულმა ღონისძიებებმა უკვალოდ როდი ჩაიარა. გასული 1964-65 სასწავლო წელი რაიონის სკოლებს შედარებით უკეთ დაამთავრეს. წლის ბოლოსათვის ათი საშუალო სკოლის 8994 მისწავლედან ყველა საგანში ასწრებდა 8341, ანუ 92,8%. გაიზარდა ხეთოსან და ითოსან მისწავლეთა რიცხვი. საშუალო სკოლა ოქტოს მდლით დაამთავრა 20-მა, ვერცხლისა კი 37-მა მისწავლემ. ყველა მათგანმა წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები. გასული სასწავლო წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა 38-ე, 23-ე, 31-ე, საშუალო სკოლებმა.

მიმდინარე წლის 1 ნახევრის შედეგების მიხედვით მასობრივი სკოლების 9408 მოსწავლიდან 8206 ყველა საგანში ასწრებს ე. ი. მოსწრების საერთო პროცენტი 84,2 უდრის

მაგრამ მისწავლეთა აღზრდის საკითხებში მიღწეული წარმატებები და თუნდაც ურთავლულობის სიკარგე დამშვიდების უფლებას როდი იძლევა, რადგანაც ერთის ფრანკონობა, ანდა წესებრება ვერ გადაფარავს მეორის უცივობასა და უღისცივობას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე უდიდესი მზრუნველობით ვეცდებამ მუშათა კლასის ღირსეული ცვლის აღზრდის საქმეში. ოქტომბრის რაიონში ორი სახელოსნო სასწავლებელია: № 5 და 35. ისინი ძირითადად ცუდად როდი ართმევენ თავს მათ წინაშე მდგარ ამოცანებს, მაგრამ აღინშნული არ ნიშნავს იმას, რომ ამ საქმეში ყველაფერი რიგზეა, განსაკუთრებით საწარმოო კვლიეფიციაციის დონისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მყოფ მისწავლეთა აღზრდის მხრივ.

ცნობილია, რომ ბავშვთა აღზრდა ჯერ კიდევ საბავშვო ბავშვი იწყება და ამ დაწესებულებათა სწორი მუშაობაზე ბევრად და დამოკიდებული ბავშვის შემდგომი ჩამოყალიბების საქმე. რაიონში განათლების განყოფილებას დაქვემდებარებული 11 და 5 საუწყებო ბაღი და ბავა-ბაღია. მიუხედავად იმისა, რომ საბავშვო ბაღების საბინაო ფონდი და მატერიალური ბავა უმეტეს შემთხვევაში არასასარბილოა, სასწავლო- აღზრდელბითი მუშაობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. მაგრამ საბავშვო ბაღების მუშაობაზე საკმაო ნაკლოვანებებია და დარღვევებით ხასიათდება. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს აღზრდელთა შემადგენლობისთან მუშაობა, ბავშვთა ჯანმრთელობისა და კვების სწორად ორგანიზაციის საქმე. ამ და სხვა ნაკლოვანებათა წინააღმდეგ უნდა წარიმართოს ახლა მუშაობა.

ახალგაზრდობის აღზრდა მარტო სკოლით არ შემოიფარგლება, გაკვირვებისაგან და სამუშაოსაგან თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენება უდიდესი მნიშელობის ფაქტორია. ამასთან დაკავშირებით, მთელი სიგრძე-სიგანით დება მსატარული ლიტერატურის, კინოს, ტელევიზიის, ჩვენნი თვატრალური და დგამების თეატრისა და რეპერტუაჟის ისე შერჩევის საკითხი, რომ ახალგაზრდობა ნამდვილად პოულობდეს იქ ეპოქის შესაფერის, მისთვის საინტერესო და სასარგებლო სულიერ საზრდოს. ამ მხრივ საყურადღებოა კინო „ნაკადულის“ მიერ მოწყობილი ღონისძიებები, კინოსურათე-

ბის თემატიკის შერჩევა სასწავლო-აღზრდელბობით პროცესთან დაახლოვების მიზნით. ნაყოფიერად მუშაობს, აგრეთვე 37-ე სკოლის შენობაში გახსნილი ესთეტიკური აღზრდის კაბინეტი, რომელსაც თავისი ჯგუფები აქვს რაიონის სკოლებში.

როგორც ახალგაზრდობის, ასევე მშრომელთა მასების კომუნისტურად აღზრდამი დიდი ადგილი უკავია ფიზკულტურულ და კულტმასობორე მუშაობას. ამ მიმართულებითაც ბევრი რამ გაკეთდა სკოლებსა და მსხვილ წარმოება-დაწესებულებებში.

მნიშვნელოვანი წარმატებები გააჩნიათ სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ინსტიტუტებს, ჩვენს ინტელეფიციას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ინსტიტუტში სპეციალური საკონსტრუქტორ ბიუროს კოლექტივის წარმატება მსოფლიოში პირველი ჩაის საურთე მანქანა — „საქართველოს“ შექმნისა და სრულყოფის საქმეში, აღნიშნული ორგანიზაციის წარმატებით ართმევენ თავს სამჭოთა კავშირის ყველა მთავარიანი რუსუბლების სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, სუბტროპიკული კულტურისა და თამბაქოს დამუშავების მანქანების შექმნის ამოცანებსაც.

გამოთვლელი სპეციალიზირებული მანქანების შექმნის, საწარმოო პროცესების მართვისა და ავტომატიზაციის ურთულეს პრობლემებზე წარმატებით მუშაობს ხელსაწყომშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი.

მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო ტექნოლოგიურმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (პტინი) უკანასკნელი ორი წლის მანძილზე დიდი სამუშაოები ჩაატარა რესუბლებთან საწარველო საწარმოების შრომის სწორი ორგანიზაციის საქმეში. ინსტიტუტის შრომისმოყვარე კოლექტივმა აღებული ვალდებულებანი ვადაზე ადრე გადაჭარბებით შესარულა. 7 პრობლემაზე და 17 თემაზე მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებთა აკადემიის მელქი-შვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი. კოლექტივი ერთ-ერთი ინიციატორია საბჭოთა კავშირში უმნიშვნელოვანესი მეცნიერული საკითხის წამოჭრა-კვლევაში.

რაიონი მდიდარია სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების ქსელით, აქ თავმოყრილია საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ჯანმრთელობის დაწესებულებები, ტრამპელოლოგიისა და ორთოპედიის, ექსპერიმენტალური მორფოლოგიისა და კარდეოლოგის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები, რომელთა სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობა დიდი ხანია გასულია კავშირის ფარგლებსაც.

რაიონის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი მიეკუთვნება საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ექსპერიმენტალური მორფოლოგის ინსტიტუტსაც.

აღინშნული სამეცნიერო და საკვლევო საპროექტო ინსტიტუტების მუშაობაში მოპოვებული წარმატებები დიდდა განწარმოებული მათი პარტიული ორგანიზაციების უნარიათა და ქმედითი მუშაობით. როგორც წესი, საკმაო მნიშელოვან და

საპასუხისმგებლო უნებზე კომუნისტები ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს, ტონს აძლევენ მიუღწეველ დარგებს.

მაგრამ როგორც ტექნიკურ, ასევე სამეცნიერო დარგის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს და მათ პარტორგანიზაციებს მოპოვებულ წარმატებებთან ერთად მტკ-ნაკლებად ახსიათებთ ნაკლოვანებანი: ცუდადაა დაყენებული სამეცნიერო ინსტიტუტების ნამუშევართა პრაქტიკაში დანერგვის საქმე. ეს განსაკუთრებით ტექნიკური დარგის ინსტიტუტებს შეეხება. კიდევ შეიმჩნევა მრავალთემიურობა, შესრულებული სამუშაოების ვადების დარღვევა და დაბალი დონე. სერიოზული ნაკლოვანებებია ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადებისა და სამუშაო თემების შერჩევა-დამუშავების საქმეც. თითქმის ყველა ინსტიტუტში კვლევა იგრძნობა მეცნიერი მუშაობა ერთი ნაწილის დაუტყობილობა. ასპირანტთა კადრების შერჩევისადმი ნაკლები ყურადღების შედეგად ზოგჯერ ასპირანტურში ხვდებიან სუსტად მომზადებული და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის შეუფერებელი პირები. აკადემიური ჩამორჩენისათვის გაირიცხა ერთი ასპირანტი. მარტო ერთი ინსტიტუტის რვა კურსდამთავრებული ასპირანტიდან სამი წლის მანძილზე დისერტაცია დაიცვა მხოლოდ ერთმა, ხოლო მეორე ინსტიტუტის 21 ასპირანტურა-დამთავრებულნიდან არცერთს არ დაუცავს დისერტაცია. სერიოზული სახის დარღვევები გვხვდება საკვლევო თემის შერჩევის დატოვებაც.

გვესმის ქვეყანაში ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისკენა მიზანშეწონილი, მისი მუშაობისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ემსახურება. ოქტომბრის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მრავალათასიანი კოლექტივის სასახლად უნდა ითქვას, რომ ისინი მთელი შესაძლებლობით იღვრიან მათ წინაშე მდგარი მოვალეობის პირნათლად შესასრულებლად და სერიოზული წინამატებები აქვთ მოპოვებული.

ამჟამად დარღვივის მოსახლეობას ემსახურება 8 სამედიცინო სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულება, 11 საექიმო ჯანბუნებტი, 258 ექიმი და 341 ექიმის თანამშემო.

დიდი ცვლილებები განიცადა რესპუბლიკურმა პირველმა ცენტრალურმა კლინიკურმა საავადმყოფომ. გაუმჯობესდა მისი მატერიალური ბაზა, კეთილმოწყობილი და უახლესი უნიკალური სამკურნალო მოწყობილობებით შეივსო კანცერ-ლაბორატორიები. ამ საავადმყოფოთაათვის უკვე დაიწყო ახალი თორმეტსართულიანი გრანდიოზული შენობის აგება, რომელიც მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით იქნება აღჭურვილი.

გაიხსნა ბავშვთა ახალი, სანიმუშოდ მოწყობილი საავადმყოფოც, რაც დიდი შენაძენია არა მარტო რაიონის, არამედ ქალაქის მოსახლეობისათვის. მწყობრში ჩადავა ქალთა კონსულტაციის ახალი შენობა. მიუხედავად მეცირე ფართობის, ენერგიულად იღვრის ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფო. ასევე მიიმთ საინოა პირბობების მოუხედავად, ცუდად არ მუშაობენ რაიონის პოლიკლინიკები, სასპეცულაციო დაწესებულებები, რაიონის სანეპიდსადგურები, მაგრამ ჯერ კიდევ ცოტა როდია ფაქტები ავადმყოფთა მოვლა-პატრონობის საქმეში უსულგულო დამოკიდებულებისა, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

წიგნი ყოველთვის იყო და არის ადამიანის სულიერი სამყაროს შემადგენელი ნაწილი, მეგობარი და მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძლიერი საშუალება.

სამამომცემლო, მუქდვისა და წიგნით ვაჭრობის მდგომარეობა ყოველთვის იყო და არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი.

მრავალი ახალი და საინტერესო წიგნი მოამზადა და გამოცა „საბჭოთა საქართველოში“, „განათლების“ და „ნაკადულის“ გამომცემლობებმა. ასეული ათასობით და მილიონობით წიგნი მიიტანეს მკითხველამდე „საქწიგნის“ სისტემის მუშაკებმა.

სახელმძღვანელობა გამომცემის გეგმა შეასრულა გამომცემლობა „განათლებლამ“. გასაგებია, თუ როგორი დიდი საქმე გააკეთა ამ გამომცემლობის შრომისმოყვარე კოლექტივმა და პარტიულმა ორგანიზაციამ. საყურადღებოა ისიც, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა სახელმძღვანელობა მშატურლო გაფორმების საქმე. მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი როდია გაკეთებული, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ გამომცემლობის პროდუქციას იწყებს გონების თვალთახედვას ჩვენი იმედი და სიამავე, მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა. სწორედ ამიტომ ყოველი სახელმძღვანელო, ყოველი მისი ფურცელი მეცნიერულად ზუსტი, მეთოდურად გამართული და მაღალ დონეზე გაფორმებული უნდა იყოს. ამ მხრივ უფრო მეტის გაკეთება მოუწევს გამომცემლობის კოლექტივს.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ მრავალი მნიშვნელოვანი და საინტერესო წიგნი გამოსცა, რომლებიც ადამიანებს ზრდიან კომუნისტური მორალის სულსკვეთებით, აკმაყოფილებენ მათს ესთეტიკურ მოთხოვნილებებს. შეუმჩნეველი არ არის ის უდიდესი მუშაობა, რასაც გამომცემლობა მსოფლიო ხალხთა მშატურლო აზროვნების შესაინიშნავი ძეგლების ქართულ ენაზე თარგმნით აკეთებს. მაგრამ გამომცემლობის გეგმის ნაწილი შესურსებული დარჩა და მკითხველს ბევრი კარგი და საინტერესო წიგნი დააკლდა.

უკვე საკმაო ხანია, რაც გამომცემლობა „ნაკადულმა“ არა მარტო მოზარდი თაობისა და ახალგაზრდობის, არამედ ფართო მკითხველთა აღიარება და სიყვარული დაიმსახურა. ამ გამომცემლობის წიგნები, როგორც თემატიკის აქტუალობით, ასევე მშატურლო-პოლიგრაფიული მომზადების ხარისხით კარგად პასუხობს თანამედროვე მკითხველის გაზრდილ მოთხოვნილებას. გულსატკეპნია ის, რომ გასულ წელს მან ვერ შეძლო მკითხველისათვის მიეწოდებინა გეგმით გათვალისწინებული ყველა წიგნი. დასახელების მიხედვით გეგმა მხოლოდ 87,2% შესრულდა. აქაც, ისევე როგორც „საბჭოთა საქართველოს“ გამომცემლობაში, ობიექტური მიზეზები საკმარისად შეიძლება მოიხაზოს, მაგრამ შედეგი ამით არ იცვლება და ამ მიზეზების წინააღმდეგ, უპირველეს ყოვლისა, თვით გამომცემლობა და მისმა პარტორგანიზაციამ უნდა იბრძოდეს.

სასიამოვნო სიურპრიზით წარსდა მკითხველის წინაშე მიმდინარე წიგნთა უქრნალო „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია. სასიხარულოა, რომ ეს სიურპრიზი ბოლოს უღებს იმ სერიოზულ ნაკლს, რაც დამახასიათებელი იყო უქრნალობისათვის.

შოთა რუსთაველის საიუბილეო

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი პოეტიკური

10001

მხიველ გორგიძე



რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა რუსეთისა და საზღვარგარეთის ლიტერატურულ სამყაროში. ცნობილი პოეტები და ლიტერატორები ცდილობდნენ ეთარგმნათ იგი და ამით გაემდიდრებინათ მშობლიური ლიტერატურა, თუმცა სხვა ენაზე რუსთაველის პოეზიის პარამონიისა და პოემის ღრმა აზრის გახმოვანებას თვითეული მათგანი უღლებს სიმძლედე მიიჩნევდა. ამასთანავე, საჭმეს ართულებდა მათ მიერ ქართული ენის უცოდინარობა. რუსთაველის ნაწარმოების თარგმნის პირველი ცდები შორეულ წარსულს

აკუთვინს, უმთავრესად ეს იყო პოემის ლექსად თუ პროზაულად თარგმნილი ცალკეული ფრაგმენტები.

საქართველოს კულტურისადმი, „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი გენიალური ავტორისადმი დიდი ინტერესი პირველად ცნობილმა რუსმა მკვლევარმა, მეცნიერმა-ისტორიკოსმა ეფემი ბოლხოვიტინოვმა გამოიჩინა. პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პრეფექტად ყოფნის დროს (1800-1802 წლებში) ბოლხოვიტინოვმა შეადგინა ნაშრომი „საქართველოს ისტორიული გამოსახულება მის პოლიტიკურ, საეკლესიო და სასწავლო მდგომარეობაში“, რომელიც გამოცემა 1802 წელს პეტერბურგში. ნაშრომი დიდი სიყვარულით და აღტაცებით არის დაწერილი.


ეს საფუძვლიანი, თავისი დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი, პირველი რუსული წიგნი საქართველოზე რუს მკითხველს აცნობდა ქართველი ხალხის ისტორიას და კულტურას. ნაშრომი შედგენილია, როგორც მის წინასიტყვაობაში ნათქვამი, უმთავრესად იმ ხანად სანკტ-პეტერბურგში მყოფი ქართველი ელჩებისა და „დემუტატებისაგან“ მიღებული ორიგინალური წყაროებისა და ცნობების მიხედვით. მასხასა-დამე, წიგნი ემყარება მშობლიური ქვეყნის მცოდნე პირების მიერ მიწოდებულ მასალებს. ესენი იყვნენ: საქართველოს ელჩი რუსეთის სასახლის კარზე — გარსევან ჭავჭავაძე და საელჩოს პირველი მდივანი, მწერალი გიორგი ავალიშვილი, აგრეთვე საქართველოს რუსეთთან შეერთების წინა ხანებში პეტერბურგში ჩასული ბატონიშვილები — თინე, ბაგრატი და მხივლი და ეპისკოპოსი ვარლამ ერისთავი¹, რომელთაც ავტორი დემუტატებად იხსენიებს. მათ აზიარეს ბოლხოვიტინოვი საქართველოს ისტორიას, ლიტერატურას და ქართულ ენას, მათი დახმარებით ასრულებდა იგი ქართული ლექსების თარგმანს.

წიგნის ერთ-ერთ თავში — „ქართული მეღვთაობა და მუსიკა“ ავტორი მიგვიხატობს ქართული სიტყვების მრავალ მნიშვნელობაზე, ენის სიმდიდრეზე, განიხილავს ქართული ლექსის რვა სახეობას და პირველ რიგში სანიშნულ მოკყავს ლექსი-შიაირი — რუსთაველის პოემიდან ყველაზე პოპულარული პირველი სტროფი ქართული ტექსტით, რუსული ასოებით დაწერილი: „Ромелман шекмна самкаро залита мит злинерита“... და სხვ. იქვეა სიტყვა-სიტყვითი თარგმანი:

Кто сотворил твердь силою своею крепкою,
И осуществил свыше душу, создал с небеси духовенем,
Дал человекам и землю неисчислимо оразноображенную,
От того суть цари и его суть образ.

შემდეგ იგივე წესით მოკყავს ჩაზრუნული ლექსის ნიმუში ჩაზრუნადის „თამარაინდანი“, აგრეთვე ხალხური ლექსის მაგალითი; შემდეგ ლაპარაკობს პოემა „როსტომიანზე“ და სხვ., მაგრამ უმთავრესად განიხილავს რუსთაველის პოემას. გადმოსცემს „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის ძირითად მხარეებს. პოემის სახელწოდება მას ასე აქვს თარგმნილი: „Баясовая кожа“ (ალბათ, ამის გავლენით დამკვიდრდა პოემის ეს ძველი რუსული სახელწოდება და დარბა იგი ახალი სა-

¹ ეპისკოპოსი ვარლამი — შემდეგ საქართველოს ეგზარხოსი — მიტროპოლიტი.



ხელწოდების „Витязь в тигровой шкуре“– ს შემოღ-
ბამდე).

ბოლშოვიტინოვი ხაზს უსვამს პოემის მაღალმატერუ-
ლობას და მას აღარებს ცნობილ თქმულებებს — ფრანგულ
საგმირო ეპოსს — „როლანდს“, აგრეთვე კულტური ხალხუ-
რი ეპოსის IX, XII, XIII საუკუნეების ბალადა „ოსიანას“
და მათი ყველაზე საუკეთესო თვისებები ხატავს რუსთაველის
პოემის. შემდეგ კი „ვეფხისტყაოსნის“ სურათებითა და მისი
ავტორით აღტაცებული წერს: „უკეთესო სხვაგან სად უნდა შო-
ბილიყო პოეზიის გენია, თუ არა ამ ბუნებით მომხიბლავ ქვე-
ყანაში“. შემდეგ მოჰყავს ცნობები პოემის შემქმნელის ეპო-
ქაზე და დასძენს, რომ რუსთაველი და ჩახრუხაძე თამარ მე-
ფის ახლო ბოიარები იყვნენ, რომ პოემა მეფე ვახტანგ VI
დროს დაიბეჭდა თბილისში, მაგრამ მალე მოსპობილ იქნა
და მხოლოდ იშვიათი ეგზემპლარები გადაარჩაო.

ეს წიგნი, რომელიც საკმაოდ კარგად გამოხატავს საქარ-
თველოს გმირულ ისტორიასა და ქართველი ხალხის უძვე-
ლეს კულტურას, პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის სასუ-
ლიერო აკადემიამ მოწოდებით მიუძღვნა იმპერატორ ალექ-

სანდრე პირველს წინასიტყვაობით: „საქართველო, რომელიც
ჯერ კიდევ 215 წლის წინათ მიენდო რუსეთის ხელმწიფე-
ბის მფარველობას, ახლა კი რუსეთის ტახტის სრული და
პირდაპირი ქვეშევრდომი გახდა. ამიტომ საჭიროა რიგიანი
წარმოდგენა გვექონდეს ამ უკვე ჩვენი თანამემამულე ერის
შესახებ“.

ბოლშოვიტინოვის წიგნმა თავის დროზე საქართველოს
კულტურისადმი რუსეთის საზოგადოებრიობის დიდი ინტე-
რესი გამოიწვია. იგი ითარგმნა ფრანგულ ენაზე 1803 წელს
და მისი კრიტიკული ანალიზი მოთავსებულია 1810 წელს
გამოცემულ „მოგზაურობათა ანალებში“ (XII ტომი, პა-
რიზი). გერმანულ ენაზე კი თარგმნა ფრედერიკ შმიდტმა
(გამოიცა 1804 წელს, რიგა-ლაიპციგი). აქედან შეიტყუ
ევროპამ ქართული კულტურისა და რუსთაველის დიადი პოე-
მის არსებობა. ამრიგად ბოლშოვიტინოვი ფაქტიურად რუ-
სეთსა და ევროპაში რუსთაველის პოემის პირველი მთარ-
გმნელი და ქართული კულტურის პირველი პოპულარიზა-
ტორი გახდა.

საზღვარგარეთელი მოღვაწეებიდან „ვეფხისტყაოსანს“

კ. ბალონტი ქუთაისის ინტელიგენციასა და ახალგაზრდა მწერლებთან ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებთან. 1915 წ. 7 ოქტომბერი. მარ-
ცნიდან მარჯვნივ: I რიგში მესამე — გრ. დიასამიძე, მეოთხე — ვ. გალარინდაშვილი, მეხუთე — ბალონტის მფუფლე, მეექვსე — ალ-
ყანიელი მერევი — რ. ამირაჯების ქალიშვილი, მეოთხე — ირ. კვიციანიძე. 2 რიგი: რ. ამირაჯები (ჩოხაძე), მეოთხე — კ. ბალ-
მონტი, მეხუთე — პ. იაშვილი, მეექვსე — ის. კაკაბაძე, მერევი — ს. გოცოლა. 3 რიგი: პირველი ი. ზარდლიშვილი, მეორე — ა. არი-
ნიშვილი, მესამე — ია ეკალაძე, მეოთხე — გალაკტიონ ტაბიძე და სხვ.



პირველად ფრანგი მეცნიერი, ორიენტალისტი-ქართველოლოგი მარი ბროსე შეეხო. 1829, 1830 და 1831 წლებში ბროსემ ფრანგულ „ახალ აზიურ ჟურნალში“ გამოაქვეყნა წერილები „ვეფხისტყაოსანზე“ და პოემის ცალკეული სტროფების სიტყვასიტყვითი თარგმანი.

* * *

რუსთაველის პოემის პირველი სრული პოეტური თარგმანი შეასრულა აკადემიკოსმა ბელა სვიარმა უნგრულ ენაზე, რომელიც გამოიცა 1917 წელს, ხოლო რუსულ ენაზე — პოეტმა კ. ბალმონტმა, რომელმაც პოემის თარგმნა 1914 წელს დაიწყო.

ბალმონტი შეუდგა ქართული ენის შესწავლას. მოსკოვში ხანგრძლივი დროით ყოფნისას მასწავლებელ დონდუსაგან იღებდა გაკვეთილებს. 1914-დან 1917 წლამდე რამდენჯერმე ჩამოდის საქართველოში, ხვდება მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ეცნობა ქვეყნის ისტორიას, რუსთაველის ეპოქის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს, ხალხის ჩვევებს, ბუნებას, აგრეთვე პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებულ ლეგენდებსა და გადმოცემებს. მის ჩამოსვლას თან ახლდა ქართველ საზოგადოებრიობასთან საზეიმო შეხვედრები. ცნობილი რუსი პოეტის თაოსნობა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო იმ დროისათვის, როცა მეფის რუსეთის მთავრობა და რუსი ველიკოდერჟავინეები დაიწვიეთ ეპყრობოდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას.

1913 წელს თბილისის გაზეთ „თემი“ რედაქციამდე მოაღწია ცნობამ იმის შესახებ, რომ ბალმონტს გადაწყვეტილი ჰქონდა ეთარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. რედაქციამ პოეტს მისასაღმებელი დეპეშა გაუგზავნა, რაზედაც ბალმონტმა უპასუხა: „მთინი სალამი ზეგარდმო მაღლით ცხებულ რუსთაველის სამშობლომ, პოეტურ საქართველოს, სიყრმიდანვე გამოეხლს“.

1914 წლის 6 აპრილს „თემი“ აქვეყნებს პავლე (პაოლო) იაშვილის პარიზიდან გამოგზავნილ ცნობას, რომ მას ბინაზე მოუხანალებია კ. ბალმონტი, რომელიც იმ ხანებში მეუღლითა და ქალიშვილითურთ აქ ცხოვრობდა და მისი თხოვნით წაუკითხავს ზოგიერთ ტაეპი „ვეფხისტყაოსნიდან“. პატისისცემის ნიშნად ბალმონტმა პ. იაშვილს უთავაზო თავისი წიგნი წარწერთ:

„საჩუქრად მისგან, ვისაც უყვარს მატყვევებელი მარგალიტი კავკასიისა, აყვავებული საქართველო“.

ამასთანავე უთქვამს: ვერ წარმოიდგენთ, როგორის ნეტარებით ველი იმ წუთს, როდესაც პირველად დავიხანავ თქვენს სამშობლოსო.

შემდეგ გაზეთი მკითხველებს აცნობებს, რომ სამხედრო გზით 10 აპრილს საქართველოს ტეტურება გამოიწილი რუსი მგოსანი კონსტანტინე ბალმონტი.

მთორ დღეს, 7 აპრილს, „თემი“ ქართველ საზოგადოებას აცნობს ბალმონტს, აქვეყნებს მის სურათს და პარიზიდან მიღებულ პ. იაშვილის მიერ თარგმნილ ბალმონტის ლექსებს: „მსურს“, „ყოფნის ანდერძი“, „იეთი ესპანელს...“, „ნუ მაკონებ წარსულ დროს...“, „ნელ-ნელა“ და კ. ჭიჭინაძის ბალმონტი-სადმი მიძღვნილ ლექსს „ტბის ასული“. 13 აპრილს „ზაკავკასუსკია რევი“ ათავსებს პეტერბურგიდან მიღებულ პოეტი-

ე. ბოლხოვიტინოვა



სადმი მიძღვნილ რუსულ ენაზე დაწერილ ა. აბაშელის ლექსს — „კ. ბ. ბალმონტს“.

ქართველმა საზოგადოებრიობამ — წერა-კითხვის, სიტყვა-კამეული მწერლობის, დრამატული და ფილარმონიული საზოგადოების წევრებმა 12 აპრილს მგოსანს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. ბალმონტს თეატრის შესასვლელსა და კიბეებზე ქალები ყვავილებს უფენდნენ, ზურნის პანგებთა და ტშოთ მიაკილებდნენ მისთვის განკუთვნილი ლოჯისაკენ. პირველად ქართველი საზოგადოებრიობის სახელით სტუმარს მიესალმა აკაკი წერეთელი. სიტყვა წარმოსთქვა ალ. ყანჩელმა, კ. დო-დაშვილმა წაიკითხა მოხსენება ქართული პოეზიის შესახებ, წაიკითხეს აგრეთვე ქართული პოეზიის ნიმუშები და ბალმონტის ლექსები ქართულ და რუსულ ენებზე.

ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მისალოცი სიტყვების შემდეგ ბალმონტი ავიდა სცენაზე და შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც დამთავრა ლექსით:

Скажите вы, которые горели,
Сгорали и сгорели, полюбили,
Вы, видевшие солнце с колыбели,
Вы, чей язык и страстен, и красив, —
Вы, в чьих сердцах горячий пламень жив.
Вы, знающие строки Руставели,
Скажите, как мне быть? Я весь — порыв,
Я весь — обрыв, — и я нежнее свирели!
Мне тоже в сердце вдруг вошло копьё,
И знаю я то, что безрасудно!
Но пусть безумие будет обюдно!
Хочу, горю, молюсь, люблю ес!²

საპასუხოდ მწერალს ოვაცია გაუმართეს. საქართველოს

² „ზაკავკასუსკია რევი“, № 95, 24 აპრილი, 1914 წ.



მარგოლი უორდროპი —
„ვეფხისტყაოსნის“ პირ-
ველი მთარგმნელი ინ-
გლისურ ენაზე. 1912 წ.

ფილარმონიული საზოგადოების გუნდმა და ორკესტრმა ქარ-
თული სიმღერები და მუსიკა შესრულეს, მას მოჰყვა ცეკვები
და ცოცხალი სურათები ქართული პოეზიის ნიმუშებიდან.

სალამოს შემდეგ თეატრის დარბაზში გაიმართა ბანკეტი,
რომელსაც ას კაცზე მეტი დაესწრო, უმთავრესად დაწესებუ-
ლებათა და პრესის წარმომადგენლები. ბევრი გამოვიდა სიტ-
ყვით, მათ შორის აკაკი, რომელმაც ასე მიმართა სტუმარს:

„როცა ჩვენმა წინაპრებმა თქვენ — რუსები მოგიწვიეს,
მასინ ჩვენ, შელითვილებს, დაგვიტოვეს ანდერძი: ნუ დაი-
ვიწყებთ სტუმართმოყვარეობას, გიყვარდეთ რუსები, იმეგობ-
— მე შემოძლია, — მიპასუხა მან, — ხო ტანჯული ვარ, ცოტა თუ გულდასვენებული ვიქნები, დღეში ათი ლექსი ვთქვა, ისეთებს კი ვერ ვიტყვი შოთა და ვაჟა რო ამბობდნენ, აი, ხალხურს კი ვიტყვით. ისე შეამეგრნებ, იტყვი, ამ კაცს ბუზი არ აფერხიაო.

კაცი სამეგრე იმდერს: როცა ძალიან გალაღებულა, მაშინა, როცა ძალიან დარდი შამოაწვება მაშინა და როცა თავი-სუფალია, მაშინა! — დამათვარა ჭრელამ, თან საოცარი მწა-რე ღიმილით მოაკოლა თავისი გაღვქსილი თავგადასავალი:

ჭრელამ თქვა თავისთავზედა,
ბრეჯ კაცი ვარ ცოცხელი,
დავებდრი, აღარ შამოძლიე,
ორახედა ვარ მოხრილი.
ფეხთ ერთთი ვეღარ ვაკლებებ,
მიძევს საწუთროს ბორკილი,
ეგრე-ღა ვლანტევაობ,
წისკელი რო მაგრა მოშლილი.
ჩემი სიცოცხლის შამძილი,
ტანჯვით დავლეო ორწილი,
ერთი არ დამხსენებავ,
ამ დროთაი ვარ მყერილი,
თვალზე ცრემლ არ შამწრობია,
რაც ერთ მიკვეს ქორწილი,
სახლდან ვაქცელმეზებავ
ერთი მანქანა ცოლშვილი.
სხვას საქმეს რაოდ ვაყოფებ,
გარო, შენ რად არ მოვივლი,
შენს მეგრულე მაგვის ოხვრო,
ოთხ-ოთხ ვაქ შამოწყობილი,
ჩუხუტე დღედა იქ არი,
იმათვის ჩამოხმობილი...

ჭრელა სამამულო ომის მონაწილეა. ამ ხალხურ პოეტს ცხოვრების ყოველი შემთხვევისათვის მზადა აქვს ლექსი, რომელიც პოეზიის ტრადიციული სახეებისა და თანამედროვეობის შერწყმის საუკეთესო მაგალითია:

მშვიდობით ჩვენებდებოთ,
მეორედ მივალ ფრონტზედა,
კირაით დავგვიანდები,
ვეღარ მოვავალი დროზედა,
სათიბრად ვეღარ შევადები,
ეკლიანის გორზედა.

ჭრელა ორჯერ დაიჭრა ომში, როცა მოიკეთა, შესამებ გავიდა ცეცხლის სახურე. ამაზედა აქვს ნათქვამი:

მესამედ უნდა წვილო,
ქსრეა დადგენილია,
სანამ ჰიტლერსა არ მოვკლავი,
სანის სანამდე ვივლია.

ღმილით გამოგვეთხოვა კანტაილი მოღვქსი ჭრელა უძილური. ზუსტ მუდგებობისა გვისურვა.

არწყობა ბუდეებით მოკაფათებულან ატყორცნილ მთებზე ფშავის სოფლები. რა კარგად ამბობს ამის გამო თვითონ ფშაველი:

ცაბაურთა არს მამწორის,
ცაში ჰკიდავ ზარიეთთა...

მართლაც, ღრუბელთა სიმადლეზე, გამჭვირვალე ჰაერში მოხაზულა სოფლის კონტური, იქიდან ზარივით რეკს სი-ცოცხლე:

სამშაოს შავნი ღრუბელნი,
რა მალა გადაღიანო,
დავირდილებენ სოფელს,
სახის მოსვლას არ გაცლიანო.
საბავეს ავიბრლებენ
შე წყალო კალმახიანო
ჩაგებებს, ჩაგაამაზებს,
მთბის გულმკერდ კლდინო,
ჭებო, სიმაგრეს ნადგომო,
გსიამუნეს ტილაო...

ფშაველთა უმშვენიერეს პოეზიაში გვხვობლავს ვაჭის უშუ-ალო და მორიდებული ტრფილი სილამაზითა და სინარნა-რით განთქმული ფშაველი ქალისადმი:

რა ლამაზი ხარ ხოხობო,
შუა მინდორზე ჯრანო,
ქალავ, შენს თავსა შწამობენ,
ვიფიცავ, არა მჭერანო.
ახლა შენ დიფიცინოდი,
დეგემ შენ დაგიგერანო.

სოფელი შუაგულს. ალექსი ოჩიაინო. ღრმა მცოდნე ხევე-რული წესრეველებებისა და ხალხური შემოქმედებისა. დამა-ჯერებლად საუბრობს იგი. თითქოს მაგური ძალა აქვს მის სიტყვას. დამეშვიდობებო. წამოხვალ იქიდან და დიდხანს, დიდხანს გაგყვება მასთან შესხედრის შთაბეჭდილება.

80 წლის ვერნე ლევიანთ — თვარელი. რა დიდი ხანი გასულა! დამეჭანრა ოდესღაც სილამაზით ხოხობთან თუ ჯე-ირანთან შეტყობებული ქალი, იმ გარდასულ დღეებში ჩი-რახის შუქზე რომ დასძახოდა ჯარს:

ღმერთო, მიშველე, გამახანებინე,
ჩემ ქვარშელს მშვიდობით შამხმარებინე!

მაგრამ ოჯახით, ქმარშვილით გალაღებულთა შორის იყ-ვინ გულნაკულნიც. იმავე სოფელში ჩამაწერინეს ხმით ნატირაკის ბეჭის შემცველი მოკლე ტექსტი. „წინათ ჩო-ხა-ახალუხების კეთება იცოდნენ, — გადმოგვცა მთქმელ-მა, — ქალი, რომელსაც არავინა ჰყვანდა, სულ სხვისთვის აკეთებდა, იმაზედა ნათქვამი, თვითონ გამოთქვა იმ ქალმა თავის თავზედა, სხვა არავინ მიტირებსო, თვითონ დაიტე-რა სიცოცხლეზევე თავისი თავი“:

გულე გამოკელო შოტირალნოთ,
ქარჯ უკეთესის კეთებამო,
სუ სხვათა ტანის შევინებამო.

სოფლებში კიდევ არიან ხელვიწროთა და ბედუკულმარ-თთა მომწურნი, მაგრამ წლებს თან მიაკვს მათი დაღრუ-ბული სახეები.

სიხარული მღერის ფშაველი ჩვილის აკვანთან. მის რიტ-მულ რწყვას დედის ნანა აჰყოლია:

ვე ნანო ვეასაო,
სამკალ გაჩენილასაო,
ბამბის თხორის გულასაო.
ეკლის მშვილ-ისარასაო.
ტრედან გილულუნებანა,
აქეულსი ნანასაო,
ნანო, ნანო, ნანასაო.
ვე ნანო, ვეასაო.
ძილი ძინე, ძილი ძინე,
თფორი ბიდე შიძინე,
ვე ნანოს გეტყოდესო,
ოვლირი ძილან გესხობდესო,
ტრედან გილულუნებდესო,
ახეულსი გასჭედდესო.
ვე ნანო, ვეასაო!



ლილი კობახიანი

„იგი აღექვსანდრე დიდია თანამედროვე ქალაქისა“.

(L' Umanite Dimanche 5 სექტემბერი 1965 წ.)

ვასტანგე დავითიანი



ამდინიშე ხნის წინათ ხმელთაშუა ზღვაში რკვებრიუნ-კამპ-მარტენთან, გულის შტეტევის შვიდედა დაღალდა თანამედროვეობის უდიდესი სურთომოდღვარი შარლ ვდუარდ ჟანერე-გრი—იგივე ლე კორბუზიე. ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენი საუკუნის ხელოვნების განვითარებას, არ შეიძლება არ დაემწეუნარებინა ამ ლეენდარული შემოქმედის სიკვდილს...

კორბუზიე — ქალაქმეგობარებული და არქიტექტორი, კორბუზიე — ფერმწერი და მოქანდაკე, კორბუზიე — დიზაინერი და მრავალი წიგნის ავტორი, ლექტორი და ახალი არქიტექ-

ტურის დიდი პროპაგანდისტი, ბრწყინვალე პუბლიცისტი, დაუდგარი პამფლეტისტი და ლირიკოსი პოეტი, — ასეთია ამ ადამიანის მოღვაწეობის კიდევანა.


დიდას ნიჭმა, მიზანსწრაფვამ და ორგანიზებულობამ იგი პოპულარობის ოლიმპზე ჯერ კიდევ 20-იან წლებში აიყვანა და ალბათ, არც ოდესმე ჩამოვა ამ მაღალი კვარცხლბეგიდან რაგონის სიტყვებით რომ ვთქვათ, დღეს ფართო საზოგადოებისათვის ყოველი ნაწარმოები თანამედროვე არქიტექტურისა — ეს ლე კორბუზიეა“.

კორბუზიე კარგად გრძობდა ეპოქას, მისი თანამედროვე ადამიანის ფსიქოლოგიასა და სულიერ სამყაროს. იგი სრულიად ახალგაზრდა მიხვდა, რომ შუა საუკუნეობრივი პრინციპებით, ან ამ პრინციპების გაჯანსაღებით შეუძლებელი იყო ჩვენი ეპოქის ადამიანის მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომ არქიტექტურა დიდად ჩამორჩა საუკუნის მოთხოვნებს, ტექნიკის შესაძლებლობებს, რომ იგი სულ უფრო და უფრო არათრგანული, ყალბი და ფუქსაგატური ხდებოდა, მომწვეველია ტრადიციის არტახებში. კორბუზიემ ისიც კარგად იცოდა, რომ ტრადიციის წინააღმდეგ ამხედრება სახიფათო ნაბიჯია და აქ დამარცხების შანსები ამკარად სჭარბობს გამარჯვებისას. მაგრამ აუცილებელი იყო ბოლოს და ბოლოს არქიტექტურას დაბრუნებოდა პირვანდელი სიმაართე, — სიმაართე ხალხური და ანტიკური არქიტექტურისა, გარდუვალი იყო არქიტექტურული რეკლუცია. კორბუზიე სათავეში ჩაუდგა მოძრაობას „ახალი არქიტექტურისათვის“ და სრულ გამარჯვებამდე მიიყვანა იგი. სწორედ ამიტომ იგი სიცოცხლეშივე აღიარეს თანამედროვე არქიტექტურის კლასიკოსად.


ბრძოლა „ახალი არქიტექტურისათვის“ რეაქცია იყო სხვადასხვა სამოსელოში გამოწყობილი აკადემიზმისა და ეკლექტიზმის წინააღმდეგ, რესტავრატორობისა და რეტროსპექტივიზმის, ბრმა ტრადიციულობის წინააღმდეგ, რომელთა ესთეტიკური ღოგამები ბორკავდნენ ახალი ეპოქის აჩრებულ ტემპებს, უახლესი ტექნიკისა და ახალი სამშენებლო მასალების შესაძლებლობებს. იგი იყო ბრძოლა ტექნიკური პროგრესის ფეხდაფეხ მიყოლისა და მშენებლობაში ინდუსტრიის როლის ამაღლების, ე. ი. იმ ანტიკონიზმის დაძლევისათვის, რომელიც არქიტექტურასა და ახალ ტექნიკურ შესაძლებლობებს შორის წარმოშვა. არქიტექტურის ესთეტიკაში ეს იყო იმავე ძალისა და მნიშვნელობის რეკლუცია, რომელიც XIX საუკუნეში იმპრესიონისტებმა მოახდინეს ფერწერაში და რომელმაც უბოლოოდ შეარყია და დასცა ყოველივე აკადემიური.

ამ პერიოდში აკადემისტური ოპოზიცია მრავალრიცხოვან და ძლიერ ავტორიტეტებს ითვლიდა, რითაც აღექვდა თავისი ძლიერების აპოგეას. კორბუზიეს ძალასა და ნიჭს, მის სიმტკიცესა და თავდადებას დიდად უნდა უმადლოდეს თანამედროვე არქიტექტურა სწორუზოვარ გამარჯვებას.

კორბუზიეს ყოველი პროექტი თუ თეორიული ნაშრომი მნიშვნელოვანი ეტაპია თანამედროვე არქიტექტურის ჯერ კიდევ ამოუცნობ შესაძლებლობათა დაპყრობის ზუსტზე. მის სახელს უკავშირდება ახალი არქიტექტურის მრავალი შემოქმედებითი პრობლემის დაყენება-გადჭრა. ფაქტურად კორბუზიე პირველი შეეხო დიდი ქალაქის სიმსივნებს, ჩაწვდა მის ფიქრებს და დასახა მისი გაჯანსაღების რადიკალური



მუზეუმი
ტკოლში.
ინტერიერი



გზები. იგი პირველი აუჯანყდა ტრადიციულ განმტკიცებულ ფაღბ დამოკიდებულებას კონსტრუქციასა და არქიტექტურას შორის, სადაც პირველი „შეგ სამუშაოებს“ ასრულებდა, წარმოადგენდა მხოლოდ „ჯანსაღ სხეულს შემოსისათვის“. კორბუზიემ თვით კონსტრუქცია ლამაზის კატეგორიამდე აიყვანა, რითაც გზა გაუსხნა თანამედროვე ორგანულ არქიტექტურას. მანამდე ბეტონი რჩებოდა მასალად, რომელსაც აგებდნენ ტრადიციულ არქიტექტურულ ფორმებს. კორბუზიემ გახსნა ბეტონის სპეციფიკა, როგორც ფორმათა წყაროსი, ჯერ კიდევ 20-იან წლებში დამტკიცდა სერიული წარმოებისა და მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების აშკარა უპირატესობა, ხლო უფრო მოგვიანებით 40-იან წლებში „მოდულიორით“ მოგვცა მისი განზოგადების საინტერესო სისტემა. კორბუზიე პირველი შეეცადა განეზოგადებინა „ბეტონის არქიტექტურის“ მხატვრულ-კომპოზიციური

თავისებურებანი, იმ არქიტექტურისა, რომელიც ძველად ეგუება ამ საკითხთა კანონზომიერებას. კორბუზიემ მაინც მოახერხა ენახა ყველაზე ზოგადი თანამედროვე არქიტექტურაში (5 თეზისი) და სპობლოდ დისაკუთრა გვირგვინი არა მარტო ახალი არქიტექტურის მამამთავრის, არამედ მისი ყველაზე დიდი ფილოსოფოს-თეორეტიკოსისაც.

კორბუზიეს სახელი მულოდნელის, ორიგინალურისა და რადიკალურად ახლის იდენტურია. მისი პროექტები თუ თეორიული კონცეპციები არა მარტო უსწრებენ ეპოქას, არამედ დარჩებიან „რადიკალურად ახლად“ საუკუნეების მანძილზე. მათი გავლენა ჩვენი საუკუნის არქიტექტურულ აზროვნებაზე იმდენად დიდია, რომ დღეს ვერაფერ უარყოფს ფაქტს: კორბუზიე არის თავისებური, ანონიმური თანავატორი ყველა მათი, ვინც ქმნის თანამედროვე არქიტექტურულ ნაწარმოებებს მსოფლიოს რომელ კუთხეშიაც არ უნდა იყოს ის. კორბუზიეს მიგნებანი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა და ვიყენებთ რა მის ზოგ პრინციპს, სრულებით არ მიგაჩნია ეს პლაგიატობად, არ შეიძლება ავურიოთ პრინციპი, იდეის ათვისება და მიბაძვა მხატვრული გამოსახვის სფეროში. აქ კორბუზიესგან „სესება“ აშკარად დამუშავებლია. სორბონის უნივერსიტეტში 1924 წელს წაკითხულ ლექციაში იგი აღნიშნავდა: ამბობენ, რომ შესაძლებელია ბრტყალეობით შევიცნოთ ლომი, რადგან ლომის სხეულის ყოველ ორგანოს გააჩნია თავისებური პარმონია. არქიტექტურული ნაწარმოებიც უსათუოდ უნდა ფლობდეს მთლიანი პარმონიის ამ თვისებას, რათა ბრტყალეობით მასში შესაძლებელი იყოს ლომის შეცნობა. დაიხ, კორბუზიეს ქონდა უფლება ეთქვა ეს. უტყუარ არქიტექტურულ ლოგიკასთან ერთად იგი ფლობდა მხატვრული გამოსახვის უაღრესად ინდივიდუალურ, საკუთარ ხერხებს, საკუთარ პარმონიას და ინტონაციას. ამიტომ აქ მისი მიზანვა (თუნდაც იოტის ოდენა დღითი) ნიშნავს იმას, რომ სააშკარაოზე გამოვიტანოთ ბრტყალი ყველასათვის ნაცნობი ლომისა და ვამტკიცოთ საწინააღმდეგო.

შემოქმედებითი კარიერა კორბუზიემ თავისივე მშობლიურ ქალაქში, ფრანგული შვეიცარიის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში შო-დე ფონში დაიწყო. აქვე ააგო თავისი პირველი შენობა 18 წლის ასაკში.


შო-დე-ფონი სასაათო მრეწველობით სუნთქავდა და ყველა გზა საათთან იყო დაკავშირებული. ახალგაზრდა კორბუზიე დღეების განმავლობაში ფუტლიარზე ვენჭლებს ხატავდა და გრაიერის ხელოვნებაში ჩაწვდომაზე ოცნებობდა. ამავე სურვილმა ჩაიყვანა იგი საფრანგეთში, რომლის მოქალაქე გახდა შემდგომ.

პარადოქსალურია, მაგრამ ფაქტია, რომ კორბუზიეს პროფესიული განათლება არ მიუღია და სიკვდილამდე დარჩა ე. წ. უდიპლომო არქიტექტორად, რომელსაც, როგორც გამონაკლისს პროექტირების ნება დართეს.

ახალგაზრდობის წლებში იგი მუშაობს სხვადასხვა გამოჩენილ ოსტატთან: ჰოფმანთან ვენაში, პერესთან პარიზში, ბერნესთან ბერლინში. მოუყრის თუ არა თავს მცირეოდენ სახსრებს, ზურგჩანაწამოკიდებელი იწყებს მოგზაურობას, ხატავს, წერს, სწავლობს არქიტექტურულ მეგვიდრეობას.

პირველ კონტაქტებს „ახოვადობისთან“ იგი ამყარებს

საგამოფენო პავილიონი ბრიუსელში




ფერწერით. ამდღე ოსანფანთან ერთად კორბუზიე აღიარებულია ფრანგული პურიზმის ყველაზე გამოკვეთილ წარმომადგენლად. ოსანფანთან ერთად იგი წერს ნაშრომს „კუბიზმის შემდეგ“ და „პურიზმი“, რომლებიც პოპულარობით სარგებლობენ. მიუხედავად ფერწერაში დიდი წარმატებისა (დღეს მის ტილოებს პარიზის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ერთი მოზრდილი დარბაზი აქვს განკუთვნილი პიკასოს დარბაზის გვერდით), კორბუზიეს დაუდგარ ბუნებას არ შეეძლო დარჩენა მხოლოდ იდეების, სუფთა ხელოვნების სფეროში. ფერწერასთან და არქიტექტურასთან ერთად იგი გატაცებულია დიზაინერით, კერძოდ ავეჯით. ავეჯი, როგორც წესი, სტილისტურად მიჰყვება „დიდ არქიტექტურას“ და გასაკვირი არ არის, რომ მასში მკვეთრად გამოვლინდა კორბუზიეს მხატვრული კონცეფციები. ამ ავეჯმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ფერწერაში მისი პურიზტული მისწრაფებები არ იყო უბრალო კაპრიზები. ანტიკლექტიზმი, სტილისტური სიწმინდე გამჟღავნა კორბუზიეს არსებაში. თავისი ავეჯით იგი ჭადავებს სრულიად ახალ, ბურჟუასათვის წარმოდგენულ დამოკიდებულებას ადამიანსა და ნივთს შორის. ნივთის ფუნქციონირებას, მისდამი მონური დამორჩილების მემჩანურ გაგებას იგი უპირისპირებს ადამიანის ბატონობას მასზე. კორბუზიეს თავისი ლექსიკონიდან საერთოდ ამოაქვს სიტყვა ავეჯი და მის ნაცვლად ხმარობს „ინსტრუმენტს“. იგი აპროექტებს ავეჯს არა როგორც „საერთოდ ავეჯს“, არამედ კონკრეტულ ავეჯს, რომელსაც გააჩნია სრულიად განსაზღვრული ადგილი ინტერიერში. ნიშნუები, რომელიც მას სისტემატურად გამოჰქონდა დეკორატიული ხელოვნების პარიზის საერთაშორისო გამოფენებზე, წარმოადგენდა ერთ-ერთ რგოლს იმ კომპლექსური პრობლემისა, რომელიც მიზნად ისახავდა არქიტექტურული გარემოს სრულ გარდამქმნას, დაწყებული საყოფაცხოვრებო ნივთიდან დამთავრებული ქალაქით.

კორბუზიე უკომპრომისოა თავის შემოქმედებაში. იგი არ ურიგდება რესტავრაციონობას რა ფორმითაც არ უნდა იყოს გამოვლენილი. „ვეოლუციამ გადაბუგა ხიდები წარსულისაკენ“ — ამბობს იგი და სამუდამოდ ზურგს აქცევს ტრადიციულ დეტალებს. განსხვავებით ახალი არქიტექტურის მომხრეთა იმ კატეგორიისაგან, რომლებიც აკადემიზმის პოზიციებიდან სპერტენდენ ახალ არქიტექტურას, იგი მოჩვენებითაც არ ცდილობს ხიდის გადახას ძველსა და ახალს შორის (რაცა შეეძლო ჩამოშორებისა მისთვის გარკვეული კატეგორია მოწინააღმდეგეებისა). სწორედ აქედან იწყება ვ. პერესსა და კორბუზიეს, მასწავლებლისა და მოწაფის, საფრანგეთის ორი დიდი არქიტექტურის კონფლიქტები, რომლებიც მათი ურთიერთობის (მათ მომხრეთა ურთიერთობის) სხვადასხვა ასპექტშიც გამოვლინდა.

მემკვიდრეობასთან კორბუზიეს გამჭირი მხოლოდ იდეების სფეროში განისაზღვრება. „ფოკლორიდან უნდა ავიღოთ ფილოსოფია და არა მშენებლობის მეთოდები“ — აღნიშნავდა იგი და ასეც იქცეოდა. განა კორბუზიეს სიდიდეს ამიერისა, რომ მისი რევოლუციური იდეების წყარო ბუნება და ხალხური არქიტექტურა იყო? განა კორბუზიეს ამიერის ის, რომ სახლი სვეტებზე მასზე ადრე კოლხელმა და მალაიელმა გლეხებმა შეაყენეს, ხოლო შრტყელ სახურავს საუკუნეებით

ცთამბეჭენი ალჟირში (მაკობი)



ადრე შუაზიელები და ხევსურები იცნობდნენ? განა რამის ნიშნავს ის, რომ ბეტონის გამოგონების პატენტი ჟოზეფ მონიემ მიიღო, როდესაც ფაქტურად ბეტონის სპეციფიკა, როგორც სამშენებლო მასალისა და ორგანულ ფორმათა წყაროს ლე კორბუზიემ გასწავა?


სწორედ ჩვეულებრივ მოვლენებში, ათასჯერ ნახულში ზოგადის დანახვის უნარი განასხვავებს დიდ ტალანტებს უბრალო მოკვდავებსაგან.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ტექნიკა სულ უფრო ვეგრძობინებთ თავის ძალას. ნებისთ თუ უნებლით იგი განსაზღვრავს ეპოქის სულს, აზროვნების სასიათს. ტექნიკა ეს ისაა, რაც კორბუზიეს სჭირდება თავისი იდეების განსახორციელებლად, იგი აღტაცებულია მისი შესაძლებლობებით და აცხადებს: „ტექნიკა მატარებელია ახალი ლირიზმისა“.

„სერიულობის სულზე“, „სახლი-მანქანაზე“, არქიტექტურით დიდ სოციალურ გარდაქმნაზე ოცნებობს ლე კორბუზიე, „სახლი — ეს მანქანაა საცხოვრებლად“. „პრობლემა სახლისა ერთ-ერთი პრობლემათაგანია ეპოქისა, მისგანაა დამოკიდებული სოციალური წონასწორობა“, „უნდა შეიქმნას „სერიულობის სული“, — მისწრაფება ვაშენოთ სახლები სერიულად, მისწრაფება ვიცხოვროთ სახლი-სერიებში, მისწრაფება ვიავსროვნოთ სახლი, როგორც სერია“ — ქადაგებს იგი.

გამოდის რა ტექნიკური და კონსტრუქციული საფუძველიდან, ინდუსტრიულობიდან, იგი აიღვალეს გეომეტრიას. „ადამიანი მუშაობს მხოლოდ გეომეტრიის საფუძველზე, თანამედროვე კონსტრუქციის ძირითადი პრობლემები ვადაპირება გეომეტრიის საფუძველზე“, „გეომეტრია და ღმერთები ერთ ტახტზე მეფობენ“ — ასკვნის ის.

ნიშნავს თუ არა კორბუზიეს რაციონალისტური მისწრა-




პარიზის რეკონსტრუქციის გეგმა, ცენტრალური ნაწილის მაკეტი

ფეხები, მისი თავაწყვეტილი პროპაგანდა „საცხოვრებელი მანქანისა“, „სერიულობისა“, „გეომეტრიულობისა“, რომ იგი ვერ გასცილდა XIX საუკუნის „ჩიკაგოს სკოლებთან“ უსულს ფუნქციონალიზმს, რუტისა და ლუის საალივენის ფილოსოფიას? ცხადია — არა. მას რა არის „მანქანა საცხოვრებელად“? მივყვით ისევ კორბუზის: „სახლს აქვს ორი დანიშნულება. პირველი, ეს მანქანა საცხოვრებელად, ანუ მანქანა, რომელიც გაგვიწევს ნამდვილ დახმარებას სამუშაოების სწრაფ და ზუსტ შესრულებაში, დააკმაყოფილებს ჩვენი სხეულის მოთხოვნებს, შექმნის საცხოვრებელ მოხერხებლობასა და კომფორტს. მეორეს მხრივ, ეს ადგილია ჩვენი ფიქრებისა, აზროვნებისა, და ბოლოს, ეს არის სავაჭო სილამაზისა, რომელიც უჭმის ჩვენი გონებას სიმშვიდეს, რომელიც მას აგრე რიგად სჭირდება“.

კორბუზის „სახლი-მანქანა“ სხვა არა არის რა თუ არა მისწრაფება არქიტექტურული გარემოს რაციონალური და მხატვრულად გააზრებული ორგანიზაციისა, ადამიანის ფიზიკური და მორალური ძალების ეკონომიისა, დროისა და სასხრების დაზოგვისა, კორბუზი „საცხოვრებელ მანქანას“ მიიჩ-

ცენტროსოფლის შენობის მაკეტი



ნებს ყოველი კონკრეტული ოჯახის ინდივიდუალური მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებად.

ნუთუ „გეომეტრიზმი“ და „სერიულობის სული“ ნიშნავს იმას, რომ მას არქიტექტურის ესთეტიკა დაჰყავს მანქანური წარმოების მექანიკურ შედეგად, სქემატურად? არა. კორბუზის სულში ბუღოს უდიდესი მხატვარი და პოეტი. ამიტომაც დაწვევებელია მისი არქიტექტურა იყოს რაციონალიზმისა და ტექნიკური პროგრესის ატომატური შედეგი. მისთვის ტექნიკა მხოლოდ საშუალებაა „ახალი ლირიზმისათვის“, რომელიც მას არასოდეს სტოვებს. იგი გარკვევით ამბობს „ხელოვნება — ეს ინდივიდუალური გამოხატულებაა თავისუფლებისა და პირადი გემოვნებისა. აქ ადამიანი ავლენს თავის პიროვნებას. ამიტომაც ცდა — შეექმნათ სისტემები, რომლებიც დაიქვემდებარდნენ ადამიანურ ემოციებს, სისტემები, რომლებიც არ არიან გაწონასწორებული ადამიანის სულიერი ცხოვრებით — ყალბი გამოგონებაა. „საცხოვრებელი მანქანა“ ჯერ კიდევ არქიტექტურისაკენ მიმავალ გზაზეა. არ არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია მოსპოს ლირიზმი. შეუძლებელი იქნებოდა „საცხოვრებელი მანქანის“ არსებობა, თუ კი ის არ დააკმაყოფილებდა სულიერ მოთხოვნებს“.

„სად იწყება არქიტექტურა?“ — კითხვობს კორბუზი და თვითონვე უპასუხებს — „იგი იწყება იქ, სადაც თავდება მანქანა“.

კორბუზის ძალა ისაა, რომ მან მაკიურ წრედ შეკარა ფუნქცია, რაციონალობა და პოეზია. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულ შრომებში იგი განსაკუთრებულ აქცენტს უკეთებდა რაციონალიზმს, პრაქტიკულ საქმიანობაში რაციონალისტზე მაღლა დაგას კორბუზი — პოეტი.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ზოგიერთი ცნობა კორბუზის პიროვნების შესახებ.

ჩვენ არ ვგუთვით იმთ რიცხვს, რომლებიც პირადად იცნობდნენ ამ ლეგენდარულ შემოქმედს, ან ჰქონდათ შემთხვევა შეხვედროდნენ, მოესმინათ მისთვის, ამიტომაც „ვისესხეთ“ ზოგიერთი რამ კორბუზის პიროვნების შესახებ სგადასხვა ავტორებისაგან, რომლებიც უმეტესწილად ემთხვევიან ერთმანეთს, ნახსობუნე საერთო საზუეს კორბუზის ბუნებაში — დაახლოებით ასეთს: კორბუზი საოცრად მიზანდასახული და ორგანიზებულია. მან გარკვევით იცის, რა უნდა და ამ მიზნის განხორციელებისაკენ მიმართავს ყველაფერს, დაწყებული პროექტივიდან და თეორიული ტრაქტატივიდან, დამთავრებული პამფლეტით, ჩანაწერებითა თუ ჩანახატებით. მისი შრომის ნაყოფიერება სცილდება წარმოსახვის ყოველგვარ საზღვრებს. ემალება ფოტობოიქტივს. ყოველთვის უკმაყოფილო თავისი თავისა (ხშირად ამბობს: უიღბლო ვარ, არ გამიმართლა, ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარი). მეტ სიამოვნებას ჰგვრის ლაპარაკი, ვიდრე მოსმენა. ცოტათი მიუკარებთ, ძნელად ენადგომია. არ არის იოლი მასზე შთაბეჭდილების მოხდენა. კორბუზისათვის არ არსებობს სიტყვა ტრადიციული, იგი ყველაფერს ერთი და იგივე გატაცებით, ახლებდა აკეთებს. არის ელგანტური მოსაუბრე, ბრწყინვალე რიტორიკოსი, ეფექტური დემონსტრატორი. მისი სიტყვები საოცარი ძალის ბაცილას ჰგავს, რომელსაც შეუძლია დაიპყროს ყველაზე „ბრელი“ და მრავალრიცხოვანი აუდიტორია. იგი ძალზე ვა-

რიაბელურია მიზნის განხორციელებისას, მაგრამ არასდროს არ ღალატობს ძირითად პრინციპებს. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ არც ერთი ნაბიჯი უკან. ცოტათი ჯიუტია. კორბუზის აშკარა სოციალისტურ მისწრაფებებზე მიუთითებს თითქმის ყველა ავტორი, ამასვე ადასტურებს მისი კერძო გამოთქმები თუ მრავალრიცხოვანი თეორიული შრომები.

იგი დაინადა მხატვარ-გრაფიკოსის ოჯახში. მეუღლედ აირჩია ფრანგი გულების ქალი. შვილები არ ჰყავს.

პირველი პროექტი, რომელმაც კორბუზის ფართო პოპულარობა მოუპოვა, იყო პარიზის რეკონსტრუქციის გეგმა. ამ პროექტში იგი აყენებს სამ ძირითად დებულებას: 1. ქალაქის ცენტრის განტვირთვა შენობებისაგან მოსახლეობის სიმჭიდროვის გაზრდასთან ერთად. 2. სატრანსპორტო არტერიების გამტარიანობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. და 3. მწვანე მასივების გაზრდა ქალაქში. ამ დებულებებმა დასაბამი მისცა ქალაქგეგმარების ტრადიციული პრინციპების რღვევას, საფუძველი გამოაცალა ქუჩების პერიმეტრიულ გაშენებას, ქუჩაკორიდორებს, ფსადურ არქიტექტურას. კორბუზე პარიზს სამ ძირითად ფუნქციურ ზონად ჰყოფს. საქმიანი ცენტრი, საწარმოო ზონა და ქალაქი — ბაღი. საქმიანი ცენტრში განლაგებულია 24 სამოცსართულიანი ცათამბჯენი, თითოეული მათგანი განკუთვნილია 30-40 ათასი მოსამსახურისათვის. საქმიანი ცენტრს უშუალოდ ემიჯნება საცხოვრებელი რაიონი ერთ მილიონ მცხოვრებზე. იგი განკუთვნილია უშუალოდ საქმიანი ცენტრში მომსახურე მოსახლეობისათვის. კორბუზე ორ მილიონ მცხოვრებელს ათავსებს ე. წ. ქალაქ-პარკში 5-6 სართულიანი სახლებში.

მხატვრულად ქალაქი ექვემდებარება გეომეტრიული ფორმების, უფრო სწორად, გეომეტრიული ძალების თამაშს, მათ კონტრასტს.

კორბუზის, რაც არ უნდა დაუჯდეს, სურს ამ ექსპერიმენტის ხორცშესხმა. იგი სხვადასხვა ხერხით ცდილობს ხელიწაფულების დაყოფიებას, ითხოვს რა მათგან „სულ ცოტას“ — ბეჭედსა და ხელმოწერას. კორბუზე ქება-დიდებას ასხამს ფრანგ მილიონერებს — ლემურსა და ვუაუნს, რადგან იმედი აქვს მათგან მშენებლობის დაფინანსებას. იგი იმაზედაც კი მიდის, რომ პროექტს არქმევს „ეუაუნის გეგმას“. როდესაც ყველა ცდა ამაო ხდება, იგი ცვლის ტონს, აფრთხილებს, უფრო სწორედ ამინებს ხელისუფლებას, რომ უმჯობესია განავსოროცილოთ არქიტექტურული რეკლუცია, თორემ სხვა სახის ცრეოლუცია გარდაუვალია. მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დაკარგა პარიზის რეკონსტრუქციის უნიკის განხორციელების იმედი, კორბუზე ამტკიცებს ამ იდეის განხორციელების მსოფლიოს ყოველი კუთხისათვის, დღეი თუ მკვირ ქალაქისათვის. იგი უთავსებს თავის სქემას სამხრეთ ამერიკის მრავალ ქალაქს, მოსკოვს, ბოლოს კი ნიუ-იორკს. კორბუზე გრძობს ამერიკის კაპიტალის შესაძლებლობებს, და ურჩევს ამერიკელებს დანაგრეობი მანხეტენი, ცალ-ცალკე განალაგებთ ცათამბჯენები და მაშინ 6 მილიონ ნიუ-იორკელს აღარ დატვირდებათ ქალაქაგარეთ სიარული ბალახის საძებელად. როგორც მოსახლენული იყო, ამერიკელებმა მანხეტენის დანგრევას უბალახობა არჩიეს.

1927 წელს კორბუზე მიწაწილობას იღებს ჟენევაში




საცხოვრებელი სახლი ქ. მარსელში. ფსადის ფრაგმენტი

ერთი ლიგის შენობაზე გამოცხადებულ საერთაშორისო კონკურსში, რომელიც თავისი მასშტაბით დღემდე ერთ-ერთ უდიდესად რჩება. წარმოდგენილი 337 პროექტის ექსპონიციას თითქმის 10 გრძივი კილომეტრი დასჭირდა. კონკურსში ბრწყინვალე გამარჯვება იხიმა ლე-კორბუზემ, მაგრამ, როგორც შემდგომ გამოირკვა, ზეიმი ნაადრევი იყო. აკადემისტებმა აღძრეს საჩივარი ეიურის დადგენილების გასაუქმებლად. საფუძვლად მტვად უცნაური არგუმენტი წამოაყენეს: კორბუზის პროექტი შესრულებული ყოფილა ტიპოგრაფიული საღებავით, ნაცვლად ტუშისა. შემდეგი: აკადემისტებმა მიადწიეს ეიურის გადაწყვეტილების გაუქმება. ეს იყო პედანტურობისა და ბიუროკრატიზმის აპოკა, საუკუნის კურიოზი, რომელსაც საერთაშორისო მასშტაბის შეხლა-შემოხლა მოჰყვა. აღიწერა უამრავი პროტესტი. კორბუზე ბობოქრობს, სასამართლოში უჩივის ერთა ლიგას, მაგრამ ამაოდ.

ამ ინციდენტს მოჰყვა ე. წ. „თანამედროვე არქიტექტურის ამოცანების განხორციელების საერთაშორისო კომიტეტის“ დაარსება, ანუ ახალი არქიტექტურის მომხრეთა ორგანიზაციული გაერთიანება. შემდგომ ეს გაერთიანება გადიარდა არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირად.


ერთხელ ეერო საარჩინეს უთქვამს: „არქიტექტორს უნდა ჰქონდეს უფაქიფესი მგრძობიარობა და მარტორქის ტყავიო“. ასე რომ არა, კორბუზე ვერ იქნებოდა კორბუზე. მისი ცხოვრება ხომ ტიტანური ძალის წინააღმდეგობებთან ჭიდილია, მას უტყვენ ყოველის მხრიდან, იგი მოკლებულია ოფიციალური წრეების მხარდაჭერას. გარშემო მყოფნი გრძობენ, რომ



სამლოცველო რომშიაშში

კორბუზისთან დაკავშირებული ყოველი დეტალი ისტორიის კუთვნილებაა და მასთან კონფლიქტით მრავალი განდიდების მოყვარული, ალბათ, ისტორიაში მოხვედრას ლამობს. კორბუზი არც მატერიალური კეთილდღეობით ყოფილა განებივრებული. მისი სახელსწრის მოკლებული იყო ბრწყინვალეებსა და კომფორტს. 20-იან წლებში მასთან დახლოებულ პირებს მის სახელსწრის სავარძლებზე ასეთი წარწერა ხშირად შეუმჩნევიათ: „ფრთხილად დაკავშირებული, თუ გასურთ არ დამოცერეთ“. იყო პერიოდი, როდესაც მთელი ათი წლის განმავლობაში თითქმის არასეთარი დაკვეთა არ მიუღია. ვეღვ დე ბოზარნი, რომელსაც მისი მასწავლებელი ავეუსტ პერე ხელმძღვანელობდა, არ ატყაბნებენ კორბუზის „სულს“, თუმცა სტუდენტები, რომელთაც უზომოდ უყვარდათ იგი, სხვადასხვა არსებით მინც ამყარებენ მასთან კონტაქტს; საცხოვრებელი სახლი მარსელში მთელი ხუთი წელი ელოდა ნებართვას. იგი „გიჟების სახლად“ მონათლეს და კორბუზის „წითელი პროპაგანდის“ საბაბით სასამართლოში უჩივლეს. სხვებს არც ბუნების დაცვის საზოგადოება ჩამორჩა და საფრანგეთის ლანდშაფტის „დამახინჯებისათვის“ კორბუზის 20 მილიონ ფრანკი შეაწერა. კონფლიქტები განუერულად თან სდევდა ამ უდიდეს შემოქმედს. საზოგადოება ძნელად ეგუებოდა კორბუზისეულ რეცეპტებს, რომლებიც მისი, ამ საზოგადოების გაჯანსაღებისაკენ იყო მიმართული.

ჩანდიგარა. უმაღლესი სასამართლოს შენობა



საერთაშორისო სტატუსი შეუძლებელია კორბუზის შემოხება და პროექტების უბრალო ჩამოთვლა კი. შეგერდებით ზოგიერთზე.

ქალაქგეგმარებიდან უნდა აღინიშნოს ქ. ალვირის, ანტვერპენის სტოკჰოლმის, რიო დე ჯანეიროს, ვენეციის, ბარსელონის, ბუენოს აირესის, პარიზისა და სხვ. ქალაქთა რეკონსტრუქციის პროექტები.

დასასრულს უახლოვდება ინდოეთის პენჯაბის შტატის დედაქალაქის ჩანდიგარას მშენებლობა. აქ კორბუზიმ შესანიშნავად გადაჭრა ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა იზოლაციის საკითხი. მან შექმნა ქალაქის საცენტრალური სახე, არ მივირია ამისათვის ხელოვნური მთების აღმართვასკენ. „აღმანიები მოვლენ ჩანდიგარაში, როგორც ამჟამად მილიან სან მარკოს მოედანზე. ეს არის მეოცე საუკუნის თითქმის ერთადერთი კომპლექსი, რომელიც მე ვიცი, რომლის დანახვა გვაგრძობინებს ჩვენი საუკუნის ტრეზარიტად უდიდეს ნაწარმოებს“. — წერდა არქიტექტორი პაულ რულოფი.

1933 წ. კორბუზი ამწეებს შვეიცარიული სტუდენტების საერთო საცხოვრებელს პარიზში, 1934 წელს თავმჯდომარე დემობილიზებული ჯარისკაცებისათვის, 1935 წელს ამთავრებს პროექტს პარიზის საერთაშორისო გამოფენისათვის. კორბუზი არის თანავატორი განათლების სამინისტროს შენობისა რიო დე ჯანეიროში; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობისა ნიუ-იორკში. 1928-33 წლებში კორბუზი ამწეებს ცენტრალური (ამჟამად ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო) შენობის მოსკოვში. პარალელურად იგი მუშაობს მოსკოვის რეკონსტრუქციის პროექტზე, რომელიც მას დაუკვეთეს. მცირერიცხოვან უცხოელ არქიტექტორთა შორის კორბუზი იმუშავებდა იყო საბჭოების სასახლის კონკურსზე. აქვე უნდა აღინიშნოს: იგი ახლო მეგობრობდა საბჭოთა კონსტრუქციის სტრუქტურის, რომლებმაც, ევროპული კოლეგების დიდი უმრავლესობის მსგავსად, ვერ დააღწიეს თავი კორბუზის ძალას. მისი ხუთი თემის თანამედროვე არქიტექტურის შესახებ: სახელი სვეტებზე, პორიზიტალური შენობები, ბრტყელი სახურავი, თავისუფალი გეგმა, თავისუფალი ფასადი—წლების მანძილზე ხშირად და დასაზრდობდა საბჭოთა კონსტრუქციის ტიპებს.

აი ნაწყვეტი მათი ლიდერის მ. ი. გინზბურგის ერთ-ერთი წერილიდან, რომელიც მან თავის კურსს მისწერა და რომელშიც იგი ღმერთივით შესცივინებდა უფროს კოლეგას:

„მე, ისე როგორც ჩემი მეგობრები უსაზღვროდ გაფასებთ თქვენ, არა მარტო როგორც არქიტექტორის უფაქობის ოსტად, არამედ ასევე ქაქს, რომელსაც შეუძლია რადიკალურად და არსებითად გადაწყვეტოს ორგანიზაციის მართვადი საკითხები. ჩემთვის თქვენ დღეს უდიდესი და ბრწყინვალე წარმომადგენელი ხართ იმ პროფესიის, რომელიც ჩემი ცხოვრების მუხარბი, მინა-არსი და აზრისა, ამიტომაც თქვენი აზრები ქალაქგეგმარების დარგში ჩვენს დიდ ინტერესს იწვევენ და მათ უაღრესად არსებითი მნიშვნელობა აქვთ.“

თქვენ, თანამედროვე ქალაქის ქორუტა შორის უშესანიშნავეს, რაც არ უნდა მოხდეს, ვინაით გაქურდნით იგი, ამიტომაც, ასე წიფი მთელი ქალაქი მომენტზე. თქვენვე გადაწყვეტთ მოძრაობის პრობლემას დიდ ქალაქში, მოძრაობა სივრცის ვარჯიშზე. თქვენ მართავთ შესანიშნავ ბაღებს მრავალსართულიანი სახლების სახურავებზე, ვსურთ ჩა უქმნათ ადამიანებს ზედმეტ ნაწილს სიმწვინისა, თქვენ აწეებთ მოსახლეობას კოლეგას, უქმნით მცხოვრებლებს იდეალურ მიხერბეზობლას, სიმშვილეს, კომფორტს.“

1942-48 წლებში კორბუსიე ქმნის ე. წ. „მოდულიორს“ — პროპორციების სისტემას, რომელმაც დასცა საუკუნეებში გაბატონებული „ოქროს კვეთის“ კლასიკური სისტემა და არსებითი როლი შეასრულა ინდუსტრიალიზაციის საქმეში.

1951-52 წლებში, ბოლოს და ბოლოს, კორბუსიე აღწევს მარსელის საცხოვრებელი ერთეულის მშენებლობის დამთავრებას. იგი წარმოადგენს ბინებისა და მომსახურების ქსელის ერთ ორგანულ ორგანიზმს. ამ სახლში მცხოვრები 1600 კაცი-სათვის გათვალისწინებულია ყოველივე, დაწყებული მაღალეზიდან და სახურავზე მოწყობილი ეკლესიით, სპორტული დარბაზითა და პარკით.

მარსელის საცხოვრებელი ერთეული — მრავალჯერ დაუნებელი და „შეურაცხყოფილი“, უმოკლეს დროში იქცა ყველაზე პოპულარულ შენობად მსოფლიოში. კორბუსიე დებულობის ასეთივე საცხოვრებელი ერთეულის დაკვეთას რეზე ლე ნანტესა და ბერლინში, ასევე შვიდი საცხოვრებელი ერთეულისა ჭალაქ მოში. დღეს მარსელში ერთი საათით გაჩერებულ სტუმარს, უპირველეს ყოვლისა, მის ნახვას შესთავაზებენ მასპინძლები. სპეციალურ გზამკვლევეში ჩაიწერა:

„ეს შენობა საუკუნეებს გადასცემს მისი მშენებლის გენიას“.

როდესაც ლაპარაკია კორბუსიე-პოეტზე, არ შეიძლება არ აღენიშნოთ მისი სამოცეცლო რომანოვოში. ეს არის საოცარი ძალის, განუმეორებელი სილამაზის შენობა, რომელიც თითქოს შუამავლად დგას ცხაბა და დემიანის შორის, ღმერთსა და ადამიანს შორის, შენობა, რომელიც ყოვლად უკომპრომისო ურწმუნოსაც კი მისდამი სიმპატიით განაწყობს. მას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს XX საუკუნის პლასტიკური აზროვნების დიდი სიმფონია.

ჩვენ ორიოდ სიტყვითაც ვერ შეგვირდით ისეთ მნიშვნელოვან ნაგებობებზე, როგორიცაა ფირმა „ფილიპისის“ საგამოყენო პავილიონი ბრიუსელში, პორვარდის უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების ცენტრი ბოსტონში, ეკლესია ქ. ლიონში, ტოკიოს მუზეუმის, ვენეციის საავადმყოფოს, ფირმინის ეკლესიის პროექტებზე; ვერ ვილაპარაკებ კორბუსიეს მოღვაწეობის სხვა მრავალ მხარეზე და, რა თქმა უნდა, იმაზე, რაც მას უთქმელი დარჩა.

მსოფლიო ცივილიზაციას მალე კორბუსიეს 80 წლისთავი უნდა ეჯიება. უსამონო სამგლოვიარო ზარებმა გვამცნეს, რომ ამ იუბილეს კორბუსიე ვერ დაესწრება. სვერის ქუჩაზე, ძველი მონასტრის შენობაში დარჩა მრავალი სუფთა პლანშეტი, რომელთაც თურმე დიდი ოსტატის ხელის შეხება არ ეწერა.

...როკებ-რიუნ-კამპ-მარტენიდან იგი პარიზს ჩამოასვენე-



ფერწერული კომპოზიცია

ნეს. ლუერის ეზოში, გამოთხოვების ცერემონიალის ჟამს დიდ ხუროთმოძღვარის თავდახრილ თავყვანისმცემლებს შეუერთდა ოფიციალური საფრანგეთი და ახლომხედველი მოწინააღმდეგეები. აქ პირველად ითქვა ყველაზე ტკბილი და ალერსიანი, ყველაზე გულწრფელი და მართალი სიტყვები, რომელიც ასე აკლდა კორბუსიეს სიცოცხლეში.

სამგლოვიარო ცერემონიალის შემდეგ კი მისი ცხედარი ისევ იმ გზას გაუყენეს, საიდანაც ჩამოსვენეს და ფერფლი როკებ-რიუნ-კამპ-მარტენის მიწას დაუბრუნეს.

გვეგონა, კორბუსიეს საოცარი კონტრასტებითა და მოულოდნელობებით აღსავსე ცხოვრების დასასრული თითქოს კვლავ საოცრებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, მაგრამ წავიდა ქვეყნიდან ეს დიდი კაცი ჩვეულებრივი ადამიანის სიკვდილით, უბრალოდ, პროზაულად.

ესეც ხომ კონტრასტია მისი ჭარბშლიანი ცხოვრების ფონზე, დიდი კონტრასტი, რომელიც მას ასე ხიბვლავდა.

თან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მამინდელი უფროსის ამხ. ოთარ ევაძის თავმჯდომარეობით შედგა საინიციატივო ჯგუფის სხდომა, რომელშიც შედიოდნენ: ვ. ანჯაფარიძე, გ. ბუნხიაშვილი, ლ. გვარამაძე, აკ. ვასაძე, ნ. ვანნაძე, გრ. ვენაძე, ალ. თაყაიშვილი, კ. კანდელაკი, მ. კვალაიაშვილი, შ. კილასონიძე, გრ. კილაძე, ნ. მარშაკი, აკ. ფალავა, შ. ლამბაშიძე, კ. შახ-აზიშვილი, დ. ჯანელიძე და აკ. ხორავა.

აღნიშნულმა ჯგუფმა შეიმუშავა საქართველოს თეატრალური საზოგადოების დაარსების პროექტი, წესდება, ხარჯთ-ალრიცხვა და აგრეთვე მომავალი შტატები. ამავე დროს შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიაც შედიოდნენ: ვ. ანჯაფარიძე, დ. ანთაძე, კ. ანდრონიკაშვილი, შ. აფხაიძე, დ. ბენაშვილი, გ. ბუნხიაშვილი, ი. ბოდროვი, ი. გრიშაშვილი, შ. გაბესკირია, ს. გერსამია, ნ. გიძიაშვილი, შ. დადიანი, შ. დუღუჩავა, აკ. ვასაძე, გრ. ვენაძე, ალ. თაყაიშვილი, მ. კვალაიაშვილი, თ. კიკნაძე, მ. მრეგლიშვილი, ვ. პატარაია, ბ. ქუდნტი, გ. ტოფტონოვი, ი. ტორი, აკ. ფალავა, მ. ფრანგიშვილი, ს. შანშიაშვილი, გ. ჩხეკვაძე, ზ. ჩაბიევა, ს. ცოხაია, ალ. წუწუნავა, აკ. ხორავა, მ. ხინციფაძე, ს. ხურციძე და ვ. ხე-თაგური.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების დაარსების შესახებ პროექტი წარდგენილი იქნა ზემდგომი ორგანოების წინაშე, მაგრამ სხვადასხვა ორგანიზაციული მიზეზების გამო ამ საკითხის გადაწყვეტა დაყოვნდა.

მომდევნო 1945 წელს კვლავ დაისვა ეს საკითხი და დამტკიცდა ახალი საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ვ. ანჯაფარიძე, დ. ანდლუაძე, არტ. ბეროიანი, გ. ბუნხიაშვილი, ი. გრიშაშვილი, ი. გვიჩიძე, შ. დადიანი, აკ. ვასაძე, ალ. თაყაიშვილი, გრ. კილაძე, მ. რუსლანოვი, ანატ. სმირანინი, აკ. ფალავა, შ. ლამბაშიძე, რ. შადერი (ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი), ს. შანშიაშვილი, ალ. წუწუნავა, მის. ჭიაურელი, დ. ჯანელიძე და აკ. ხორავა.

1945 წლის 9 აგვისტოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ გამოიტანა დადგენილება საქართველოს თეატრალური საზოგადოების დაარსების შესახებ.

რა თქმა უნდა, ანალოგიური საზოგადოება ადრეც არსებობდა ქართული დრამატული საზოგადოების სახით, რომელიც 1880 წელს დაარსდა და რომლის პირველი თავმჯდომარე იყო ილია ჭავჭავაძე, მოადგილე აკ. წერეთელი, მდივანი ვ. ყიფიანი, ხაზინადარი გ. თუმანიშვილი, მაგრამ დრამატული საზოგადოების მუშაობის მასშტაბი ერთობ შეზღუდული იყო მეფის რეაქციული ხელისუფლების მკაცრ საცენზურო პირობებში. მაშინდელი დრამატული საზოგადოება თავისი მცირერიცხოვანი წევრების საწევრო ანარიცხებისა და შემოწირულობების ხარჯზე არსებობდა. დრამატული საზოგადოების წესდების მრავალი მუხლი ყოველწლიურად შეუსრულებელი რჩებოდა. „ყოველ თავის მოქმედებაში საზოგადოება ემორჩილება ცენზურის წესდებას და პოლიციის განკარგულებას“. — წერია დრამატული საზოგადოების ერთ-ერთ მუხლში. აქედან გასაგებია თუ რა შემოქმედებით მოღვაწეობდა შეიძლებოდა ლაპარაკი. ასევე კარჩაეკტილად მუშაობდნენ საქართველოს ცალკეულ ქალაქებში დაარსებული ადგილობრივი დრამატული საზოგადოებები, რომლებიც არც კი ემორჩილებოდნენ თბილისის დრამატულ საზოგადოებას.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ამჟამად თეატრის ყველა დარგის შემოქმედ მუშაკს აერთიანებს და დიდი საპატიო მოვალეობა აქვს დაკისრებული. იგი ხელს უწყობს ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებას. თეატრში შემოქმედებით მუშაობის, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის საიბიების სწორად წარმართვის.

1945 წლის 17-18 დეკემბერს მოწვეული იქნა საზოგადოების პირველი დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც მიიღო

საქართველოს თეატრალური საზოგადოების ოცი წლისთავი

ნიკოლოზ კველიშვილი



ქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან ერთად სწრაფი აღმავლობის გზას დაადგა ხელოვნების ყოველი დარგი. გაიხსნა კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლები, სახელმწიფო კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია, თეატრალური ინსტიტუტი, მუსიკალური სკოლა და სხვ. დროთა მანძილზე შეიქმნა ხელოვნების მუშაკთა მრავალრიცხოვანი არმია, რომელმაც მოიხსოვა ცალკეულ შემოქმედებით ორგანიზაციებში გაერთიანება.

1944 წლის 16 აპრილს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს-

წესდება, განიხილა წევრთა მიღების საკითხები და დასახა ახალი ამოცანები მომავალი შემოქმედებითი მუშაობის გასაშლელად.

პირველ ყრილობაზე თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკ. ზორავა, მოადგილედ — რუსეთის სსრ სახალხო არტისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე შ. დადიანი (შ. დადიანი 1948 წლის პირველი იანვრიდან არჩეულ იქნა საზოგადოების თავმჯდომარედ, სადაც იგი უკვლავად იყო 1959 წლის მარტამდე ე. ი. გარდაცვალებამდე), საზოგადოების პრეზიდიუმის პ.მ.გ. მდიანად თეატრის ისტორიკოსი სერგეი გუვისამია. პირველმა ყრილობამ პრეზიდიუმში აირჩია: სსრ კავშირის სახალხო არტისტი ე. ა. ანჯაფარიძე, აკ. ვასაძე, და დ. ანდლუაძე, რესპ. სახ. არტისტები — დ. ანთაძე, შ. ლამბაძე, გრ. ვენაძე და ალ. თაყაიშვილი, პუბიკ აკად. გ. გრიშაშვილი, მწერალი და დრამატურგი ს. შანშიაშვილი, მწერალი შ. აფხაძე და რესპ. დამს. არტისტი ი. ბოდბერი.

დამატებითა საშტატო ერთეულები და გაყოფილებები: 1. სამსცენო-შემოქმედებითი გაყოფილება რეჟისორისა და მასხიბონის, თეატრის ისტორიის, დრამატურგიისა და კრიტიკის კაბინეტებით. 2. ბიბლიოგრაფიული გაყოფილება, 3. გამომცემლობა „ხელოვნება“, 4. სტამბა და წიგნის მალაზია, ხოლო სახალხო არტისტთა საზოგადოების საწარმოო გაყოფილება თავისი დამხმარე სამაქროებით.

დღივ წარმატებით ხვდება თეატრალური საზოგადოება თავისი არსებობის 20 წლისთავს. მისი წევრების რაოდენობა აჭემადა 1500-ზე მეტია, 20 წლის მანძილზე საზოგადოებამ შეტანა მრავალფეროვანი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა ჩატარდა. თავისი სამსცენო-შემოქმედებითი გაყოფილებისა და მასში შემაჯავრო სექციების მეშვეობით. ეს სექციებია: რეჟისორისა და მასხიბონის, თეატრმცოდნეობისა და კრიტიკის, თეატრის სადავმო ნაწილის, ახალგაზრდა შემოქმედ მუშაკთა სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭო, სამსატრეო საბჭო და სხვ. მათში გაერთიანებული არიან ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე რეჟისორები, მასხიბონები, თეატრმცოდნეები, მხატვრები, კომპოზიტორები, მეცნიერები და სხვა დარგის სპეციალისტები.

რა სახის საქმიანობის ეწევა საქართველოს თეატრალური საზოგადოება? იგი მიეღო როგორც ღონისძიებებს იმუშავებს ქართული თეატრალური ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის. თეატრის მუშაკებისათვის სისტემატრად ეწყობა სამსცენო რესპიცი და სემინარები, მაყურებელთა კონფერენციები და დისკუტები. საზოგადოება თასონებს მასხიბონთა იუბილეებს. ქართული თეატრის გამორჩენილ მოღვაწეთა სხვისი და შემოქმედებითი საღამოების მოწყობას. რესპუბლიკის სახელმწიფო და სახალხო თეატრები, კულტურის სახლების თვითმოქმედ თეატრალურ კოლექტივების, საზოგადოების ხაზით ტარდება ლექცია-მოსვენებები, წარბოების მუშებთან ქართული თეატრის გამორჩენილ მოღვაწეთა შეხვედრები და მრავალი სხვ.

მისათვის რომ წარმოდგენა ვიქონიოთ თეატრალური საზოგადოების მუშაობის მასხიბონი მიზანშეწონილად მიგვიჩანს მოყოფიანთა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ ჩატარებული ღონისძიებების ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი.

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას თავისი არსებობის 20 წლის მანძილზე ჩატარებული აქვს შემდეგი სახის ღონისძიებები. ყრილობა — 5, პლენუმი — 23, სესია (ადგილზე) — 19; სესია (გამსვლელი) — 12, სესია (ამირეჯავასის მასპინძობით) — 3, კონფერენცია — 22, საიუბილეო საღამო — 39, დისკუტები, 199 შემოქმედებითი საღამო, 78 — სლოგანსა და მიმდევრული საღამო, სამსცენო რესპიცი — 9, სენზორი — 4, 50 ლექცია სხვადასხვა თეორიულ საკითხებზე, 302

მოსვენება ხელოვნების სხვადასხვა საკითხებზე და საქმეაღების შესახებ ფარეკა-ქარნეში, 561 მოსვენება სახელმწიფო თეატრების, საქმეაღების განხილვა სახელმწიფო თეატრებში — 209, 144 მოსვენება სახალხო თეატრების, 230 საქმეაღების განხილვა სახალხო თეატრებში, 559 მოსვენება კულტურის სახლებში, 34 მოსვენება ქართული თეატრის შესახებ მოსკოვის დიდ ქარნეში (დავლანის დროს 1958 წელს), 34 ლექცია-მოსვენება კულტურის სახალხო უნივერსიტეტებში. 77 საგანკონო საქმეაღების განხილვა, მხატვრულ თვითმოქმედ ღონისძიებაში მისახილობის დროს — 23 მოსვენება ახალგაზრდობის მონაწილეობით, 21 საქმეაღების დათვალიერება, მხატვართა ნაშრომების გამოფენა — 9 (პ. თყეშელა, ირ. გამრეკელის, ვლ. ახვლედიანის და სხვ.). 8-ჯერ „ერთი დღე თბილისის თეატრებში“, სესიონის შედეგით — 10, 1 კონკურსი საუკეთესო პიესებზე, 16 შეხვედრა, თათბირები სხვადასხვა საკითხებზე — 14, ქართული თეატრის დღის აღნიშვნა 4-ჯერ, თეატრის საერთაშორისო დღის აღნიშვნა 4-ჯერ და სხვა მრავალი.

ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან პირველ რიგში აღანიშნავია ამირეჯავასის თეატრალური საზოგადოების გაერთიანებული სესია, რომელიც 1953 წლის ივნისში ჩატარდა ერევანში, ბაქოსა და თბილისში. ამ სესიებზე საქართველოდან წარგზავნილმა წიკითხებს მოსხენებები: 1. „ქართული-სომხურ-აზერბაიჯანული თეატრის კავშირის ისტორიიდან“ — მომხს. ხელოვნ. დამსახურებული მოღვაწე გ. მუხინაშვილი, 2. „რეგულირებადელი ქართული თეატრის განვითარების გზები“ — მომხს. პროფ. დ. ჯანდიერი, 3. „ქართული საბჭოთა თეატრი“ — მომხს. ხელოვნ. დამსახ. მოღვ. ბ. ჟღენტი, და 4. „ქართული საბჭოთა დრამატურგია“ — მომხსენებელი ხელოვნ. დამს. მოღვაწე გ. ანდრონიკაშვილი.

მათაღ დღივზე ჩატარდა აგრეთვე ამირეჯავასის მოზარდ მაყურებელთა და თოჯინების თეატრების მუშაკთა კონფერენცია თბილისში, აგრეთვე პლენუმი ამირეჯავასის თეატრალური საზოგადოებისა — 1964 წელს თბილისში, ერევანსა და ბაქოში. ამ პლენუმებზე წაკითხულ იქნა მოსხენებები: 1. „თანამედროვე დრამატურგია პროფესიულ თეატრში“, 2. „თეატრალური კრიტიკა საქართველოში“ — თრივე საკითხზე მოსხენება გააკეთა. ბ. ჟღენტი და 3. „რეჟისურა ქართულ თეატრში“ — მომხს. ხელ. დამ. მოღვაწე გ. ლორთქიფანიძე.

ამ ღონისძიებებმა დიდად შეუწყო ხელი სამი მომხდ რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკთა დაახლოებას და მათი შემოქმედებითი გამომცდილების გაზიარებას.

დიდად სასარგებლო იყო სამსცენო რესპიცი სასცენო მეტყველების საკითხებზე. წაკითხული იქნა მოსხენებები: 1. „ქართული სათეატრატურო ორთოპედია და სასცენო მეტყველება“ — მომხს. აკად. გ. ახვლედიანი, 2. „ქართული სასცენო მართლმეტყველების ისტორიისათვის“ — მომხს. პროფ. დ. ჯანდიერი, 3. „დრამატული ნაწარმოების ენა“ — მომხს. პროფ. მ. ძიძიგური, 4. „ქართული სასცენო მეტყველების ზოგიერთი თეორიული წინამდებარე“ — მომხს. დოც. მრგელიშვილი და 5. „ქართული სასცენო წარმოთქმა მაგნიტოფონური ჩანაწერების მიხედვით“ მომხს. დოც. ბ. ნიკოლაიშვილი.

ნაყოფიერი იყო ჩვენი თეატრის მუშაკებისათვის რეჟისორთა რესპუბლიკური პირველი კონფერენცია, რომელზეც წაკითხული იქნა მოსხენებები: 1. „საკვპ ცკ-ის დადგენილებები იდეოლოგიურ საკითხებზე და საბჭოთა თეატრის ამოცანები“ — მომხს. შ. მუაჩიძე, 2. „საბჭოთა თეატრის ამოცანები და თანამედროვე რეჟისურის საკითხები“ — მომხს. რესპ. სახ. არტ. ალ. თაყაიშვილი, 3. „სტატისტიკის სიტყმა და მასხიბონის აღზრდის საკითხები“ — მომხს. რესპ. სახ. არტ. და. ალექსიძე 4. „ქნის სიწმინდისათვის ქართულ თეატრში“ — მომხს. აკად. გ. ახვლედიანი. 5. „რეჟისორის მუშაობა მუსი-

კალურ თეატრში — მომხს. კ. ანდრონიკაშვილი, ნ. „რევი-
სორის მუშაობა მსახიობთა“ — მომხს. რუსა. სახ. არტ. ვ. ყუ-
შიტაშვილი და 7. „რევისორის მუშაობა მხატვართან და კომ-
პოზიტორთან“ — მომხს. ხელ. დამს. მოლავაძე ვ. ღვინიაშვი-
ლი.

ჩატარდა აგრეთვე მეტად სასარგებლო დღისიძიება სცე-
ნის სადადმო ნაწილის მუშაობისათვის, ეს იყო სე-
მინარი-კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ რესპუბლიკის
ყველა თეატრის სადადმო ნაწილის მუშაკები. სემინარზე წა-
კითხული იქნა შემდეგი მოხსენებები; 1. „საქეტიკლის მიწი-
ტრება და მასში რევისორის, მხატვრისა და სადადმო ნაწი-
ლის მონაწილეობა“; 2. „სიახლები სასცენო ტექნიკაში“; 3.
საწარმო პროექტის ორგანიზაცია თეატრში“; 4. „დრაგონაცი-
ის დადგმაში საამქროების ტექნოლოგია და ორგანიზაცია“ და
სხვ. მომხსენებლებად მოწვეულ იქნენ ხელ. დამს. მოლავაძეები.
ვ. შეერუბოიანი და გ. შაიავლიძის, ტექნიკურ მენეჯერებ-
მათა კანდიდატები ალ. მიტყეველი და მ. ბოგამლოვა (მოს-
კოვი).

გარდა ამისა, საზოგადოებამ სამეცნიერო სესიები მიუძღ-
ვა: შექარბის დაბადების 400 წლისთავს, ლოპე დე ვეგას და-
ბადების 400 წლისთავს, ვ. ერისთავის დაბადების 150
წლისთავს, გ. სტანისლავსკის დაბადების 100 წლისთავს, ვ.
გუნიას დაბადების 100 წლისთავს. აღ. სუმბათაშვილი-იუვი-
ნის დაბადების 100 წლისთავს, ლ. მესხიშვილის დაბადების
100 წლისთავს. კ. მარჯანიშვილის დაბადების 90 წლისთავს,
შ. დადიანის დაბადების 90 წლისთავს, ქართული თეატრის
100 წლისთავს, რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლის-
თავს და მრავალი სხვა.

საზოგადოებამ მოაწყო ქართული თეატრის გამოჩენილი
მოღვაწეების საიუბილეო საღამოები: შ. დადიანის, ნ. ჩხეი-
ძის, ა. ფაღავასი, ვ. გუნიასი, ვ. ანჯაფარიძის, თ. ჭავჭავაძის,
გ. დავითაშვილის, დ. ანათის, ავ. ხორავასი, ავ. ვასაძის,
გ. გოთიაშვილისა და სხვ.

თეატრის მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით
საზოგადოებამ შემოქმედებით მივლინებამ აგზავნა ის საბჭო-
თა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. მაკალთადა, 1950
წლიდან დღემდე შემოქმედებით მივლინებამ აგზავნილია
251 შემოქმედელი მუშაკი. აქედან 115 მსახიობი, 65 რეჟისო-
რი, 15 დირექტორი, 15 მხატვარი, 7 დრამატურგი, 2 კომ-
პოზიტორი, 4 დირიჟორი, 4 ბალეტმეისტერი, 4 თეატრ-
მოცხედ და 3 სცენის ტექნიკური მუშაკი.

როგორც ცნობილია, 1947 წლიდან 1962 წლამდე სა-
ქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან არსებობდა გა-
მომცხვება „ხელოვნება“, რომელმაც 350-ზე მეტი წიგნი
გამოსცა ქართული თეატრის გამოჩენილი მოღვაწეების შესა-
ხებ. „ხელოვნების“ მიერ გამოცემული წიგნებიდან პირველ
რიგში აღსანიშნავია კ. მარჯანიშვილის მემუარები, კერძოდ
მარჯანიშვილზე, კერძოდ ალ. ახმეტელზე, გ. სტანისლავს-
კის „თეატრალური ხელოვნება“, შ. კაშპაძის „ქართული სა-
ოპერო თეატრი“ — 2 წიგნად, თ. ევაძის „ლორინი და ხე-
ლოვნება“, ნ. ყიასაშვილის „შექაპირიანა“, შ. დულდინავას
„ახალი ქართული ხელოვნება“, აკად. შ. ამირანაშვილის
„ქართული ხელოვნების ისტორია“, ი. ჭავჭავაძე თეატრის
შესახებ“, აკ. წერეთელი თეატრის შესახებ“, ი. ციციშვილის

„მასალევი ქართული ჩამუშოვების შესახებ“, ა. ფიცხელა-
ურის „დეკორატიული ხელოვნება“, ვ. ქაქიძის „ცხოვ-
რება ივ. შანაბლიას“, გ. ბუხნიკაშვილის „იორის თეატრის
100 წლისთავი“, დ. ახათასი, „დღეები ახლო წარსოვლისა“,
პ. ფრანგიშვილის „რაც ვნახე და ვახეყიდალ“, ნ. შვანიტა-
ძის „თეატრალური ეტიუდები“, დ. ალექსიძის „მსახიო-
ბის აღზრდის საკითხები“, ე. ტომპოკოვის „სტანისლავსკი
რეპეტიციონი“. აგრეთვე მინორფორები ვ. აბაშიძეზე, გ. გუ-
ნიაზე, ნ. გაბუნიაზე, ნ. საფარავა-აბაშიძეზე, ლ. მესხი-
შვილზე, ი. ზარდალიშვილზე, დ. არაყიანიშვილზე, ნ. ავალი-
შვილზე, ნ. ჩხეიძეზე, უ. ჩხეიძეზე, შ. დამაძიძეზე, შ. და-
ნიელზე, ალ. სუმბათაშვილი-იუვინზე, ვ. ანჯაფარიძეზე,
ს. თაყაიშვილზე, ც. ამირეჯიბზე, ავ. ხორავაზე, გ. გოთია-
შვილზე და სხვ.


1956 წლიდან საზოგადოებასთან არსებობს „მოამბე“,
რომელიც კვარკვარეული ერთხელე გამომცემი. 1961 წლიდან
„მოამბე“ ეკვრება სტამბური ნაბეჭდი წესით გამოდის. წარმო-
ადგენს საინფორმაციო ხასიათის ჟურნალს. საზოგადოებო კო-
ლეგია: ა. დადიანი, ვ. ანჯაფარიძე, თ. ბაქრაძე, თ. ევაძე,
ლ. ლომთაძე, შ. მებრძოლიანი და ნ. შვანიტაძე. II თე-
მატურად იყვანება: დ. ანათი, შ. აფხაზი, გ. გოთიაშვილი, ნ. გურა-
ბანიძე, თ. ევაძე, ლ. მჭედლიძე, ჯ. ქვიციანი, ნ. შვანიტაძე,
გ. ციციშვილი, ავ. ხორავა და დ. ჯახელიძე. საზოგადოებამ
აქვს საკუთარი სტამბა, რომელიც გარდა აფორმებისა და მო-
საწვევე ბარათებისა, წიგნებსაც ბეჭდავს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოებამ ნებაყოფილო-
ბითი ორგანიზაცია და იგი სახელმწიფო დოტაციას არ ღე-
ბულობს. იგი თავის შემოქმედებით საქმიანობას წარმართავს
საწვერო ანარქიზების და საწარმოო განყოფილების და მომხ-
დარების საამქროებიდან შემოსული სახსრებით.

საქართველოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის (1948-1959
წლებში) შალვა დადიანის სახელთან დაკავშირებულია მრავ-
ალი მნიშვნელოვანი წარმატება საქართველოს თეატრალურ
ი საზოგადოების მუშაობაში. შ. დადიანის გარდაცვალების
შემდეგ გარკვეული პერიოდის მანძილზე საზოგადოებას
კვლავ ავ. ხორავა ჩაუდგა სათავეში, ხოლო შემდეგში მწე-
რალი და დრამატურგი ხელოვნების დამსახურებელი მოღ-
ვაწე მის. მრეკვიტიშვილი. ამჟამად საზოგადოების პრეზიდი-
უმის თავმჯდომარეა რესპუბლიკის სასახლო არტისტტი
დ. ანათი.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუ-
მის თავმჯდომარის მოადგილეებად სხვადასხვა დროს იყე-
ნენ — რუსა. სახ. არტისტტი: ალ. თაყაიშვილი და გ. ვე-
ნაძე, ხელ. დამს. მოლავაძე დ. ძეწელიძე, სიკო ვარნაძე, როდის
მის ქორთია. ამჟამად კი ვ. იაქაშვილია. პრეზიდიუმის პრედი-
ნება — ს. გურასია, ს. მთავარია. ამჟამად კი ხელ. დამს.
მოლავაძე დ. ჩხეიძეა. სარევიზო კომისიის მუდმივი თავ-
მჯდომარეა რუსა. სახ. არტისტტი გ. ნინიძე.

საქართველოს თეატრალური საზოგადოებამ, როგორც ხე-
ლოვნების ერთ-ერთ ეკრას, კიდევ უფრო დიდი მუშაობის ჩა-
ტარება მიუხედავად, რათა თავისი წვლილი შეიტანოს ქართუ-
ლი თეატრალური ხელოვნების შემდგომი განვითარებისა და
აყვავების საქმეში, ფორმით ნაციონალური და შინაარსით
სოციალისტური ხელოვნების წინსვლის საქმეში.





ლილი კოპტიხ შთაგონებით

ილია მაისურაძე



რავალ ქართველ ხელოვანს დაუსატყავს შოთა რუსთაველის პორტრეტი, დაუსურათებია მისი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“. მათ შორის არიან ხალხური შემოქმედნიც. ახალციხელ მანდილოსან როზა მეფისაშვილს, მნახველთა გადმოცემით, ნემსითა და ძაფით დღე და დამეუსწორებია და ძვირფასი ზაფერდის ფონზე თითოეული ფერადი სურათის ამოქარგვისათვის სამი-ოთხი წელი მიუნდომებია.

რ. მეფისაშვილის ორი ნაწარმოები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმების ეთნოგრაფიულ განყოფილებაშია დაცუ-

ლი. ერთ მათგანია მიხაი ზირის ნახატიდან გადმოღებული კომპოზიცია „შოთა რუსთაველი უძღვნის თამარ მეფეს თავის პიესას“.

ხელსაქმის საუკეთესო ოსტატის ამ ნაწარმოებს ახასიათებს შესრულების სინატიფე, ფერების პარმონიულობა, მკაფიობა და გამოსახულების ზუსტი დამთხვევა ორიგინალთან. ყველაზე მიმზიდველი მაინც ის არის, რომ ქარგულობის ეს ნიმუში განათებულია ერთგვარი შინაგანი შუქით, რომელიც მივლ კომპოზიციას არაჩვეულებრივ სიცხოვალესა და დინამიკურობას ანიჭებს.

ეს მიღწეულია იმით, რომ ნაქარგმა გაოყენებული არა მარტო ფერადი ძაფები, არამედ ძვირფასი თვლები და მძივები, ამბრეში, ადამანთა ფიგურები ოქრომკედლით არის ამოკემილი, მათ ამშვენებს ნამდვილი თმა.

წარწერიდან ჩანს, რომ ეს საინტერესო ნაწარმოები 1896 წ. არის დასრულებული, მაგრამ როგორც ირკვევა, იგი ოსტატის ერთდღერი და პირველი ნამუშევარი არ უნდა იყოს.

ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება 1894 წელს გადაღებული ფოტოსურათი, რომელზეც იგივე კომპოზიციაა გამოსახული. სურათი ოთახის ცენტრში კედელზე ჰკიდია, მის წინ თვითონ ავტორი — მომქარველი ზის. აშკარაა, რომ ხელოვანს თავისი ნაშრომი ორჯერ შეუსრულებია (1894 და 1896 წლებში). თბილისში დაცული ნაწარმოები მეორე ვარიანტია.

რ. მეფისაშვილის მეორე ნაწარმოები თამარ მეფის ცნობილი ფერადი პორტრეტის მიხედვით არის ამოქარგული. თამარი მთელი ტანით დგას. როგორც ზემოთ აღწერილი კომპოზიცია, ეს ნამუშევარიც მაღალოსტატურად არის შესრულებული იმავე წესით და საშუალებებით. თარიღი სურათზე ასობით არის აღნიშნული: „წელსა ჩყვე — (1895). შემსრულებლის ვინაობა ასე იკითხება: „ხელფ. როზა ივანეს ასული მეფისაშვილი“.

მეფის სურათზე ამოქარგულია ვრცელი წარწერა, ეს არის გრ. ორბელიანის ლექსის („თამარ მეფის სახე ბეთანიის ცვლესიაში“) ნაწყვეტი. ლექსის ტექსტი ოდნავ არის შეცვლილი. ზოგი ცვლილება მესხური დიალექტის ენობრივ თავისებურებათა მიხედვით არის შეტანილი. წარწერა გადამბულ სტრიქონებად არის წარმოდგენილი, ჩვენ კი ლექსად ამოვწერთ:

მოხედ ბეკრულს
შენს სატრფო მამულს
და ჯაბით შენით აკურთხე კვალად.
შენი ივერი,
აღსდგეს მლოერი
და დადგეს ერთ სხვა ერთა შორის,
წინდა საყდართ,
ენით მდიდართ,
სწავლისა შექით განათებული.


რ. მეფისაშვილის ნაქარგი ნაწარმოებში უმჯობესად ავტორის შემოქმედებით უნარზე, მის დიდ შრომისმოყვარეობასა და ნებისყოფაზე.

ახლა მაინც, როცა დიდი მგოსნის საიუბილეო დღეებში მიდის, საჭიროა გამოვავლინოთ და შევისწავლოთ ხალხური შემოქმედების ყოველი ნიმუში, რომელიც რუსთაველის სახელთან არის დაკავშირებული და მისდამი ერის უზომო სიყვარულს გაბობნალებს.

ასლან ჭანტურია
ძველი თბილისი (ლინოგრაფიერა)



ემირ ბურჯანაძე
ზღვის პეიზაჟი



ინა კელიძე
ჭართოელი ხალხური ზღაპრის ილუსტრაცია

რეზო რამიშვილი
შემოღობა



ქასის თეატრალიკი ნაქსულიან

გიორგი ხორგუაშვილი



ასპის რაიონის სოფელ ახალქალაქს, რომელიც თრიალეთის მთის კალთებზეა შეფენილი, საინტერესო წარსული აქვს. ერთ დროს იგი მართლაც ქალაქი ყოფილა, XII-XIII საუკუნეებში კი ერისთავთ-ერისთავის კახას რეზიდენცია. მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში იგი ხელახლა აღუდგენია ქართლის მეფე როსტომს. ახალქალაქში თავიდანვე განვითარებული ყოფილა არა მარტო ვაჭრობა და ხელოსნობა, მაღალ დონეზე მდგარა კულტურაც. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აქ ფეხს იკიდებს თეატრალური ხელოვნება. 70-იან წლებში ყალიბდება ადგი-

ლობრივი დრამატული დასი, რომელშიც ერთიანდება სოფლის მოწინავე, განათლებული ადამიანები, უმთავრესად დიდი ქართველი მხედართმთავრის გიორგი სააკაძის შთამომავლობის — თარხნიშვილების საგვარეულოდან. ყოველივე ამის წამომწყები და სულისჩამდგმელი ხდება ცნობილი ქართველი მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილი. სწორედ მისი ინიციატივით გაიმართა პირველი წარმოდგენა. 1876 წელს მაცურებელს უჩვენეს გ. ერისთავის კომედია „ქუნწი“ და თვით ეკ. გაბაშვილის ვოდეილი „ყმაწვილი ქალის ცხოვრებიდან“, რომელიც მწერალმა ქალმა სპეციალურად ახალქალაქელი სცენისმოყვარეებისათვის დაწერა. (შემდეგში ეს ნაწარმოები დაიბეჭდა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“). წარმოდგენის რეჟისორი იყო ილია გრუზინსკი, ხელოვნების დიდი მოტრფიალე. როლების შესრულებით გამოირჩეოდნენ ვასო, სოსიკო, დუშეიკო, გიგო თარხნიშვილები და მათი მეუღლეები.

პირველ წარმოდგენას უამრავი მაცურებელი დასწრებიან, მისულან მეზობელი სოფლებიდანაც.

„1876 წლის აგვისტოში — ივონებს ეკ. გაბაშვილი — სოფ. ახალქალაქში პირველად გაიმართა ქართული წარმოდგენა ჩემი ინიციატივით. ვითამაშეთ გ. ერისთავის კომედია „ქუნწი“ და ამ შემთხვევისათვის დაწერილი ჩემი პატარა სცენა „ყმაწვილი ქალის ცხოვრებიდან“... აუარებელი ხალხი მოაწყდა... იმ სახლის გარშემო, რომელშიც წარმოდგენა იყო დანიშნული, ბევრი დანარდახული ურემი, ფეკტონი და შეკაზმული ცხენი იდგა. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა, ხალხი კმაყოფილი დარჩა.“

...ერთხელ დაწყებული საქმე და მასთან უმრავლესობისგან მოწონებული, აღარ შეწყვეტილა და დღესაც ზაფხული ისე ამ გაივლის, რომ ორი-სამი საქველმოქმედო წარმოდგენა არ გაიმართოს.

მამინდელ მოთამაშეთაგან რამდენიმე რიგიანი არტისტი გამოიჩინა, შემდეგ სხვა პროვინციის სცენებსაც ამშვენებდნენ და ხელს უწყობდნენ თეატრის მნიშვნელობის გაგრძელებას ხალხში“. (ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ № 16, 1910 წელი).

გაზეთმა „დროებამ“ ახალქალაქელთა ამ პირველ წარმოდგენას ვრცელი სტატია უძღვნა:

„ჩვენმა საზოგადოებამ მიიღო ეს აზრი დიდის სიამოვნებით და მაცურებლად მოვიდნენ გარემუ სოფლებიდანაც. უნდა მოგახსენიო, რომ ამ კომედიის წარმოდგენაში მიიღეს მონაწილეობა ზოგიერთმა იმისთანა პირებმა, რომელთაც არასოდეს წარმოდგენა და სცენა თვალთ არ უნახავთ, მაშინ, ჩვენდა გასაოცებლად, ისე კარგად აღასრულეს თავისი როლები, რომ დიდ სცენაზეც სასიამოვნო იქნება ამ მოქმედი პირების ნახვა“. (გაზ. „დროება“, 1876 წლის 27 აგვისტო, № 91).

წარმოდგენის შემოსავალი საქველმოქმედო მიზნით გამოიყენეს. იგი ზაქათალის ხანძრით დაზარალებულ ოჯახებს მობანძარეს.

წახალისებულმა სცენისმოყვარეებმა რამდენიმე დღის შემდეგ, კერძოდ, 12 აგვისტოს, მეორე წარმოდგენა გამართეს. ამჯერად უჩვენეს ისევ გ. ერისთავის „ქუნწი“ და „უჩინ-მარინის ქუდი“. ამ წარმოდგენამაც დიდი წარმატებით ჩაიარა. მას უფრო მეტი მაცურებელი დაესწრო, ვიდრე პირველს. ეს

იმანაც განაპირობა, რომ უზრალო ხალხისათვის იაფფასიანი ბილითები გაუყიდათ. „იაფი ფასი ბილითებისა, — დასაჯგინს „დროების“ კორესპონდენტი, — დასდეს იმ აზრით, რომ მიიწოდის მდამალვი ხალხიც, რომელთანაც ჩვენი თავიდანაწერობა დღევანდლამდე დამორჩეული არის და რომელთანაც არაფერი ერთობა არა აქვს მაშინ, როდესაც უერთმანეთოდ ჩვენ ცხოვრობდა არ შევივლიან და ყოვლად საჭიროა მოისპოს ამგვარი მათი შესახვედრება“.

ამის შემდეგ ტრადიციად იქცა სოფ. ახალქალაქში წარმოადგენების გამართვა. 70-იანი წლების მიწურულსა და 80-იან წლებში ადგილობრივმა სციენისმოყვარეებმა არა ერთი და ორი წარმოდგენა გამართეს. სხვადასხვა დროს მომავალეს და მაყურებელს უჩვენეს ქართულ დრამატურება ორიგინალური თუ გადმოკეთებული პიესები, მათ შორის ცაგარელის „ბაიყუ-ში“, „ხანუმა“, „მათილი“, „რაც ვინახავს, ვიღარ ნახავ“, კოტიე შესისის „თამარ ბატონიშვილი“, ვასო აბაშიძის „ცალი თუ გინდა, ეს არის“, ე. ვაშაშვილის მიერ დაწერილი სციენები.

სპექტაკლების დადგმის მითავიდა აჭარური მონაწილე-ნი იყვნენ ევ. გაბაშვილი, ნინო თარხან-მოურავი, სოფიო თარხნიშვილი, ილისაბედ თარხნიშვილი, პედაგოგი ნიკო ზუცი-შვილი, მაშინ ახალგაზრდა, შემდეგში მწერალი და ფოლ-კლორისტი ანატო კაპანაძე და სხვ. მათ წარმოდგენებს მა-ყურებელი სისტემატურად ესწრებოდა, შემოსავლიც ბევრი ჰქონდათ, რასაც, თითქმის, ყოველთვის სატყვემოქმედ მიზ-ნით იყენებდნენ, უმთავრესად თვით ახალქალაქის კეთილ-მოწყობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიე-ბებისათვის. სწორედ ასე მოაწვეს სციენა, შეიძინეს საჭირო ინვენტარი. ფულის დიდი ნაწილი მიხმარდა აგრეთვე სკო-ლის კეთილმოწყობასა და, საერთოდ, აღზრდის საქმეს.

მაშინდელი პრესა უყურადღებოდ არ სტოვებდა ახალქა-ლაქში მომხდარ კულტურულ ცვლილებებს. „ივერია“, „დროება“, ჟურნალი „თეატრი“ სისტემატურად ათავსებდ-ნენ ინფორმაციებს, წერაობებს, რევენუებს აქ გამართულ წარმოდგენებზე. ერთი სიტყვით, ახალქალაქელმა სციენს-მოყვარებებმა სახელი გაითქვეს. ამიტომაც იყო, რომ მათ სპექტაკლებში ხშირად გამოდიოდნენ თბილისიდან ბტუმ-რად ჩამოსული პროფესიონალი მსახიობებიც. 1888 წლის ივლისში თბილისის დრამატულმა დასმა აქ დადგა ცაგარ-ელის „ხანუმა“, რომელშიც მოიარა როლებს ასრულებდნენ ნ. გაბუნია-ცაგარელისა, ა. ნებეირიძე, ი. ცაგარელი და სხვები. სპექტაკლი მაყურებელმა დიდი ინტერესით მიიღო. განსაკუთრებით აღტაცებულნი იყვნენ ნატო გაბუნის თამა-შით. „ივერია“ იტყობინებოდა:

„გაბუნისა, რა თქმა უნდა, ქება არ ესაჭიროება, სად არ არის იმის ნიჭიერს თამაშზე ხმა გაგარდნილი! ჩვენმა გლეხ-კაცობამაც ეო იციან, გაბუნია ვინ არის. ვიტყვი თ მარტო იმას, რომ საზოგადოებამ შეძლებისდაგვარად კარგად მიი-ღო პირველ გამოსვლაზევე ჩვენს პატარა, მაგრამ ლაზა-თიანად გაკეთებულ სცენაზედ“. (გვ. „ივერია“, 1888 წლის 4 აგვისტო, № 163). სიყვარულის და პავისციების ნიშ-ნად ნ. გაბუნისათვის იმ საღამოს მიერთმევით ყვავილების თაიგული და საჩუქრები, რომელთა შორის ბრილიანტის ბე-ჭვიც ყოფილა. რამდენიმე დღის შემდეგ, კერძოდ, ნ. აგვის-

ტოს, ისევე გაიმართა კონცერტი იმავე მსახიობის მონაწილე-ობით. ჯერ წარმოადგინეს ა. ცაგარელის „ბაიყუში“, შემდეგ ა. ნებეირიძემ წაიკითხა სციენის ხალხის ცხოვროვიდან, ხი-ლო ნ. გაბუნია — ცაგარელის შვასრულა სხვადასხვა სიმ-ღერები, რითაც მაყურებელი მოიხიბლა. წარმოდგენის შემ-დეგ მაღლიერმა მასპინძლებმა ნადიმი გაუმართეს საყვარელ მსახიობს და ასეთი „ადრესი“ გადასცეს:

„დიდი ნიჭის პატრონი მხოლოდ მაშინ სდგას უმაღლეს წერტილზედ კაცობრიობის ცხოვრებაში, როდესაც დიდ ნიჭს მოსდევს დიდი გულკეთილობაც. ამ ორივე საუკეთი-ისეა დაჯილდოებული ბუნებისაგან ნატალია მერაბის ასუ-ლი გაბუნია-ცაგარელისა, რომ ქართველი საზოგადოებისა-გან არის ჩაწერილი იმ სასარგებლო წვერების სიაში, რომლის სახელობითაც დღეს ასე ამყობს ჩვენი ქართველობა. დღეს ჩვენი პატარა ახალქალაქის საზოგადოება მით არის ბედნი-ერი, რომ თავისი თვალთ ხედავს როგორც თქვენს დიდ ნიჭს, აგრეთვე თქვენ გულკეთილობასაც, ნატალია მერაბის ასუ-ლი!“ (ჟურნალი „თეატრი“, 1888, აგვისტო, № 28).

მოსალოდნელია, რომ ეს „ადრესი“ დაწერა ევ. გაბა-შვილმა; რომელიც ამ საღამოს ესწრებოდა.

ორივე წარმოდგენის შემოსავლი (125 მანეთი) ხარჯე-ბის გამოკლებით გადაეცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

ნატო გაბუნია-ცაგარელის შემდეგშიაც არაერთხელ ჩა-მოსულა ამ სოფელში და საინტერესო წარმოდგენები გაუ-მართავს.

ახალქალაქელთა ხშირი სტუმარი იყო დიდი ქართველი მსახიობი ვასო აბაშიძე. 1903 წელს გახდა „ცნობის ფურ-ცელი“ იტყობინებოდა:

„კვირას, 27 ივლისს, ადგილობრივ სკოლის დარბაზში სციენისმოყვარეთ გამართეს წარმოდგენა ვ. აბაშიძის მონა-წილეობით. წარმოდგენის „ბუნაწი“ ე. ერისთავისა. რო-გორც მოსალოდნელი იყო, ვ. აბაშიძემ აღტაცებაში მოიყვანა აუარებელი მაყურებელი...“

ახალქალაქის სციენაზე უთამაშათ აგრეთვე ე. გუნისა, ნ. გოკირიძეს, ც. ამირჯიბის, კ. ანდრონიკაშვილს და სხვა ცნობილ მსახიობებს. აგრეთვე ჩვენს შესანიშნავ მწერალს ალ. ყაზბეგს, რომლის დედა თარხნიშვილი იყო. ვაშვობისა და ტეატრების წლებში ალ. ყაზბეგი ხშირად იმყოფებოდა დედისეულ სოფ. ახალქალაქში (სხვათაშორის, ახალქალაქ-ში ალექსანდრეს მიძიხიმმა ლუკა თარხნიშვილმა აჩუქა ვე-ნახი, რომელსაც დღესაც „ყაზბეგის ვენახს“ ეძახიან). ახალქა-ლაქის სციენაზე გამოსულა აჭარუი მგვიდრი ევ. გაბაშვილის მისსული, შემდეგში ცნობილი მომღერალი, მილანის სა-ხელაწათმუღი ლა-სკალას თეატრის სოლისტი ელენე თარ-ხნიშვილი.

აღსანიშნავია, რომ ახალქალაქში წარმოდგენები რუსულ ენაზეც იმართებოდა.

1904 წლის 11 ივლისს თბილისელმა მსახიობებმა დად-გეს ჩეხოვის „დათვი“ და ნ. არხიანის „ფული და ხარისხი“. გაზეთ „ივერია“ საშუალებით სციენისმოყვარე თამარ ზა-ქარას ასული თარხნიშვილი დიდ მადლობას უხდოდა წარ-მოდგენის გამართვის ყველა მონაწილეს, განსაკუთრებით კი

მსახიობებს ლ. აბაშიძეს, პეტროვს, ტარანოვსკის, ალენი-
კოვს, ივანოვს, ედგერაძეს, სიდამონიძეს და რევისორებს
ნ. ლ. თარხნიშვილსა და ტარანოვსკის, „რომელთაც წარ-
მოდგენა დაამწყვეტს თავიანთი ნიჭითა და გულმოდგინე-
ბით“. (გაზ. „ივერია“, 1904 წ. 24 ივლისი, № 170).

1908 წლის 15 ივლისს თბილისიდან ჩამოსულ დრამა-
ტულ დასს გაუმართავს რუსულ-ქართული წარმოდგენა. რუ-
სულად წარმოდგენიათ ორი ვოდვეილი „სლუჩაინი გენერა-
ლი“ და „სვატისის იმედები“. სტუმრების გარდა მასში მონა-
წილეობა მიუღიათ ადგილობრივ სცენისმოყვარეებს და აგ-
რეთვე მიწისმზომელი სასწავლებლის მოსწავლეებს, რომ-
ლებიც იმ ზაფხულში ახალქალაქში ისვენებდნენ; წარმოდ-
გენები რუსულ ენაზე სხვა დროსაც ბევრჯერ მოწყობილა.
ახალქალაქში ხშირად იმართებოდა ცნობილი ქართველი
მწერლებისადმი მიძღვნილი კონცერტები და საღამოები.
1908 წლის 20 ივლისს გაიმართა ილია ჭავჭავაძისადმი
მიძღვნილი საღამო. სცენა მორთული იყო ყვავილებით, რომ-
ელშიაც მოჩანდა ილიას სურათი. მოხსენების შემდეგ წარ-
მოადგინეს დრამა „ბატონი და ყმა“. „გლაზის ნაამბობის“
მიხედვით. გაზეთმა „ამირანმა“ ვრცელი წერილები მოათავ-
სა ილიასადმი მიძღვნილ საღამოზე, გააჩნია წარმოდგენა და
ნაკლის მხილველსაც არ მორიდებია. იმავე წლის 25 ივ-
ლისს ადგილობრივი ინტელიგენციის ინიციატივით კვლავ
გამართულა ილიას ცხოვრებისადმი მიძღვნილი საღამო, იო-
სებ იმედაშვილს წაუკითხავს მოხსენება ილიას ცხოვრებისა
და მოღვაწეობის შესახებ. დაუდგამთ ილიასავე „დედა და
შვილი“, წაუკითხავთ მისი ლექსები ქართულადაც და რუ-
სულადაც.

1915 წლის 9 ივნისს ახალქალაქში გამართეს აკაკი წე-
რეთლისადმი მიძღვნილი საღამო. მოხსენება „აკაკი და ღე-
მოკრატია“ წაიკითხა ი. ურუშაძემ. შემდეგ წაიკითხეს აკა-
კის ლექსები და წარმოადგინეს სცენები „პატარა კახიდან“,
რომელიც მომზადებული იყო ნიჭიერი სცენისმოყვარის გ.

თაშიშვილის რეჟისორობით. „სასოვალდება ნასამოვნები
დაიშალა“, როგორც გაზეთი „თანამედროვე აზრი“ წერდა.
შემოსავალი აკაკის ფონდის გაძლიერებისათვის გამოუყენე-
ბით.

ახალქალაქში კულტურული ცხოვრების საქმე აღმავლო-
ბით მიდიოდა, მაგრამ 1905-1907 წლების რევოლუციის
დამარცხების შემდეგ, ხალხის ცხოვრების პირობები საგ-
რძნობილად გაუარესდა. მშრომლებს იმდენად გაუჭირდათ,
რომ კულტურული ჯარბობისათვის აღარავინ ეცალა. ამას
არც მაშინდელი გაზეთები მაღავედნენ.

„ყველამ იცის, რა გაჭირვება გამოიარა წელს მივლმა
ქართლმა, — აღიარებს გაზ. „ამირანის“ კორესპონდენტი, —
რა თქმა უნდა, ახალქალაქის რაიონი გამოწვავის არ შე-
ადგენდა. შიმშილობამ სული ამოხადა ისედაც გაძვალტყა-
ვებულ ხალხს... ყველა სოფელში მთავრობის მამასახლისი
თავისი სტრატეგიებით. სხვადასხვა გადასახადებს მიუმატეთ
ამათი ხარჯი და მაშინ მიხვდებით, თუ რა მდგომარეობაში
არიან ახალქალაქის რაიონის გლეხები... რაც კი ყანები
ჭკონდათ, სულ ფეხზე გაკაყიდეს ნახევარფასად. მომავალში
რა მოვლით, თვითონ მკითხველმა წარმოიდგინოს. აღარც
პური, აღარც ღვინო, აღარც სხვა რამე მოსავალი...“

წინათ თუ საღამოობით ერთი ჭრიამული იდგა, ეხლა და-
ღამდება თუ არა, იმწამსვე დაკეტავენ ხოლმე კარებსა და
სახლებში სხედან.

ამ სოფელში ორი სამკითხველოა: სამკითხველოში თუ
ქულა, არავის შეუგდეთ, არავინ შევა“. (გაზ. „ამირანი“,
1908 წლის № 124, 9 აგვისტო).

ახალქალაქელი სცენისმოყვარეები დროდადრო მაინც
ახერხებდნენ საღამო-წარმოდგენების გამართვას, მაინც ღვი-
ოდა ენთუზიასტთა გულში ხელოვნებისადმი სწრაფვა და
სიყვარული, რომელსაც ფართო ასპარეზი მიეცა მხოლოდ
მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება
დამყარდა.



დაკარგული ეპოქიის კვლევა

ვალერიან მალრაძე

კომპოზიტორი



ლენი მუსიკალური ფოლკლორისტიკა საფუძვლიანად სწავლობს საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ შემოქმედებას. დღემდე გამოჩაყლის შეადგენდა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კუთხის — მესხეთ-ჯავახეთის ხალხური მუსიკალური მემკვიდრეობა. დამკვიდრდა აზრი, თითქოს ამ კუთხის ხალხური სიმღერები, ისტორიული ავებდითობის შედეგად, თითქმის სრულიად დაიკარგა.

მესხეთ-ჯავახეთი, ანუ ზემო ქართლი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით სამხრეთ საქართველოს კარიბჭე იყო. მას

დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მერვე საუკუნიდან აქ საფუძველი ჩაეყარა ფეოდალურ-სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას და მესხეთ-ჯავახეთი საქართველოს ეკონომიურ-კულტურული ცენტრი გახდა. XI საუკუნისათვის ტაო-კლარჯეთის კულტურული აღმავლობა განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს. ამ პერიოდში იქმნება მატერიალური და სულიერი კულტურის უბადლო ძეგლები, ღირსშესანიშნავი საეკლესიო ცენტრები: ხანძთის მონასტერი, შატბერდი, ოპიზა, იშხანი, ოშკი, ტბეთი, ხახული, კუმურდო, საფარა, ზარზმა იმდროინდელი განათლების კერებად იქცნენ. აქ მოღვაწეობდნენ დიდი მწიგნობრანი და განმანათლებლნი — გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მერჩულე, სერაპიონ ზარზმელი, ცნობილი ჰიმნოგრაფები: დავით და იოანე ტბელი, სტეფანე მტებვარი, მიქაელ მოდრეკილი, კურდანიანი, ეზრა, რომელთაც მრავალი შესანიშნავი საგლობელი და ჰიმნოგრაფიული კრებული დაეკუთვნეს. ტაო-კლარჯეთის სულიერ კულტურას ეწიათ აგრეთვე ექვთიმე მთაწმინდელი — ათონის სალიტურატურო სკოლის მამამთავარი. აქ დღედა ლიტურატურული შემოქმედება, ასე რომ უდიდესი ნაწილი ამ საგანძურისა, რაც ჩვენ მოგვეპოვება IX-X საუკუნიდან, შექმნილია ამ მონასტრებში. აქ ჩამოყალიბდა საგანგებო ტაო-კლარჯეთის სალიტურატურო სკოლა. ასე ვთქვათ, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება. ქართველთა შემოქმედებითი ენერჯია იმდენად გაიზარდა ამ მონასტრებში, რომ ტაო-კლარჯეთის სასწავლებელ ვეღარ დაეტია, ამიტომაც გადმოვიდა თავის კალაპოტიდან, გადალახა ეს სასწავლებელი და ფართო ნაკადით გადავიდა მცირე აზიის სხვადასხვა პუნქტებში, მერმე ათონის ნახევარკუნძულზე, სადაც მან შექმნა ახალი ცენტრი ჩვენი მწერლობისა „ივერიის მონასტრის სახით“. (კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტფ. 1937 წ. ტ. 1, გვ. 100-101).

მესხეთ-ჯავახეთის ლიტურატურულ ტრადიციებზე შემდგომში (XI-XII ს. ს.) აღმოცენდა და განვითარდა ქართული კლასიკური მწერლობაც.

XIII საუკუნეში საქართველოს მონღოლთა ურდო შემოესია, XVI საუკუნიდან ოსმალებმა დაიპყრეს მესხეთ-ჯავახეთი და 200 წლით მოსწყვიტეს დედა-საქართველოს. დაიწყო ხალხის ძალდატანებითი გამამაძიანება. სასტიკად იდგენებოდა შრობიური ენა, ზნე-ჩვეულებანი, სიმღერები, ძალდატანებით ინერგებოდა უცხოური კულტურა, უმოწყალოდ ისპობოდა საუკუნეებში შექმნილი სულიერი თუ მატერიალური კულტურის შედეგები. ყოველივე ამან მიძიე დალი დაასვა მესხი ხალხის ყოფცხოვრებას, შეაფერხა ეროვნული კულტურის განვითარება.

ამითვე აიხსნება ის, რომ ამ კუთხეს არ შემორჩა ხალხური მუსიკის საინტერესო ნიმუშები. მესხური სიმღერების უმრავლესობა თითქმის სრულიად დაიკარგა. გამოჩაყლის შემთხვევაში ზოგიერთი ღრმა მოხუცის მესხიერებას შემორჩა მრავალხმიანი მესხური სიმღერების მხოლოდ ერთი ხმა, ისიც ნაწილობრივ დამახინჯებული სახით. მოისპო მრავალხმიანი სიმღერის გუნდური შესრულების ტრადიციაც. ვერ კიდევ 1894 წელს მესხეთ-ჯავახეთის ცნობილი მკვლევარის



მესხური სიმღერის ჩაწერა. მარცხნივ კომპოზიტორი ვ. მალაჩიძე.

ივანე გვარამაძის ჩანაწერებში ვხვდებით მესხური სიმღერების დაკარგვის რეალურ საშიშროებას. მიუხედავად იმისა, რომ იგი მუსიკოსი არ იყო და ხალხური შემოქმედების ტექსტულურ მასალას ეყრდნობოდა, მისი ცნობა მაინც საყურადღებოა.

„დღითი დღე ივიწყება არა მარტო სუფრულების სასიამოვნო კილოები, იგივე სუფრულების სტრიქონები, ოთხის მაგიერ სამი სტრიქონია დარჩენილი, ან ორი და ან ერთი, მიხუცებულნი კარგ მცოდნენ იხოცებიან, მათგან მასწავლნი მის შემდეგთ ავიწყდებათ თითო-ორი სტრიქონი. ზოგნი ასხაფერებენ, ზოგნიც ერთიან ივიწყებენ“...

„აგერ ამისთანა მტკიცე მასათისა და გვარის მოყვარულს ხალხში დარჩენილი მესხური სუფრულთა — შემგული გამწვინებული, 24 ნაირს კილოებითა საუცხოვო, რომელთა ბადალი საკართველი-საიმერეთოში არასა და მგონია რომ იყოს კიდევ დარჩენილი. ამას წინაა თსაქცელად მე ვთქვი ჩამდენიმე სუფრული სხვადასხვა კილოზედ ჩვენს დიდად პატივცემულს მსცოვან პოეტს თ. რაფიელ ერისთავთან, რომელსაც დახლოებით კარგად შესწავლილი აქვს საქარ-თველოს და საიმერეთოს მხარეების ცხოვრება და მიიხრბა აღარასა და აღარ მოიძებვა მაგანირი კილოებით. ძლიერ კარგი იქმნება, რომ ვინმე მაღლიანი პირი მაგათ თვითუღლად ნოტებზედ გარდააღებინებდეს, თვარქ დამიკარგებიან უგზოუკვლოდ და მერმე სინანული აღარას გვარგაიო. აგრე დაუღვერობით დაგვკარგავია ბევრი რამ ჩვენის ცხოვრების დიდდა გამოსადეგი საგნოთ“¹.

მართლაც, თანდათანობით მცირდებოდა მესხური ხალხური სიმღერის მცოდნე მოხუცების რიცხვი. 1918 წელს სოფელ საროში უკანასკნელად მოუხმენიათ სამხიანი მესხური სიმღერა, ისიც არა გუნდურად, არამედ მხოლოდ სამი კაცის შესრულებით, როდესაც ერთ-ერთი მათგანი გარდაცვლილა, მესხეთში სამხიანი სიმღერაც მოიშო.

მესხური მუსიკალური ფოლკლორის აღმოჩენისა და შესწავლის მიზნით 1930 და 1949 წლებში ჩატარდა სერიოზული სამეცნიერო ექსპედიციები, რომელთა შედეგებზე ქართული ხალხური მუსიკის გამოჩენილი მკვლევარი, პროფ. გრიგოლ ჩხიკვაძე აღნიშნავს: „ნაკლებ ვიცნობთ მესხურ მუსიკალურ

¹ „მესხეთის ქართული სუფრულების შესახებ“, ახალციხის მუზეუმი № 247.

ფოლკლორს, რაც მეტად სამწუხაროა, რადგან მესხეთში ქართული ხალხური სიმღერის ერთ-ერთი უძველესი ტომი... 1930 წლის ახალციხის სამუსიკო ექსპედიციამ (ხელმძღვანელი შ. მშველიძე), ექსპედიციის წევრები შ. აზმაიფარაშვილი, ნ. ჩიგოძე) შესძლო მესხური სიმღერების მხოლოდ მცირე რაოდენობის ჩაწერა. ექსპედიციის მონაწილეთა ცნობებით, მესხებს, ნაციონალური მუსიკის ტრადიციების დავიწყების გამო, ნაკლებად ახსოვდათ ქართული სიმღერები და უძნელდებოდათ მათი შესრულება. ქართული სიმღერების ჩაწერა გაუჭირდა აგრეთვე მეორე ექსპედიციას, რომელიც მოეწყო 1949 წელს ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კაბინეტის მიერ, ჩვენი ხელმძღვანელობით. თუმცა აღენიშნება, რომ ამ ხნის განმავლობაში ზოგიერთ ხალხურ მომღერალს აღუდგენია მესხიერებაში ძველი სიმღერები, რამაც საშუალება მოგვცა მეტი მასალა ჩავეწერა... შეგროვილი მასალებიდან კრებულში შევიტანეთ მესხური ხალხური მუსიკისათვის დამახასიათებელი ექვსი ნიმუში“².

ესადა, ასეთ პირობებში უარესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ყოველ ახალ აღმოჩენილ მესხურ სიმღერას. მესხეთში გამგზავრების წინ ვესაუბრე ჩემს მასწავლებელს, ქართული ხალხური მუსიკის მკვლევარსა და მოამბეს პროფესორ შალვა ჩაბანიშვილს. ვკითხე, რამდენი ქართული სიმღერა უნდა ჩამოვიტანო მესხეთიდან, რომ ექსპედიციის ნაყოფიერად ჩაითვალოს. პატივცემულმა პროფესორმა მიპასუხა: სამი მესხური სიმღერა რომ ჩამოიტანო, ეს ჩვენი მეცნიერებისათვის დიდი მონაპოვარი იქნება.

ამრიგად, ჩვენს წინაშე რთული ამოცანა იდგა: უნდა დაგვედგინა ცხოვრობს თუ არა კიდევ მესხეთ-ჯავახეთში ქართული სიმღერების მცოდნე მ მ დ ე ნ ი მ ე მ ო ხ უ ე ი მ ა ი ე და მ ი გ ე ვ ე მ მ ა თ ე ვ ი ს.

ამისათვის საჭირო იყო ჩავსულიყავი მკვიდრი მესხებით დასახლებულ ყველა სოფელში, გამომეკითხა თითქმის ყოველი ხანდაზმული მესხის და ჯავახის, მომესმინა ყველა სიმღერა, რაც კი მათ ახსოვდათ. ვინაიდან წარმატების დიდი იმედი არა მქონდა, პირველი „სადაზვერვო“ ხასიათის ექსპედიცია საკდორი ინიციატივითა და სახსრებით ჩაებათ 1961 წელს, ხოლო შემდგომი ორი ექსპედიცია საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის დახმარებით.

1961-1965 წლების მანძილზე ვიყავი მკვიდრი მესხებით დასახლებულ მესხეთ-ჯავახეთის 35 და კახეთში ჩასახლებულ 2 მესხურ სოფელში, აგრეთვე ახალციხეში, ახალქალაქსა და ბორჯომში. ზოგ სოფელში ორჯერ და სამჯერაც გვიხდებოდა ჩასვლა. თუ ვინმე ყველა სიმღერას თუ შელოდას, რომელსაც ქართულის რამე მონაწილეობა აწნდა.

ამჟამად მესხური სიმღერების მცოდნე მოხუცთა რიცხვი, რომელთა ასაკი 70 წელს აღემატება, მეტად მცირეა. მათი მიგნება ძნელია, ვინაიდან ისინი თითო-ორიოლანი არიან გაბნეული სხვადასხვა სოფლებში (არც ყველანა). ღრმა მოხუცები ერთბაშად ვერ იხსენებენ მივიწყებულ მელოდიებს, ზოგჯერ ერთდებთან კიდევც მამაპაპური სიმღერის დამახინჯებას.

² ქართული ხალხური სიმღერა. სახ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1960. ტომი 1, გვ. 22.



მეტეღლი მამა-შვილი მიხეილ და არჩილ ჯვარიძეები.
სოფელი ჭობარეთი.

მესხური სუფრულების ჩაწერის დროს, განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სუფრულების სამსტროფიანმა წყობამ და სამჯგუფად შესრულებამ. უხუცესი მესხებისაგან ჩაწერილი სუფრულების უმრავლესობა „ნეფე ჩამოჯდა ხანდისა“, „ჭრელი კაბა შეგვერე“, „დარეჯან გაგათხუბენ“, „ხევსურნი ჩამოგვესივნენ“, „ვინ დაღვეს მარნეულ ღვინოს“, „გვეუთისა მინდორზედა“, „პატარღლეულსა ციხესა“, „ბიჭო, ნუ ჩახავი ოშორას“ — მხოლოდ სამსტროფს შეიცავენ. იმ სუფრულებიდანაც კი, რომლებსაც სტროფების მეტი რაოდენობა გააჩნიათ (ასეთი ორი სუფრული შეგვხვდა, „მტრედმა თავის სიალითა“ და „წინ სუფრა ვარდით სავსე გვაქ“) მომღერლები მხოლოდ სამსტროფს ამოარჩევენ... ასევე სრულდება „მესხური მრავალკამიერიც“, „ოთხი წყარო სდის“, „მიმინო მყავდა“.

სუფრული სიმღერების შესრულების ასეთმა წესმა დაგვა-

ინტერესა, რადგან საქართველოს სხვა კუთხეებში ჩაწერილი სუფრულების სტროფების რაოდენობა განსაზღვრული არ არის. მესხეთში კი სამსტროფიანი სიმღერების წარმოქმნა დაკავშირებული უნდა იყოს შესრულები წესთან. სხვადასხვა სოფლებში ღრმად მოხუცებულ მესხებს ვკითხეთ, — რატომ სრულდება სუფრულში მხოლოდ სამი სტროფი? შესრულების დროს სტროფების რაოდენობას აქვს რაიმე გარკვეული მნიშვნელობა? ხანდახმულმა მესხებმა განვიხილეს: „სუფრულები მარტო ქორწილებში იმღერებოდნენ, სხვა სუფრებზე თათრულს მღეროდნენ. ქვიფის დროს საჭმელი იდებოდა ფეხშუშზე“, რომლებსაც გარშემო შემოუსხდებოდნენ. სამ ფეხშუშს შემოუჯდებოდნენ ისინი, ვინც კარგი სიმღერა იცოდა. სუფრულს იწყებდა ერთი გუნდი (ერთ ფეხშუშზე) და მღეროდა ერთ სტროფს, ამავე სიმღერას მხოლოდ მე-2 სტროფის სიტყვებზე აგრძელებდნენ მეორე გუნდი, ამის შემდეგ — მესამე. ამრიგად, იმართებოდა შეჯიბრი, თუ რომელი გუნდი აჯობებდა. მაგრამ არ იყო სავალდებულო, გუნდი ერთ ფეხშუშს შემოსჯდომოდა; თუ ხალხი ბევრი იყო, დიდ დარბაზში თვით ხალხი სიმღერის დროს იყოფოდა სამჯგუფად და იმართებოდა შეჯიბრი“. (ჩავიწერე სოფ. ჭობარეთში მ. ჯვარიძისაგან). სოფელ ვაღვიმე 84 წლის მათე კობაძემ გადმოგვცა: „ძველად ქორწილში (ან ოჯახშიც) მოხუცები 70-90 წლის ერთად ისხდნენ, შემდეგ შუახნისანი (45-დან 65 წლამდე), იმას ქვევით ახალგაზრდობა. თავში ყველაზე მოხუცი იჯდა. თამადა იჯდა შუაში.

სუფრულების ასე მღეროდნენ: ჯერ მოხუცები იტყვოდნენ პირველ სტროფს, მეორე სტროფს შუახნის ხალხი და მესამე — ახალგაზრდობა. ასე იმღერებოდა ყველა სუფრული სიმღერა“.

ხოლო სოფელ ჭობარეთში მცხოვრებმა 94 წლის მოსე ზედგინიძემ ამის თაობაზე გვაცნობა „ერთ სტროფს ერთი როიტყვის, მეორე სტროფს — მეორე ჯგუფი. ხოლო მესამე — მესამე ჯგუფი. ყოველ ჯგუფში ამობის ერთი ხმა და ბანი. ჯგუფი შედგება 3-დან 10 კაცამდე და მეტი... სუფრულში „წინ სუფრა ვარდით სავსე გვაქ“ ისევე, როგორც „მტრედმა თავის სიალითა“ — ში სტროფი ბევრია, მაგრამ იმღერება რომელიმე სამი, ასევე სამი გუნდის მიერ და ისევე, როგორც სუფრულში „მტრედმა“... შეჯიბრების სახე აქვს. ყველას სიმღერა სამ ხანით მიდის ხოლმე“.

ასევე საინტერესო ცნობას გვაწვდის 71 წლის ევანტე ზედგინიძე სოფელ ძველიდან: „მიმინო მყავდას“ მღეროდნენ სამჯგუფად. სუფრის სამ კომპანიიდან“.

საკულისხმოა აგრეთვე სოფ. ჭანდარის (კახეთი, გურჯაანის რაიონი) მცხოვრებ 85 წლის ზაქარია და 65 წლ. გიორგი ჯოხაძეების ცნობა, რომლებმაც რამდენიმე კახური სუფრული ჩაგვაწერინეს. როცა შევეცითხე: სუფრულებში რამდენ სტროფს მღერით, არის თუ არა განსაზღვრული მათი რაოდენობა და თუ აქვს ამას რაიმე მნიშვნელობა? მათ გვიპასუხეს:



73 წლის ე. ტაბატაძე უკრავს ყავაღზე. სოფ. ანდრიაშენი 1961 წელი.

4 ფეხშუში — მრავალი ან ოთხკუთხი დაბალი მაგიდა.

— ძველად იყო სამი სტროფი სუფრულ სიმღერაში. ჩვენ ვუმატებთ და ახლა ვაბრუნებთ სუთჯარ. ადრე კი ერთი ერთი ჯგუფი მელოდა, მეორეს — მეორე და მესამეს ისევ პირველი. (და შესაძლებელია კახეთშიც).

1. ამრიგად, სუფრულები მესხეთში ძველად სამ ჯგუფად სრულდებოდა.

2. შესრულების წესი განსხვავებულია; კახეთში (ჯოხაძეების ცნობით) საქმე გვაქვს ცნობილ, ორიპირულ გუნდების შეჯიბრთან, რასაც დღესაც ვხვდებით სვანეთში, რაჭაში, გურიამი, იმერეთში, კახეთში, ქართლში, სამეგრელოში, ფშავეში, აჭარაში... ხოლო მესხეთ-ჯავახეთში ჩაწერილი მასალა გვარწმუნებს, რომ: სუფრული სიმღერების შესრულების დროს არა ორიპირული, არამედ სამპირული გუნდები ეკარბებოდნენ ერთიმეორეს. სწორედ ამ გარემოებებს უნდა გამოეწვია სუფრულებში სამ ჯგუფად შესრულება და, მასხადადამე, ტექსტის სამ სტროფიანი ფორმის წარმოქმნა.

შესაძლოა, ეს ფაქტი მესხური სიმღერების არქაულობაზეც მიითვლებდეს, რამდენადაც დატეხილი პატრიარქალური წესი — იწყებენ მხოვნივნი, აგრძელებენ შუახნისანი და აბოლოებენ ახალგაზრდები.

მესხეთ-ჯავახეთში ფრხულესაც დიდი გავრცელება ჰქონიათ. არსებობდა რამდენიმე სახის ფერხული: ერთ, ორ და სამ სართლიანი; მამაკაცების, ქალებისა და შერეული. მოცვეთავთა რთობა სხვადასხვაგვარი იყო; ზოგში მონაწილეობდა მხოლოდ შვიდი წყვილი⁵, ზოგში — მთელი სოფელიც — კი (ე. წ. დიდი ფერხული).

სულ ჩავწერე 14 ფერხული 25 ვარიანტით, რომელთაგან აღასანიშნავია: „ვარძობა-ძიობასა“, „მამლი მუხასა“, „მჭედლო, ჩემო მჭედლო“, „მუმილი, მუმილი მუხასა“, „7 წყვილის ფერხული“, „დიდება“, „მედეგი ტაფა“, „და ყელა შემოუართო და“, „სამყრელი“, „აფთანიდო გადინადირა“ და სხვა. ყველა ეს ფერხული, გარდა „7 წყვილის ფერხულისა“, სიმღერით სრულდება, ხოლო „7 წყვილის“, „მუნჯური“, აგრეთვე ფერხულები, რომლებსაც მესხები, „ძიმურა“, „სასაყლებელს“, „მჭებურს“ უწოდებენ, საკრავების თანხლებით და ასევე სრულდება ზოგჯერ „ქალების“ ფერხულიც.

ფერხულების უმრავლესობა საწყის ხასიათისაა და სრულდება წელწაღმე ერთხელ — დიდმარხვის წინა „აღებლამეს“. შესრულების წესი, ფერხულის ხასიათის შესაბამისად, სხვადასხვაგვარია. მაგ. ზოგ ფერხულში ერთი იწყებს და გუნდი პასუხობს, ზოგში ჯგუფ-ჯგუფად იმეორებენ დამწყების სიტყვებს, ზოგში კი ორიპირული გუნდები ეკიბრებიან ერთიმეორეს.

ბევრი საფერხულო მელოდიის აგებულება „იავ-ნანის“

ე. ი. წარმართული სიმღერის (საკალობის) ტიპს უახლოვდება⁶.

ფერხულების უმრავლესობა „დიდებით“ იწყება. აქ მოცვეთები დინჯად „ძიმურად“ ირწყვიან და სთხოვენ ღმერთსა და ყველა წმინდას (აწ წმინდა მისი), ყურადღება და ბარაქა არ მოგვაცლო. შემდეგ მოდის ჩქარი ნაწილი — ფერხული. დიდება და ფერხული სხვადასხვა მელოდაზე სრულდება.

ფერხულების ტექსტების უმეტესობა, ისევე, როგორც სუფრულების, საკმაოდ სრულყოფილია და დატეხილი და ერთ გარკვეულ შინაარსს გადმოცემს. მოვიყვანოთ მაგალითისათვის ერთ-ერთი მესხური საფერხულო სიმღერის „მუმილი მუხასა“ ტექსტი ლაზარე მჭედლიშვილისაგან, ჩაწერილი სოფ. საროში 1961 წელს. ვფიქრობთ, იგი ლიტერატორ-მკვლევართათვის ინტერესიმიტებული არ უნდა იყოს. ეს ფერხული ყურადღებას იპყრობს თავისი ტექსტით თვითმყოფადი მელოდიითა და ფორმით.

„მამლი მუხასა“ მელოდია იავნანის ტიპისა და უახლოვდება „მზე შინა და მზე გართას“. ეს ფერხული ერთსართულიანია და სრულდებოდა წელწაღმე ერთხელ — „ყველიერის აღებლამეს“. მონაწილეობდნენ მხოლოდ მამაკაცები. სიმღერას იწყებდა ერთი, ხოლო გუნდი იმეორებდა დამწყების სიტყვებსა და მელოდიას.

„მამლი მუხასა“ დიდებით იწყება:

ჭერ პირველად ღმერთი ვასენოთ, და, მებრე და ყველა წმინდა, და, ყველა წმინდა დღისმშობლო, და მაღლი შენი შევეწვიოს. და

ამის შემდეგ მოდის თვით ფერხული:

მუხა წონიწონეს, წონიწონეს, მამლი მუხასო, წონიწონეს და წიქცა, მამლი მუხასო, მუხისა ხაღღოსა ძირსა, მამლი მუხასო, შეიცა რომ წყალი ჩაღებდა, მამლი მუხასო, არ თვსსაე რომ დაჭერა უნდა, მამლი მუხასო, რითა და რითა შენ, ბიჭო, მამლი მუხასო, მოსეს ბაილითა შენ, ბიჭო, მამლი მუხასო, იმასა რომ გაწლა უნდა მამლი მუხასო, რითა და რითა შენ, ბიჭო, მამლი მუხასო, აღმასა დანითა შენ, ბიჭო, მამლი მუხასო, იმასაე რომ ხარშეა ზუნდა, მამლი მუხასო, რითა და რითა შენ, ბიჭო, მამლი მუხასო, კვამ-ჩაღმითა შენ, ბიჭო, მამლი მუხასო, რითა და რითა შენ, ბიჭო, მამლი მუხასო, იმასაე რომ კამა უნდა, მამლი მუხასო, რითა და რითა შენ, ბიჭო, მამლი მუხასო, ბაეე კბილითა შენ, ბიჭო, მამლი მუხასო,

შემდეგ ისევ „დიდების“ მელოდაზე:

თუ გინდათ კიდევ ვიმეორებო და თუ გინდათ ადამათვირობო და

ბოლოს ფერხულის მელოდაზე:

⁵ ეს ფერხული სრულდებოდა ქორწილის დამთავრების წინ. არსებობს ამ ფერხულის შესრულების წესის დიდად განსხვავებული ვარიანტი ვარაზიტი. მოვიყვანოთ ერთ-ერთი მაგალიტი: ქორწილი მთავრდება შეიღ წყვილი ფერხულის შესრულების შემდეგ. ნაფე-დღოდლობა ერთად ცეკვავს 6 წყვილი (ოცნაობის, ბედამაშობა, შეიღმა წყვილი მჭედლი (ზოგიერთების გადმოცემით კი სამჯერ) უნდა შემოუაროს წრეს.

⁶ იხ. „იავ-ნანის“ მელოდია და მისი ადგილი ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში. შ. ასლიანიშვილი, „ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ“, თბილისი, 1954, გვ. 90.

⁷ მთხრალ — მთხრალ. ამ სახეობის სიმღერის ფრაგმენტი გამოცემულია „ქართული ხალხური სიმღერის“ პირველ ტომში 1960 წ. გვ. 435.

ჩიტ შემოვდა ღობესა, მამლი მუხასაო,
იხახა ქიშპიოზასა, მამლი მუხასაო,
ღმერთმან ყველანი დაეაწროთ, მამლი მუხასაო,
აღდგომა ქრისტიანობასა, მამლი მუხასაო.

სიტყვა „წონწილი“ მესხებმა ასე განვითარებენ: „წონწილი“ არც რხევას და არც რწევას. ეს არის მომენტი დღომასა და წაქცევას შორის, ან სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, „მაგალითად, — გამომგვეცმ 61 წლის ილიკო გურგენიძე სოფ. საბროდან, — ხე რო იჭრება და ცოტახე რჩება, ხე წვალობს, არც იქცევა, ვეღარც დგას მაგრადა, ამაზე იტყვიან, ხე წონწილუნსო“, (ან წონწილებსო) მესხების მიერ სიტყვა „წონწილის“ განმარტება საფსებით ემთხვევა საბას განმარტებას: „წონწილი“ (წონწილისა) ძვ. „წაქცევას ლამობდეს“ (საბა) ⁸.

მესხები სიტყვა „მამლი“ მაგარს ანუ „მამალს“ გულისხმობენ. მაგალითად: ერთი და იგივე ხის ჯიში შეიძლება იყოს მკვრივიც (მაგარი), ანუ „მამალი ხე“ და რბილიც, ანუ „დედალი ხე“.

შეგროვილ მასალაზე დაკვირვება და მესხების ცნობები გვარწმუნებენ, რომ „მამლი მუხასა“ მეტად გავრცელებული იყო მესხეთ-ჯავახეთში. ეს ორი სიტყვა „მამლი მუხასა“, გვხვდება აგრეთვე ჩვენს მიერ მესხეთ-ჯავახეთის სხვადასხვა სოფლებში ჩაწერილ სხვა ფერხულებშიც, როგორცაა მაგ: „შევედგი ტავა, დავედ დუმა, მამლი მუხასაო...“ „შემოუარე, შემოცკევე, მამლი, მამლი მუხასაო...“

საინტერესოა, რომ კახეთში, კერძოდ სოფ. ჭანდარში და ველისციხეში, მოხუცებს შევეკითხე: „მუშლი მუხასა“ უძველეს ვარიანტებში ხომ არ გსმენიათ თევზის სახელი? გამოირკვა,

რომ მათ ასეთი ტექსტი არ ახსოვდათ, მაგრამ აგონდობდათ სიტყვები: „თევზი მოცურავდაო“, „ალაზნის წყალი დაგუბდაო“... სოფ. ჭანდარის მცხოვრებმა 85 წლის ზაქარია ჯოხაძემ კი ფრიად საგულისხმო ტექსტი ჩაგვაწერინა:

მუშლი მუხასა
გარს ეხეოლა,
მუხა ლაწაწებს
წასაქცევითა,
მუხა წაქცა,
მუხის ნაღოფში
წყალი ჩაღდგარა,
წყალი რა წყალი,
წყალი ლაზე,
წყალი ლაზეში
თევზი მოცურადა,
თევზი რა თევზი,
თევზი კალმაზი.

„ეს გაგრძელება „მუშლი მუხასი“, იმღერება ისევე, როგორც საერთოდ კახური „მუშლი მუხასა“, „შეგიძლია ის დატოვო და ეს იმღერო“ — განმარტა ზ. ჯოხაძემ. მესხური „მამლი მუხასა“ ტექსტი, რომელიც ჩვენ შემდგომ წავეუკითხეთ, — არ გავცივინოთ, მიიპასუხეს.

ფუქტობთ, რომ ტექსტების ასეთი მსგავსება, კვლევისათვის საინტერესო მასალას იძლევა.

ამრიგად, მესხეთ-ჯავახეთში შეგროვილი მუსიკალური მასალა უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა. ცხადია, საბოლოო დასკვნების გამოტანა ნაადრევია. ხანგრძლივი დაკვირვებისა და საფუძვლიანი შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდება დაფადგინოთ მესხური სიმღერებისათვის დამახასიათებელი ფორმა, დიაპაზონი, კილოები, რიტმი-ინტონაციური ელემენტები და სხვა. ეს კი საშუალებას მოგვცემს გავცნოთ საქართველოს ერთ-ერთი შესანიშნავი კუთხის, მესხეთ-ჯავახეთის ხალხურ მუსიკალურ კულტურას.

⁸ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი. თბ. 1964 წ. ტ. 8, გვ. 1167.



თეატრში წარმოდგენილი 219 პიესიდან თარგმნილი ყოფი-
ლა — 134, ორიგინალური კი — 85.

ქართული თეატრის თარგმნითი რეპერტუარი უმეტესად
რუსი და რუსულიდან ნათარგმნი უცხოელი დრამატურგების
პიესებისაგან შედგებოდა. რუსული დრამატურგიული კლასი-
კიდან ქართულ სცენაზე იდგმებოდა: პუშკინის „ძუნწი რაინ-
დი“, გრიბოედოვის „ვაი კეკელიძისა“, გოგოლის „რევოლუცი“;
ლერმონტოვის „მასკარადი“; სუხოვო-კობილინის „კრწანისის
ქორწილი“, ლ. ტოლსტოის „მეუფება წყევდილისა“, ჩეხოვის
„ძია ვანო“; მ. გორკის „ფსევრზე“ და სხვ.

საკულისხმოა, რომ რუსული რეალისტური დრამატურგიის
წარმომადგენელთაგან ქართველი მაყურებელი პირველად ოს-
ტროვსკის გაეცნო მშობლიურ სცენაზე. ეს მოხდა ჯერ კიდევ
მუდმივი თეატრის აღდგენამდე, 1874 წელს ქუთაისში, სადაც
ადგილობრივმა სცენისმოყვარებებმა წარმოადგინეს ოსტროვს-
კის კომედია — „შემოსავლიანი ადგილი“². მაგრამ ეს, რა
თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ოსტროვსკი და მისი ნაწარმო-
ებები მანამდე სრულიად უცნობი იყო ქართველი საზოგადოე-
ბისათვის.

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, თითქოს ოსტროვ-
სკი ჩვენში პირველად გამოჩნდა 1867 წელს, როდესაც თბი-
ლისის რუსულ სცენაზე დაიდგა მისი კომედია — „სიღარიბე
საძრახისი არაა“ („Бедность не порок“) ³, ხოლო დრამა-
ტურგის სახელი საქართველოში პირველად გახვთმა „კავკაზ-
მა“ 1859 წელს მოიხსენია ⁴.

ორივე თარიღი დაუსტებავს მოითხოვს.

ირაკვება, რომ ოსტროვსკი პირველად ჯერ კიდევ 1855
წელს წარმოდგენილი თბილისის რუსული თეატრის სცენაზე,
ხოლო მისი სახელი იმავე „კავკაზში“ იხსენიება 1856 წელს.
გაზეთ „კავკაზის“ ყოფილი დროებითი რედაქტორის — კო-
ლიკოვის არქივში დაცულია ვრცელი ხელნაწერი საერთო სა-
თაური: „თბილისში თეატრის აშენების“⁵ და ამ თეატრში
იტალიური ოპერის, ქართული, რუსული და სომხური წარმოდ-
გენების შესახებ ⁶. ამ ხელნაწერში წავაწყდით ცნობას, რომ
1955-1856 წ. წ. სეზონში რუსულ დასს, „გარდა უცვლელი
ვოდეოებისა“, წარმოდგენია: „მკვდარი სულები“, „რევი-
ზორი“, „ჰამლეტი“ და ოსტროვსკის „სხვის მარხილში ნუ
ერწები“ („He в свои сани не садится“).

ეს ცნობა საჭიროებდა შემოწმებას. მართალია, იმ დროინ-
დელ პრესაში არ დადგინა რეცენზია არ აღმოჩნდა, მაგრამ
1856 წლის გაზეთ „კავკაზში“ (№ 29) მოთავსებულია სტატია
„ძველი თეატრის წერილები თბილისის თეატრზე“, მი-
ძღვნილი თბილისის რუსული დასის 1855-65 წ. წ. სეზონის

² რუსულ გამოცემაში ოსტროვსკის პირველი ქართული დადგ-
მა თარიღად არასწორად მითითებულია 1875 წ. მაგ. Л. Р. Коган
„Летопись жизни и творчества А. Н. Островского“, Госкультпросветиздат, 1953, стр. 231; А. Н. Островский, ПСС, т. XVI, М.,
1953 стр. 338.

³ ს. გერსამიას მოხსენება „ოსტროვსკი რევოლუციამდედ ქარ-
თულ სცენაზე“, წაითხული 1948 წ. ოსტროვსკის საიუბილეო სა-
მეცნიერო სესიაზე. მოხსენების ტექსტი იხსენება საქართველოს თე-
ატრალური მუზეუმში.

⁴ ნ. შულტაშვილი „ოსტროვსკი ქართულ სცენაზე“, თბილისი
1958, გვ. 20-30.

⁵ ივლინისშენა ცნობილი თამაშების ჩაჩვასლა თეატრის ყო-
ფილი რეჟისორის (ახლა უკნისის ხმა) მივლინაზე.

⁶ საქართველოს ლიტ. მუზეუმი. ფ. № 174-12745.

ოსტროვსკი — ჩვენი სცენაზე

ვაჟა ლორთქიფანიძე



იდი რუსი დრამატურგის ა. ოსტროვსკის პიესებმა
მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული რეა-
ლისტური თეატრის შექმნისა და განვითარების საქ-
მეში. არც ერთი სხვა რუსი თუ უცხოელი დრამატურგი არ
სარგებლობდა ჩვენში ისეთი პოპულარობით, როგორც ა. ნ.
ოსტროვსკი.

რევოლუციამდელი ქართული თეატრისათვის თარგმნილ
პიესებს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ორიგინალ-
ური პიესები შედარებით ცოტა იყო და, უმეტეს შემთხვევაში,
იდუბურ-მხატვრული ღირსებებითაც არ იდგნენ სათანადო სი-
მალდებით.

ქართული დრამატული საზოგადოების გამგებობის საანგა-
რითი მოხსენების მიხედვით¹, 1879 წლიდან 1900 წლამდე,

¹ კრებული „სახსოვრად ქართული თეატრის არსებობის 50 წლის
იუბილისა“. ქუთაისი 1900 წ.

საქმიანობისადმი. სტატიაში პიესა „სხვის მარხილში ნუ გზრებია“ იხსენიება ყველაზე მნიშვნელოვან და წარმატების მქონე პიესებს შორის. იქვე აღნიშნულია მსახიობ იაკოვლების კარგი თამაში მაქსიმ რუსაკოვის როლში.

ამრიგად, თბილისის პირველ რუსულ თეატრს თავის უკანასკნელ სეზონში (როგორც ცნობილია, თეატრი დახურეს 1856 წ.) მოსწავრია მაყურებლისათვის ენგენინა ოსტროვსკის ერთი საუკეთესო პიესაოვანი.

როგორც აღვნიშნეთ, ოსტროვსკის პირველი ქართული დადგმა 1874 წლის 10 ნოემბერს ქუთაისის მოყვარულთა სცენაზე, ა. ჭიჭინაძისა და ი. მიქელაძის ნათარგმნი „შემოსავლიანი ადგილის“ წარმოდგენა იყო. ამ მოვლენას გამოეხმაურა თბილისის ქართული და რუსული გაზეთები. „დროება“ წინასწარ აუწყებდა მკითხველს მომავალი სპექტაკლის შესახებ, ხოლო 22 ნოემბერს ნომერში, პირველ გვერდზე, გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის კეთილი იუმორით შეზავებული რეცენზია „რუკმა გავარდეს ჯამში ჩავარდეს“. პოეტი მაღალ შეფასებას აძლევს, საერთოდ, ოსტროვსკის პირველ ქართულ წარმოდგენას და მოყვარულთა თამაშს, ოღონდ აღნიშნავს შემსრულებელთა ენის „ჭრელ-ქართულობას“. იმერულ-გურულის, სომხურ-რუსული კილოები ერთიმეორეში იყო არეული. მაყურებლებს გულთხილად მიუიბათ სპექტაკლი, მსახიობები და მთარგმნელებიც ტანით დაუპოილდობიათ. ასეთივე მაღალ შეფასებას აძლევს ამ წარმოდგენას „ტიფლისკი ვესტნიკის“⁷ ქუთაისელი კორესპონდენტი. სტატიის ავტორი ხაზს უსვამს ოსტროვსკის პიესის აქტუალობას საქართველოს სინამდვილისათვის და ცდილობს პიესის შინაარსი გამოიყენოს ადგილობრივი საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი მანკიერი მხარეების სამხილბლად. „შემოსავლიანი ადგილი“ შემდგომ-შიც არაერთხელ წარმოადგინეს წარმატებით.

იმვე სეზონში, 22 თებერვალს⁸ ქუთაისში აღნიშნულ სცენისმოყვარეთა წრეს დაუდგამს ოსტროვსკის მეორე პიესა „შრომით ნაშოგენი პური“ („Трудовой хлеб“. თარგმანი კუთვნილია ი. მიქელაძეს). რეცენზენტი დადებით შეფასებას აძლევს სპექტაკლს და განსაკუთრებით გამოჰყოფს ნატაშას, კორპელაგის, ჩეპურინისა და პოტროხოვის როლების შემსრულებელთა თამაშს⁹. საინტერესოა, რომ „შრომით ნაშოგენი პური“ ქართულად თარგმნა და დაიდგა დანების გამოქვეყნებისა და რუსულ სცენაზე წარმოდგენისა და აღსაღობების, ორი თვის შემდეგ. პიესა დაბეჭდილი იყო „Отечественные записки“¹⁰-ს 1874 წ. ნოემბრის წიგნში. პირველად წარმოდგენილი იქნა იმავე წლის 28 ნოემბერს მოსკოვის მცირე თეატრის სცენაზე.

როგორც ვნახეთ, ზემოაღნიშნული სპექტაკლებით საქართველოში იწყება ოსტროვსკის პიესებისა და საერთოდ, რუსული რეალისტური დრამის სცენური ისტორია. ოსტროვსკის პიესების ქართულად თარგმნა და განსახიერება სცენაზე თავისთავად მრავლ მნიშვნელობის კულტურულ-ლიტერატურული ფაქტი ზოდი იყო, მაგრამ შექმნილი ვითარებაში მას გან-

საკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან დიდად უწყობდა ხელს ქართული მუდმივი თეატრის აღდგენისათვის საჭირო პირობების მომზადებას, რეპერტუარის შევსებას, ახალი არტისტების ძალების გამოვლინებას და აღზრდას. სწორედ ოსტროვსკის პიესებში აიდაგა ფეხი ქართული პროფესიული სცენის ბევრმა მომავალმა ვარსკვლავმა. ასე მაგალითად, ვასო აბაშიძის დებიუტი იყო ბელოგუბოვის როლი („შემოსავლიანი ადგილი“) 1875 წელს¹¹, ხოლო კოტე მესხისა კი ჯადოვის როლი 1878 წელს ქუთაისში.

როგორც მოსალოდნელი იყო, ოსტროვსკის პიესებმა თალსანიონ ადგილი დაიმკვიდრეს 1879 წელს აღდგენილი ქართული მუდმივი თეატრის რეპერტუარში. „შემოსავლიანი ადგილი“ თეატრმა წარმოადგინა სეზონის გახსნისთანავე — 1879 წლის 15 სექტემბერს. ეს ახლად აღდგენილი თეატრის მეორე სპექტაკლი იყო.

ქართველი საზოგადოება, თეატრის ხელმძღვანელობა და მსახიობები პირინციულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ დადგამას. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ სეზონის რეზიუმეში რეპერტუარმა გამოიწვია. პრესის ორგანოებმა ერთი თვით ადრე აუწყეს მკითხველებს, რომ მზადდებოდა „შემოსავლიანი ადგილის“ დადგმა, ხოლო წარმოდგენის წინ თბილისის ქართული და რუსული გაზეთები არ გამოყოფილდებიან ჩვეულებრივ განცხადებებში და საგანგებო ცნობებს აწვდიან მკითხველებს პიესასა და მის ავტორზე.

„დროება“ ვრცელი რეცენზია უძღვნა სპექტაკლს¹². ამ ხელმოწერულ რეცენზიას თითქმის გაზეთის ნახევარი (მთელი პირველი გვერდი და მეორე და მეთხუთსე გვერდების ნაწილი) უკავია. როგორც ირკვევა, მისი ავტორი ყოფილა თვით „დროების“ რედაქტორი, გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე სერგი მესხი. თავდაპირველად ავტორი განიხილავს პიესის იდეურ-მხატვრულ ღირსებებს და იმ სიძნელეებს, რაც დაკავშირებული იყო მის სცენურ განსახიერებასთან. შემდეგ კი რეცენზენტი ხაზს უსვამს სპექტაკლის საეტიკაში მნიშვნელობას ახალგაზრდა დასისათვის და ამ მაღალი მოთხოვნისგან გამომდინარე, აფასებს შემსრულებელთა ოსტატობას. ს. მესხის საერთო დასკვნა ასეთია: მიუხედავად იმისა, რომ დასს ჰყავს ზოგიერთი უდავოდ ნიჭიერი მსახიობი (ა. ყიფიანი, ვ. აბაშიძე, ვ. მესხი, მ. საფაროვა, ნ. გაბუნია) მისთვის ჯერჯერობით ნაადრევია ანეტი სერიოზული პიესებისათვის ხელის მოკიდებო.

შემდეგ ს. მესხი საკმაოდ კვალიფიციურად აანალიზებს პიესის მოქმედ პირთა სახეებს და მათ სცენურ განსახიერებას. მსახიობების უმრავლესობის თამაში ვერ აკმაყოფილებს. მისი შეფასებით მსახიობმა ზ. მარაბულმა (ვიწნესკი) ვერ შეძლო ეჩვენებინა, რომ „ვიწნესკი ძალაა, ის ბატონობს, ყოველ სიტყვას ისე ამბობს, თითქმის ბუჭუნს ასევე, თითქმის მისი საწინააღმდეგოს თქმა არც შეიძლება და ვერც ვერაფერს გაბედავს“. ს. მესხის აზრით, ასევე არასრულყოფილი იყო პიესის მთავარი გმირი, ჯადოვის სახე, რომელსაც რეცენზენტის მძაქ. მესხი განასახიერებდა.

ს. მესხი ყველაზე უფრო მაღალ შეფასებას აძლევს პოლი-

⁷ 1874, № 114.

⁸ წიგნი ლ. პ. კოგან „Летопись жизни и творчества А. Н. Островского“, стр. 232. ამ დადგმის თარიღი არასწორადაა მითითებული — 1876 წელი.

⁹ იხ. „Тифанский вестник“, 1871, № 28.

¹⁰ იხ. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902, № 1748.

¹¹ 1879, № 193.

ნას როლის შემსრულებელს მ. საფაროვას, რომელმაც ოთხი წლის შემდეგ თვითონ კომედიის ავტორი მოხიბლა ამ როლით. სხვა მსახიობები: კ. ყუფიანის (იუსოვი), მ. თომასვილის (პელოგოპოვი), ნ. გაბუნია (კუპუშკინა), მ. კორინთლის (იულიცკა) თამაში რეცენზენტს ძირითადად დამაკმაყოფილებლად მაჩინია.

რა საფრთველი გვაქვს არ ვერწმუნით რეცენზენტის შეფასებებს, ანდა ბრალი დავდოთ მას მიკეძომებას და არაობიექტურობაში. ცნობილია, რომ ს. მესხს და მის გაზეთის საკმაო ამაგი მიუძღვით ქართული თეატრის აღდგენაში. და არც შემდგომში მოუკლათ ზრუნვა და მხარდაჭერა მშობლიური სცენისათვის. ს. მესხი თვითონ ნიჭიერი პუბლიცისტი იყო და თეატრალური კრიტიკოსობის საკმაო გამოცდილებაც ჰქონდა.

რა თქმა უნდა, ახალგაზრდა გამოუცდელ მსახიობებს, გუშინდელ სცენისმოყვარეებს, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ სპეციალურ განათლებას და კვალიფიციურ რეჟისურას, გაუჭირებოდა შესაფერისად გაენასიერებინათ უცხო მასალაზე აგებული ისეთი რთული პიესა, როგორცაა „შემოსავლიანი ადგილი“. მაგრამ, ვეთანხმებით რა ს. მესხის კონკრეტულ შეფასებებს, არ შეგვიძლია მართებულად მივიჩნიოთ მისი ზოგადი დასკვნა, — ქართული თეატრისათვის გურჯეთობით ნაადრევიაო სერიოზული პიესების დიდგმა. ეს ერთ ადგილზე ტკეპნის აღიარება იქნებოდა. სერიოზული რეალისტური რეპერტუარის გარეშე, მსუბუქი ვლადკვილითა და ყალბი მელოდრამებით არ შეიძლება და დიდი ხელოვნების შენება, მძლავრ არტიკული ძალების აღზრდა-დაისტატება. ამიტომაც იყო, რომ ქართული თეატრის მესუვერები და საკითხში მეტ გამჭრიახობას იჩენდნენ. ისინი განებულად აკვირდნენ ხელს კლასიციზმის — ოსტროვსკისა და ვოვოლის, შექპირისა და მილიერის ქმნილებათა დადგმას. მათ გაჩნდა ემბოთა, რომ მხოლოდ და გზით შეიძლება შევლოვნებისა და, საერთოდ, თეატრალური კულტურის ამაღლება.

უნდა გაეთვალისწინოთ, რომ რეცენზენტები, გარკვეული მოსაზრებით, განსხვავებული პოზიციებიდან უდაგებოდნენ მოყვარულთა თუ პროფესიული დასის სპექტაკლების შეფასებას. სცენისმოყვარეთა სპექტაკლი მიუხედავად მისი ავკარგობისა, თავისთავად მისასრულბელი დავატი იყო, როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი მუდმივი სცენის აღდგენისაკენ. იმისათვის, რომ გაემხნევებინათ მსახიობები და საზოგადოებრიობის მხარდაჭერაც მოეპოვებინათ, რეცენზენტები, საფიქრებელია, შეგნებულად არიყვდნენ თვალს მოყვარულთა თამაშის ზოგიერთ ხარვეზს.

მოვიგონოთ, თუ გნებავთ, ა. წერეთლის შემწყნარებელი რეცენზნა „შემოსავლიანი ადგილის“ პირველ წარმოდგენაზე. პოეტმა დიდხლოვნად აპატია სცენისმოყვარეებს ენის „ჭრელქართულობა“ და მხოლოდ მსუბუქად გაკვეწულა ისინი. მაგრამ ამას პროფესიონალ მსახიობებს არავინ აპატიებდა. იგივე ა. წერეთელი ყველა სხვა შემთხვევაში მეტად მკაცრი იყო მსახიობთა ენის სიწმინდის მიმართ, ვერ იმიზედა გაუმართავ ქართულს და ეგრეთწოდებულ „ოტსენატიანებს“. აწ განსვენებულნი პოეტი — აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი გად-

მოგვეცემ ასეთ შემთხვევას: „აკაცა წერეთლის „პატარა კანში“ მსახიობს უნდა ეთქვა თურმე: „თუმცა უდროოდ დაგვისინეულდა, ბატონი მეფე თეიმურაზი... ნაცულად ამისა, როლის უკოდინარ მსახიობს უთქვამს: „თუმცა უდროოდ დაგვიორსულდა ბატონი მეფე თეიმურაზი“. აკაცა გაჯავრებულმა: „არა, შვილოსნა, თქვენ პიესებს აღარ მოგცემთ, მეფეებს მიორსულებთო“¹².

მოყვარულთა სპექტაკლების ის თვალშისაცემი უპირატეობა, რაც რეცენზიების შედარებისას შეიმჩნევა, ზემოაღნიშნული გარემოებიდან უნდა მომდინარეობდეს. ს. მესხი მოყვარულთა სპექტაკლების რეცენზენტებისაგან განსხვავებით, ვაზრდილ მოთხოვნილებებს უყენებდა მუდმივი დასის მსახიობებს: რამდენად პასუხობენ ისინი ქართველი მსახიობის მაღალ დანიშნულებას, შესწავლთ თუ არა უნარი ღირსეულად განასაზიერონ კლასიციზთა ქმნილებანი. ან თვალსაზრისით, მუნებრთვია, ყველაფერი უნაკლო ვერ იქნებოდა პირველ ხანებში.

სხვაანარად ძნელი ასახსნელიც კია, რატომ უნდა ყოფილიყო მუდმივი დასის სპექტაკლი სცენისმოყვარეთა წარმოდგენაზე უარესი. დასი ხომ იმავე სცენისმოყვარეთა საუკეთესო ძალებისაგან ჩამოყალიბდა.

თეატრმა პირველ სეზონში ოსტროვსკის მეორე კომედიაც „ბალზამინოვის ქორწინება“ წარმოადგინა. პიესა გადმოაყეთა ა. პაპუაშვილ და ქართულად ეწოდებოდა „მიხიაკო ცოლს ირთავს“.

ასეთია ოსტროვსკის პიესების პირველი ნაბიჯები ქართულ სცენაზე. ამ დროიდან მოყოლებული ისინი მტკიცედ დამკვიდრდნენ ჩვენი თეატრის რეპერტუარში და თითქმის არ ყოფილა სეზონი, რომ რომელიმე მათგანი არ წარმოედგინოთ ქართულ სცენაზე.

ერთ-ერთი მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია ვინაშეღოთ ოსტროვსკის პოპულარობაზე საქართველოში, არის მისი პიესების ქართული სპექტაკლების სიმრავლე. ჩვენ ძველი პერიოდიც, მსახიობთა მოგონებების და სხვა ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით შევადგინეთ ოსტროვსკის ქართული დადგენის სრული ნუსხა, რომელიც შევედრეთ საქართულოს თეატრალურ მუზეუმში გ. ბუნიაშვილის მიერ მუდგენილ რეგულიციამდელი ქართული თეატრის რეპერტუარს. გაეთვალისწინეთ ოსტროვსკის ყველა ცნობილი დადგმა როგორც პროფესიულ, ისე მოყვარულთა სცენაზე; სულ რგონოცხამდელ ქართულ თეატრში დაუდგამთ 12 პიესა, რომელთა ავტორი, თანაავტორი ან მთარგმნელ-გადმომკეთებელი ოსტროვსკი იყო.

1. „შემოსავლიანი ადგილი“ („Доходное место“), პირველად დაიდგა 1874 წელს, სულ 1917 წლამდე დაიდგა— 30-ჯერ.
2. „შრომით ნაშოენი პური“ („Трудовой хлеб“), 1875 წ. სულ — 3-ჯერ.
3. „მიხიაკო ცოლს ირთავს“ („Женитьба Бальзаминова“), 1880 წ. ერთხელ.
4. „დაზნაშვიის ოჯახი“ („Семья преступника“), 1882 წ., სულ — 24-ჯერ (ეს დრამა ოსტროვსკის თარგმნი-

¹² ი. გ. გრიშაშვილი „ლიტერატურული ნარკვევები“, თბ., 1917, გვ. 300.

ლი აქვს XIX ს. ცნობილი იტალიელი დრამატურგის პ. ჰი-აკომპის პიესიდან „სამოქალაქო სიკვდილი“).

5. „უზადაკარგული ცხოვარი“ („Заблудшие овны“) 1885 წ., სულ — 2-ჯერ. (ეს პიესა ოსტროვსკიმ გადმოაკეთა XIX ს. იტალიელი დრამატურგის თ. ჰიკონის კომედიიდან).

6. „სწაღნიერი დღე“ („Счастливый день“), 1886 წ. სულ — 16-ჯერ. (პიესა დაწერილია ნ. ი. სოლოვიოვის მიერ ოსტროვსკის თანაავტორობით, ჩვენთან პირველად ოსტროვსკის ისხენიებდნენ).

7. „ქრების მონობა“ („Рабство мужей“), დაიდგა ერთხელ, 1888 წ. (პიესა ოსტროვსკიმ გადმოაკეთა ფრანგი დრამატურგის ა. დელურის კომედიიდან).

8. „ღარიბი სარძო“ („Бедная невеста“), დაიდგა ერთხელ, 1891 წ.

9. „უდასნაულოდ დასჯილი“ („Без вины виноватые“), 1894 წ. სულ — 37-ჯერ.

10. „მღვლები და ცხვრები“ („Волки и овцы“), დაიდგა ერთხელ 1901 წ.

11. „ძალა აღმართს ხნავს“ („Женитьба Белугина“), 1902 წ. სულ — 23-ჯერ (ეს პიესა ოსტროვსკიმ დაწერა ნ. სოლოვიოვის თანაავტორობით).

12. „ვასილისა მელენტეევა და მფეე ივანე IV მრისხანე“ („Василиса Мелентьева“), დაიდგა ერთხელ, 1911 წ. (პიესა დაწერა ოსტროვსკიმ ს. ა. გედეონოვის თანაავტორობით).

ამრიგად, ოსტროვსკის 12 პიესა 140-ჯერ წარმოდგენილია ქართულ სცენაზე. ძველი თეატრისათვის ეს ერთი დიდი ციფრია და შეიძლება უპრეცედენტო. ყოველ შემთხვევაში, ასე ხშირად ჩვენში არც ერთი რუსი და უცხოელი დრამატურგი არ იდგებოდა. შედარებისათვის შეიძლება დავასახელოთ სხვა გამოჩენილი დრამატურგები, რომელთა პიესებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ჩვენთან. გოგოლის „რევიზორი“ 1884 წლიდან 1917 წლამდე 31-ჯერ წარმოდგენილია; გრიბოედოვის „ვაი ტკუისაგან“ — 8-ჯერ; სუხოვო-კობილინის „კრეჩინისკის ქორწილი“ — 19-ჯერ.

აღსანიშნავია, რომ ოსტროვსკის პიესები მშობლიურ სცენაზე ყოველთვის როდი სარგებლობდნენ ასეთვე პოპულარობით. პროფ. ვ. ფილიპოვი გულსტაქცილით აღნიშნავს, რომ რევოლუციამდელი რუსეთის სცენაზე ოსტროვსკის არასოდეს არ ეგავა ის მდგომარეობა, რომელსაც იმსახურებდაო. როგორც იგი წერს, ოსტროვსკის პიესების სპექტაკლების რაოდენობას თუ შევადარებთ მის თანამედროვე, დღეს უკვე მივიწყებულ დრამატურგთა პიესების სპექტაკლების რაოდენობას, ნათელი ხდება, რომ ოსტროვსკი რევოლუციამდე გაცილებით ნაკლებ პოპულარული ყოფილა თეატრში, ვიდრე დაიჩინაო, ტარნოვსკი, კრილოვი, შჩაჟინსკი¹³.

თბილისის (83 დადგმა) და ქუთაისის (29) გარდა, ოსტროვსკის პიესები დაუდგამთ: თბილურში (5), ფოთში (4), ხონში (4), ბათუმში (2), ჟღავში (2), ცხინვალში (2), სურამში (2), სოხუმში (1), გორში (1), ზესტაფონში (1),

ასაღ სენაკში (1), ხაშურში (1). ქართველ სცენისმოყვარეებს ოსტროვსკი ორჯერ წარმოდგენილია ბაქოში რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნიკო გვარამის ხელმძღვანელობით.

ცალკე უნდა აღინიშნოს ოსტროვსკის წარმატება მუშათა აუდიტორიის წინაშე. მისი პიესები ხშირ სტუმარი ყოფილა სახალხო თეატრების სცენებისა: ნაძალადევის, აგჭალაში, ავლაბარში, სახალხო სახეში და სხვაგან,

დროთა განმავლობაში, სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ფაქტორების გავლენით, ოსტროვსკის პიესების მდგომარეობა ქართულ სცენაზე იცვლებოდა. მუდმივი თეატრის აღდგენამდე სცენისმოყვარეებმა მისი პიესები 5-ჯერ წარმოადგინეს, მუდმივი დასის არსებობის პირველ 10 წელიწადში — 23-ჯერ. ამასთან ამ პერიოდის მეორე ნახევარზე უფრო მეტი (14) დადგმა მოედის, ვიდრე პირველზე (9). ეს შეიძლება გამოწვეული იყოს დრამატურგის ჩამოსვლით ჩვენში 1883 წელს და იმ ადტაცებული შეხედრით, რაც ქართველმა საზოგადოებრიობამ მას მოუწყო.

მეორე ათწლეული (1889-1899) ყველაზე უღებლო გაშლდა ოსტროვსკის პიესებისათვის ჩვენში. მიუხედავად თარგმნილი პიესების რაოდენობის გაზრდისა, სპექტაკლების რაოდენობა კლებულობს (17). უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დაკავშირებული იყო ქართული თეატრის იმდროინდელ არასახარბიელ მდგომარეობასთან.

XX საუკუნის დასაწყისიდან ინტერესი ოსტროვსკის ნაწარმოებებისადმი მეტეორად მატკულობს. ამ ათწლეულში (1899-1909) სპექტაკლების რაოდენობა სამჯერ გაიზარდა წინა წლებთან შედარებით, ანგარიში უნდა გავუქონოთ იმას, რომ გაიზარდა სცენების რაოდენობაც, სადაც იდგმებოდა ოსტროვსკი და ნაწილობრივი ამაწ გამოიწვია საშუალო წილური დადგმების ასეთი მატება. მაგრამ ოსტროვსკის პოპულარობის ასეთი ზრდის ძირითადი მიზეზი მაინც უნდა ვეძიოთ რუსეთის პირველ რევოლუციასთან დაკავშირებით გამოწვეულ მუშათა მოძრაობის აღმავლობაში.

ქართული თეატრი ყოველთვის ცდილობდა შეძლებისდაგვარად გამომხატებოდა თანამედროვეობის საჭირობოტო საზოგადოებრივ საკითხებს. აღნიშნულ პერიოდში რევოლუციურად განწყობილი მასების მოთხოვნებთან იგი აკმაყოფილებდა ისეთი პიესების დადგმით, რომლებიც მარადპირ რევოლუციურ მოძრაობასთან არ იყვნენ დაკავშირებული (ეს ცენზურული მოსაზრებებით შეუძლებელიც იყო), მაგრამ გამოირჩეოდნენ მაღალი სოციალური და იდეური ჟღერადობით. ორიგინალური რეპერტუარი ამ მოთხოვნებებს ნაკლებად პასუხობდა, ამიტომაც მიმართავდნენ ისეთ პიესებს, როგორცაა შილერის „ყაჩაღები“, ვ. მონტის „ჰაი გრაჟი“ და სხვ. რევოლუციურ მოძრაობასთან განსაკუთრებით ახლოს იდგნენ სახალხო თეატრები და ქუთაისის თეატრი, რომელსაც მასწინადადო მესხეთელი ედგა სათავეში. როგორც ცნობილია, ქუთაისის დასი მესხიშვილის ხელმძღვანელობით უშუალოდ მონაწილეობდა საბარაკადო ბძობებში.

ოსტროვსკის პიესების სოციალური და საზოგადოებრივი პირობებმატკია პირველი რევოლუციის წლებშიც აქტუალური

¹³ А. Н. Островский, „Дневник и письма“, стр. 226.

რჩებოდა, ისინი წარმატებით სარგებლობდნენ მშრომელთა აუდიტორიაში. ხოლო ზოგიერთი მათგანი ამ წლებში ასლებურად ადლერდა¹⁴. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ ოსტროვსკის სპექტაკლების საერთო რაოდენობა ამ თველელში (47) ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა. პირველ ხუთ წელიწადზე (1899-1904), ე. ი. რევოლუციის აღმავლობის პერიოდზე მოდის ორჯერ მეტი (31), ვიდრე მომდევნო წლებზე (16). ხოლო 1901-1912 წლების სეზონში ოსტროვსკის პიესები წარმოდგენილი იქნა 11-ჯერ. ეს ყველაზე მეტია 1874 წლიდან მოყოლებული.

მომდევნო პერიოდში (1909-1917) შეიმჩნევა სპექტაკლების საერთო რაოდენობის ზრდა (48). სხვა რაიმე ახალი ტენდენციები ამ წლებში არ გამომდგავნებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ამ პერიოდის 8 წელიწადში ოსტროვსკის ყველაზე უფრო პოპულარული დრამა ჩვენში „უდანაშაულო დასჯილი“ წარმოდგენილი იქნა 22-ჯერ.

მოყვანილი მონაცემების მიხედვით რევოლუციამდე ქართულ თეატრში შეიმჩნევა ოსტროვსკის პიესების პოპულარობის განუხრელი ზრდის საერთო ტენდენცია. გამოიკვლია მხოლოდ 90-იანი წლებია.

ახლა გადავხედოთ რამდენად კანონზომიერი იყო ოსტროვსკის ამა თუ იმ პიესის წარმატება-წარუმატებლობა ქართულ სცენაზე და განსხვავდება თუ არა იგი მათი მდგომარეობისაგან რუსულ სცენაზე.

სპექტაკლების რაოდენობის მიხედვით ოსტროვსკის პიესები ასე განლაგდებიან:

1. „უდანაშაულო დასჯილი“ — 37 წარმოდგენა, 2. „შემოსავლიანი ადგილი“ — 30, 3. „დამნაშავის ოჯახი“ — 24, 4. „ძალა აღმართს ხნავს“ — 23, 5. „ბედნიერი დღე“ — 16 წარმოდგენა.

ეს პიესები უღაო წარმატებით სარგებლობდნენ. დანარჩენ 7 პიესას ჩვენთან წარმატება ან ჰქონია, ამიტომ ერთი-ორი სპექტაკლის შემდეგ ჩამოვიდნენ სცენიდან.

გარდა ამისა, ქართულად თარგმნილი იყო ოსტროვსკის 6 პიესა, მაგრამ რევოლუციამდე მათ სცენა არ უხილავთ. ესენია: 1. „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი, ანუ რაც არ ევნას მამაშენსა, ნურც შენ დახვე მარამშენსა“ („He в свои сани не садись“), 2. „კატას სულ ყველიერი არ ექნება“ 3. „ტყე“, 4. „ქუხილი“ („Плохое“), 5. „შინაურები ვართ—მოვრიდებით“, 6. „შმაგი ფულები“.

ქართული სცენისათვის პიესების შერჩევის დროს თეატრის ხელმძღვანელობას, გარდა მათი იდეურ-მხატვრული დირექტორებისა, უნდა გაეთვალისწინებინა ორი გარემოება: რამ-

დნად პასუხობდა პიესაში ასახული სინამდვილე ადგილობრივი საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებებს და შეესაბამებოდა თუ არა იგი ძველი თეატრის სცენურ შესაძლებლობებს.

ქართულ და რუსულ პროვინციულ სცენებზე ოსტროვსკის სპექტაკლების სტატისტიკური მონაცემების შედარება ნაოლად გვიჩვენებს, რომ ამა თუ იმ პიესის სცენური ბედი ჩვენთან და რუსეთში ძირითადად ერთნაირია. ქართულ თეატრში წარმატება ჰქონდათ პიესებს, რომლებიც ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობდნენ მშობლიურ სცენაზე. პიესები, რომლებმაც ვერ შესძლეს წარმატება მოეპოვებინათ ჩვენთან, არც რუსულ სცენაზე იყვნენ პოპულარული. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ რუსულ სცენაზე პოპულარული ოსტროვსკის ყველა პიესა იდგმებოდა ჩვენში და წარმატებასაც იხვეჭდა. ჯერ ერთი, ყველა მათგანი არ იყო გადმომთარგმნილი, მეორე — ყველა ვერც მოხვდა სცენაზე.

ოსტროვსკის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან (58 პიესა), როგორც პროფ. ვ. ფილიპოვის დასახელებული ნაშრომიდან ირკვევა, რევოლუციამდე რუსულ სცენაზე შედარებით ხშირად იდგმებოდა 18-20 პიესა, მათ შორის 8-10 პიესა მუდმივი, მყარი წარმატებით სარგებლობდა როგორც დრამატურგის სიცოცხლეში, ისე შემდგომშიც. ესენია:

1. „ტყე“ — 5042 სპექტაკლი. 2. „უდანაშაულო დასჯილი“ — 4311, 3. „სიღარიბე საძრახისი არაა“ — 3595, 4. „ქუხილი“ — 3592, 5. „ბელუგინის ქორწინება“ — 3396, 6. „შემოსავლიანი ადგილი“ — 2684, 7. „სარფიანი ადგილი“ („На днеком месте“) — 2442, 8. „დამნაშავის ოჯახი“ — 2145 სპექტაკლი.

საკულისხმოა, რომ ჩვენთან პოპულარული ხუთი პიესიდან, ოთხი ხედება ამ რჩეულთა რიცხვში, არც მცხუტეს („ბედნიერი დღე“) მოკლებია თავის დროზე წარმატება: დრამატურგის სიცოცხლეში მას მეექვსე ადგილი ეკავა სპექტაკლების რაოდენობით, ხოლო შემდეგ გადინაცვლა მთოქმეტიტეზე. ასევე დამახასიათებელია, რომ იმ ექვსი პიესიდან, რომლებმაც ვერ დაიპყრო სცენა ჩვენთან, ვერც ერთი ვერ მოხვდა ამ რჩეულთა შორის.

ამრიგად, ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ნათლად ჩანს, თუ რაოდენ ძვირფასი შენაძენი იყო ქართული თეატრისათვის დიდი რუსი დრამატურგის ა. ოსტროვსკის უკვალი ქმნილებების თარგმნა და ქართულად ამტკველებლა სცენაზე. რუსი დრამატურგის „ცხოვრების პიესებზე“ იზრდებოდა და სრულყოფდა სასცენო სტატობას ძველი ქართული თეატრის კირიფეგების მთელი თაობა: ვ. აბაშიძე, ლ. მესხიშვილი, ნ. გაბუნია, მ. საფაროვა-აბაშიძე და სხვები. ხოლო ჩვენი სასაქადლო დრამატურგი ავტ. ცაგარელი ოსტროვსკის ძვირფას მასწავლებლად უწოდებდა.

¹⁴ იხ. რეცენზები დადგმებზე: „შემოსავლიანი ადგილი“ 1910 წ. 24 სექტემბრის ჟურნალში, ტურნე. „ვალეი“, 1900, № 40, გვ. 639-640; „ძალა აღმართს ხნავს“ 1902 წ. 27 ოქტომბერი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902, № 1908.



სატირული

ბრალის

ისტორიის

„სიცელი სულიერი თავისუფლება“
(„ნიმადური“ № 1, 1907 წ.)

(კარიკატურა 1905-07 წლების ქართული სატირული
ჟურნალების ფურცლებზე)

რევაზ მიშველაძე



კარიკატურის სრული და თანმიმდევრული ისტორია
ჯერ არ დაწერილა.

სახვითი ხელოვნების ამ ერთ-ერთმა ყველაზე
ოპერატიულმა და მებრძოლმა ჟანრმა საუკუნეების განმავ-
ლობაში თანდათანობით ჩამოყალიბდა თავისი კანონები: ჰი-
პერბოლური ლოგიკა, სახეთა თავისებური, სატირული სის-
ტემა, რეალურისა და ფანტასტიკურის ორიგინალური შერწყმა
და მოელენის არსის გაზვიადებული, იუმორისტული აბსტრა-
გირება.

